

**ბრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი**

**დანაშაულობის კვლევისა
და პროგნოზირების ცენტრი**

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან

კრიმინოლოგი

1 (2)

თბილისი
2008



**ბრიტოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი**

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

კრიმინოლოგი

ექვნება დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრისა და გრიგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტს: “ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ”

**Университет имени Григола Робакидзе
Центр Исследования и Прогнозирования Преступности**

Научно - практический журнал

Криминолог

Посвящается проекту Центра Исследования и прогнозирования преступности и Университета имени Григола Робакидзе при финансовой поддержке посольства Соединенных Штатов Америки в Грузии:
“Молодежь против преступности”

**Grigol Robakidze University
The Centre of Study and Prediction of Crime**

Scientific – Practical Journal

CRIMINOLOGIST

dedicated to the project: “Youth Against Crime” implemented by Grigol Robakidze University and The Centre of Study and Prediction of Crime with the financial support of the U.S. Embassy in Tbilisi

1 (2)

თბილისი – Тбилиси – Tbilisi

2008

2

2007 წლის 15 სექტემბრიდან „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი“ და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს:

“ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ”

2007 წლის 28 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა ჩაატარა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ და ჟურნალის „კრიმინოლოგი“ პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი – მამუკა თავხელიძე; პროექტის ავტორი და ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი – მალხაზ ბაძაღუა; პროექტის მონაწილეები, პროფესორები – ოთარ გამყრელიძე, გიორგი თოდრია, მარინა კვაჭაძე, თეა გოგოტიშვილი, ჯემალ ჯანაშია, გიორგი დლონტი; მცხეთის რაიონული პროკურორი – ნიკოლოზ დგებუაძე; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი – ლოლიტა შენგელია; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი – თამარ ლაფერაშვილი; ქალაქის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი – ბელა სარია; საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველი – მაგდა მალრაძე; სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები – გიორგი მირცხულავა, ნანა უბილავა, მარიამ სტურუა, ნინო ენდელაძე; ქ. თბილისის ბავშვთა საკრებულოს დეპუტატი-მოსწავლეები – ანი ჩხიკვაძე, ოთარ კახიძე. გამოითქვა მთელი რიგი მოსაზრებები პროექტის ეფექტურად ჩატარებისათვის.

2007 წლის 20 დეკემბერს „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე „არასრულწლოვანი და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი მალხაზ ბაძაღუა. პროექტის მონაწილეებს სოციოლოგიური კვლევის შედეგები გააცნო პროექტის ასისტენტმა ცირა ჭანტურია. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები. აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია მრგვალი მაგიდის მასალები.

სარედაქციო კოლეგია:

მალხაზ ბაძაღუა – მთავარი რედაქტორი
მამუკა თავხელიძე
რომან შენგელია
ოთარ კვაჭაძე
რამაზ ბერიძე - აშშ
მიხეილ ბაძაღუა
ჯემალ ჯანაშია
მარინა კვაჭაძე
ქრის ესკრიჯი – აშშ
ცირა ჭანტურია

ISSN 1512-3804

© გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

© დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

რედაქციის მისამართი: ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6

С 15 сентября 2007 года университет им. Григола Робакидзе и Центр Исследования и прогнозирования преступности, при финансовой поддержке посольства Соединенных Штатов Америки в Грузии осуществляют проект:

“Молодежь против преступности”

28 ноября 2007 года университет им. Григола Робакидзе и Центр Исследования и прогнозирования преступности провели презентацию журнала “Криминолог” и проекта “Молодежь против преступности”, которого финансирует посольство Соединенных Штатов Америки. На презентации выступили ректор университета им. Григола Робакидзе, профессор - Мамука Тавхелидзе; автор проекта, руководитель центра, профессор – Малхаз Бадзагуа; участники проекта, профессора – Отар Гамкрелидзе; Георгий Тодрия; Марина Квачадзе; Тея Гоготишвили; Джемал Джанашия; Георгий Глonti; прокурор Мцхетского района – Николай Дгебуадзе; представитель министерства труда, здоровья и социального обеспечения – Лолита Шенгелия; представитель министерства образования и науки – Тамар Лаперашвили; руководитель центра защиты прав детей мэрии города – Бела Сария; советник посольства Соединенных Штатов Америки – Магда Маградзе; студенты разных высших учебных заведений – Георгий Мирцхулава, Нана Убилава, Мариам Стуруа, Нино Энделадзе; депутаты-ученики детского собрания (Сакребуло) г. Тбилиси – Ани Чхиквадзе, Отар Кахидзе. Были высказаны ряд соображений по эффективному осуществлению проекта.

20 декабря 2007, в пределах проекта “Молодежь против преступности” был проведен круглый стол по теме “Несовершеннолетние и преступность” которого руководил автор проекта, директор центра исследования и прогнозирования преступности, полный профессор университета им. Григола Робакидзе Малхаз Бадзагуа. Участникам проекта итоги социального исследования ознакомила ассистентка проекта Цира Чантурия. Участники круглого стола приняли рекомендации. В данном журнале опубликованы материалы круглого стола.

Редакционный совет:

Малхаз Бадзагуа – Главный редактор
Мамука Тавхелидзе
Роман Шенгелия
Отар Квачадзе
Рамаз Беридзе – США
Михайл Бадзагуа
Джемал Джанашия
Марина Квачадзе
Крис Эскридж - США
Цира Чантурия

ISSN 1512-3804

© Университет им. Григола Робакидзе

© «Центр исследования и прогнозирования преступности»

Адрес редакции: Тбилиси, ул. Джано Багратиони №6

Since September 15th, 2007 Grigol Robakidze University and The Centre of Study and Prediction of Crime with the financial support of the U.S. Embassy in Tbilisi have been carrying out the project:

“Youth Against Crime”

On the 28th of November, 2007 a presentation of the project “Youth against Crime” and of the journal “Criminologist” was held by the Grigol Robakidze University and The Centre of Study and Prediction of Crime with the financial support of U.S. Embassy in Tbilisi. The following speakers were engaged in the presentation: Rector of the Grigol Robakidze University, professor – Mamuka Tavkhelidze; author of the project and director of the Centre, professor – Malkhaz Badzagua; participants of the project, professors – Otar Gamkrelidze, Giorgi Todria, Marina Kvachadze, Tea Gogotishvili, Jemal Janashia, Giorgi Glonti; the prosecutor of area of Mtskheta – Nikoloz Dgebuadze; a representative of Ministry of Labour, Health and Social Security – Lolita Shengelia; representative of Ministry of Education and Sciences – Tamar Laperashvili; The head of the city council centre of protection of the rights of children – Bela Saria; Counsellor of the U.S. Embassy in Georgia – Magda Magradze; students of various universities – Giorgi Mirtskhulava, Nana Ubilava, Mariam Sturua, Nino Endeladze; pupils, members of Children's assembly of Tbilisi – Ani Chkhikvadze, Otar Kakhidze. A number of suggestions were made as to the effective accomplishment of the project.

On the 20th of December, 2007 a round table on the theme “Youth and Crime” was held within the scope of the project “Youth against Crime” which was moderated by the author of the project and director of the Centre of Study and Prediction of Crime, full professor of Grigol Robakidze University Malkhaz badzagua. Results of social research, conducted under the project, were presented to the project participants by Tsira Chanturia, the Project Assistant. Participants of the round table elaborated some recommendations. Materials of the round table are published in this Journal.

Editorial council:

Malkhaz Badzagua – Chief Editor
Mamuka Tavkhelidze
Otar Kvachadze
Ramaz Beridze - USA
Mikheil Badzagua
Jemal Janashia
Marina Kvachadze
Chris Eskridge – USA
Tsira Chanturia

ISSN 1512-3804

© Grigol Robakidze University

© The Center of Study and Prediction of Crime

Address of the publication-house: Tbilisi, 6 Jano Bagrationi street

ს ა რ რ ე ე ი

მაღნაზ ბაძაღუა

წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს..... 13

ოთარ გამყრელიძე

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასაკის გამო..... 15

გურამ ოქრუაშვილი

მცხეთის რაიონში საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ..... 19

მარინა კვაჭაძე, ირმა მანჯავიძე

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან დაკავშირებული სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები 25

ოთარ კახიძე

არასრულწლოვანთა დანაშაული და პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“ 52

ანი ჩხიკვაძე

აგრესია, როგორც არასრულწლოვნებში დანაშაულის გამომწვევი მიზეზი..... 58

ალექსანდრე პაპიაშვილი

არასრულწლოვანთა ნარკოტიკის მოხმარების მიზეზები და შედეგები..... 65

ანა მათიაშვილი

ჩემი აზრი არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ..... 69

ბელა სარია

ადგილობრივი ხელისუფლების როლი განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების პრობლემების მოგვარებაში..... 73

ნინო ენდელაძე, ნანა ჯაყელი

არასრულწლოვანთა დანაშაული, როგორც საზოგადოებაში ისტორილად ჩამოყალიბებული, განვითარებადი და არსებული მოვლენა..... 77

მარინა შაქარაშვილი, ალექსანდრე გოგაძე

ენდო და ეგზოგენური ფაქტორების გავლენა ნარკომანიაზე არასრულწლოვნებში და მისი პრესენცია..... 91

ლეილა დარასელია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენცია საერთაშორისო სამართალში..... 96

ნანა უბილავა

არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკური კვლევა კრიმინოლოგიაში..... 104

მარიამ სტურუა, თეონა აღდგომელაშვილი

დანაშაულობა და არასრულწლოვანთა უფლებები და თავისუფლებები 110

გიორგი თოდრია
 არასრულწლოვანთა დანაშაულობისადმი მართსაჯულებისა და
 სასჯელაღსრულების სისტემის დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი 118

მაღხაზ ბაძაღუა
 პედაგოგიური მიდგომები კრიმინოლოგიაში..... 124

*პროექტის “ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ” სოციოლოგიური
 კვლევის შედეგები..... 129*

*მრგვალი მაგიდის „არასრულწლოვანი და დანაშაულობა“ დასკვნითი
 რეკომენდაციები..... 151*

საქართველოში 2007 წლის დანაშაულის სტატისტიკა..... 153

Содержание

Малхаз Бадзагуа Письмо Президенту Грузии господину Михайлу Саакашвили.....	13
Отар Гамкрелидзе Уголовная ответственность в связи с возрастом.....	15
Гурам Окруашвили О проведенных мероприятиях в пределах общественной прокуратуры Мцхетского района.....	19
Марина Квачадзе, Ирма Манджавидзе Правовые и медицинские аспекты связанные с минимальным возрастом уголовной ответственности.....	25
Отар Кахидзе Преступность среди несовершеннолетних и программа „Безопасная школа”.....	52
Анни чхиквадзе Агрессия, в качестве причины преступления среди несовершеннолетних.....	58
Александр Папиашвили Причины и последствия потребления наркотиков несовершеннолетними.....	65
Анна Матиашвили Мое мнение о преступности среди несовершеннолетних	69
Бела Сария Роль местных властей по урегулированию проблем детей аходящихся в особенном положении.....	73
Нино Энделадзе, Нана Джакели Преступления несовершеннолетних как в обществе исторически развитые, развивающиеся и действующие явления.....	77
Марина Шакарашвили, Александр Гогодзе Воздействие эндо- и экзогеннических факторов на наркоманию среди несовершеннолетних и ее превенция.....	91
Лейла Дараселия Система правосудия о несовершеннолетних и превенция совершения преступления детьми в международном праве	96
Нана Убилава Статистическое исследование преступности среди несовершеннолетних в криминологии.....	104

Мариам Стураа, Теона Агдгомелашвили Преступность, права и свободы несовершеннолетних.....	110
Гиорги Тодрия Некоторые вопросы отношения правосудия и системы исполнения наказаний к преступности среди несовершеннолетних.....	118
Малхаз Бадзагуа Педагогические подходы в криминологии	124
Результаты социологических исследований проекта “Молодежь против преступности”.....	129
Рекомендации принятые на круглом столе “Молодежь против преступности”	151
Статистика преступности в Грузии за 2007 год.....	153

The contents

<i>Malkhaz Badzagua</i> Letter to the President of Georgia, Mr. Mikheil Saakashvili.....	13
<i>Otar Gamkrelidze</i> Criminal responsibility linked with age.....	15
<i>Guram Okruashvili</i> About activities within the Community Prosecution Project in Mtskheta area.....	19
<i>Irma Manjavidze, Marina Kvachadze</i> Legal and Medical aspects of minimum age of criminal liability	25
<i>Otar Kaxidze</i> Criminal offence among minors and “The Safe school Program	52
<i>Ann Chkhikvadze</i> Aggression, as a cause of crime among minors.....	58
<i>Alexander Papiashvili</i> Causes and consequences of drug abuse by teenagers	65
<i>Ann Matiashvili</i> My opinion about the juvenile delinquency	69
<i>Bela Saria</i> Role of local authorities in addressing problems facing children at risk.....	73
<i>Nino Endeladze, Nana Djakeli</i> Juvenile Delinquency as a historically emerging, developing and existing phenomenon.....	77
<i>Marina Shakarashvili, Alexander Gogadze</i> The influence of Endo- and Egzogenic factors on drug-addiction among teenagers and its preven- tion.....	91
<i>Leila Daraselia</i> Juvenile Justice System and prevention of offending by children in international law.....	96
<i>Nana Ubilava</i> Statistical research of criminality among minors in criminology.....	104
<i>Mariam Sturua, Teona Agdgomelashvili</i> Criminality, the rights and freedom of minors	110
<i>George Todria</i> Some issues concerning the interaction of justice and penal system with criminality among minors	118
<i>Malkhaz Badzagua</i> Pedagogical approaches in Criminology	124
<i>Results of sociological research under the Project “Youth against crime</i>	129
<i>Recommendations developed at the round table “Youth against crime</i>	151
<i>Crime Statistics in Georgia in 2007</i>	153

**თქვენო აღმატებულებაგ,
ბატონო პრეზიდენტო,**

გილოცავთ მეორე ვადით საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. საკითხი, რომელზეც თქვენს ყურადღებას შევაჩერებ, მე და ჩემს კოლეგებს დიდი ხანია გვაწუხებს; აღნიშნული წერილიც დიდი ხნის წინ არის შედგენილი ნოემბრის ცნობილმა მოვლენებმა, თქვენმა პრეზიდენტად ხელმეორედ არჩევამ უფრო თამამად გადაგვაწვევტინა თქვენთვის მოგვემართა.

დღეს ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მონაწილეობით, იქმნება საქართველოს მომავალი, ნაბიჯ-ნაბიჯ ეყრება საფუძველი დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელმაც, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს მსოფლიო თანამეგობრობაში. თქვენს მიერ აღებული კურსით სახელმწიფომ დაიწყო უმთავრესი ფუნქციების შესრულება, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას, კრიმინოგენული სიტუაციის გაჯანსაღებას.

თქვენთვის ცნობილია, რომ იურიდიული მეცნიერებისა და განათლების სისტემის მართვა, სამართლის სფეროს სტრუქტურებთან ერთობლიობაში, საუკუნეების მანძილზე რუსეთის იმპერიის პრეროგატივა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ამ მიმართულებით ყოველგვარი მეთოდოლოგიური საფუძვლების გარეშე აღმოჩნდნენ.

დღეს ჩვენი ქვეყნის მაგალითითაც ჩანს, რომ, მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთთანამშრომლობის ტრადიციების არარსებობის გამო, შეუძლებელი გახდა ძირითადი მიზნის – პრაქტიკული საქმიანობის თეორიული ბაზით უზრუნველყოფა, რამაც თავისი გავლენა მოახდინა იურიდიულ მეცნიერებასა და მასთან დაკავშირებული სამართალდამცავი სტრუქტურების ეფექტურ, ევოლუციურ განვითარებაზე.

ცნობილია, რომ წინა ხელისუფლება კრიმინოგენულ მდგომარეობაზე რეალურ გავლენას ვერ ახდენდა. ერთ-ერთი მიზეზთაგანი ხელისუფლების მხრიდან დანაშაულობის მეცნიერული კვლევის მთლიანად იგნორირება იყო. მსგავსი გამოკვლევები მხოლოდ ცალკეული მეცნიერ-სამართალმცოდნე-კრიმინოლოგების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ეპიზოდურად ხდებოდა.

დღეს, როცა ხელისუფლება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას პრიორიტეტად აცხადებს, საპრეზიდენტო არჩევნებმა დაგვანახა, რომ დანაშაული და პოლიტიკა ერთმანეთთანსახიფათოდ არის დაკავშირებული. ამ საქმიანობის ეფექტურობისთვის აუცილებლად მიგვაჩნია, თანამედროვე დონეზე ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის სახელმწიფოებრივ დონეზე კოორდინირებული წარმართვა.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი ინსტიტუტები ფუნქციონირებს სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურასთან ან სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ბაზაზე. საქართველოში დანაშაულობის კრიმინოლოგიური კვლევის ცენტრის

შექმნის აუცილებლობის შესახებ, არაერთგზის გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება სხვადასხვა შეხვედრებისა თუ პუბლიკაციების მეშვეობით.

ცენტრის ძირითად ამოცანებად მიგაჩნია : დანაშაულობის სისხლის სამართლებრივ-სოციოლოგიური მოვლენების კვლევა, დანაშაულობის მდგომარეობის შესწავლა-განხილვა, კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდებით ექსპერიმენტების ჩატარება და მათ საფუძველზე იმ რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით, როგორც კანონმდებლობის სრულყოფას, ასევე, სამართალდამცავ სტრუქტურებს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირებაში, მის აღმოფხვრასა და თავიდან აცილებაში. აღნიშნული საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს განათლების, მეცნიერების და თვით სამართალდამცავი სტრუქტურების ინსტიტუციური რეფორმა.

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლას საზოგადოებაც და ხელისუფლებაც ერთობლივ პრიორიტეტად აღიარებს და იგი გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროების საქმიანობის ერთ-ერთ მთავარი მიმართულებაა. თუმცა, ამგვარი კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბება, მათი ძირითადი ამოცანების გათვალისწინებით, უფრო ეფექტური იქნება საქართველოს გენერალური პროკურატურის დაქვემდებარებაში.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო ტერორიზმის, კონტრაბანდის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის ნარკოდანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, კიდევ უფრო აქტუალურს ხდის დანაშაულობის კრიმინოლოგიური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების საკითხს. მით უფრო, როცა საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა საშუალებას იძლევა, ჩატარდეს სამხრეთ-კავკასიის რეგიონის, ე.წ. „აბრეშუმის გზის“, ქვეყნების ერთობლივი, შედარებითი კრიმინოლოგიური გამოკვლევები.

მიგვაჩნია, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების ეფექტიან მუშაობას უცილობლად წაადგება ამგვარი ცენტრის ჩამოყალიბება. ამ მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივის პრაქტიკულ განხორციელებას სჭირდება სახელმწიფოებრივი და პირადად თქვენი მხარდაჭერა.

ვიციტ რა თქვენი დაინტერესება ზემო აღნიშნული პრობლემებით, ვიმედოვნებთ, რომ დასმულ საკითხზე შედეგი არ დააყოვნებს. რადგან, ჩვენი მიზანია, მეცნიერული კვლევის საფუძველზე დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისითაც, საქართველომ მოწინავე ქვეყნებს შორის ღირსეული ადგილი დაიკავოს.

უდრმესი პატივისცემით,
ცენტრის სახელით

მალხაზ ბაძაღუა,

ცენტრის ხელმძღვანელი,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

18 თებერვალი, 2008 წ.

წერილი საქართველოს პრეზიდენტს

რეზიუმე

წერილში დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის სახელით მისი ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი ბატონი მალხაზ ბაძაგუა მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს საქართველოში დანაშაულობის კრი-მინოლოგიური კვლევის ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნულის მიზეზად დასახელებულია სახელმწიფო დონეზე დანაშაულის მეცნიერული კვლევის ჩატარების საჭიროება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ასამაღლებლად. ამ საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს განათლების, მეცნიერების და თვით სამართალდამცავი სტრუქტურების ინსტიტუციური რეფორმა.

ცენტრის ძირითად მიზნებად მოიაზრება: დანაშაულობის სისხლის სამართალ-ებრივ-სოციოლოგიური მოვლენების კვლევა, დანაშაულობის მდგომარეობის შესწავლა-განზოგადება, კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდებით ექსპერიმენტების ჩატარება და მათ საფუძველზე იმ რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით როგორც კანონმდებლობის სრულყოფას, ასევე, სამართალდამცავ სტრუქტურებს და-მნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსალოდნელი საფრთხეების პროგნო-ზირებაში, მის აღმოფხვრასა და თავიდან აცილებაში.

Малхаз Бадзагуа

Письмо Президенту Грузии

Резюме

В письме от имени Центра Исследования и прогнозирования преступности его руководитель, доктор юридических наук, полный профессор Университета им. Гр. Робакидзе г-н Малхаз бадзагуа обращается к Президенту по поводу необходимости создания в Грузии центра криминологического исследования преступности.

Причиной этого отмечается необходимость научного исследования преступления на государственном уровне с тем чтобы повысить эффективность борьбы против преступности. Актуальность данного вопроса также обусловлена тем обстоятельством, что в стране ведутся институциональные реформы образования, науки и правоохранительных структур.

Основные цели центра: исследование уголовно правовые и социологические явления преступности, изучение-обобщение состояния преступности, проведение экспериментов с использованием методов криминологического исследования, и на их основе разработка тех рекомендаций и инструкций, которые будут способствовать усовершенствованию как законодательной базы, также правоохранительным органам в борьбе с преступностью, ее искоренении и предотвращении а также, в прогнозировании опасностей.

Letter to the President of Georgia

The Summary

On behalf of the Centre for the Research and Prediction of Crime, Mr. Malkhaz Badzagua, the Chair of the Centre, Doctor of Legal Sciences, full Professor of the Grigol Robakidze University addresses the President of Georgia in his letter regarding the necessity of establishing a centre of criminological study of crime.

The reason for this is named to be the need to do scientific research in criminality at the governmental level in order to raise effectiveness of combating crime in the country. The urgency of this issue is further demonstrated by the fact that there are ongoing institutional reforms of education, science sphere and even of law-enforcement agencies.

Key objectives of the centre are proposed to be: study and research into the legal-sociological phenomena of criminality, study and generalization of the state of crime, piloting through the use of criminological research methods and developing recommendations and instructions which would support the development of relevant legislation, as well as aid the law-enforcement agencies in their fight against crime, prediction and prevention of it.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასაკის გამო

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის საკითხი კიდევ ერთხელ მოექცა ჩვენი ყურადღების შუაგულშია მას შემდეგ რაც 2007 წლის 23 მაისის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლი შეიცვალა. ამ ცვლილების თანახმად ზოგიერთი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა თორმეტი წლის ასაკიდან დაწესდა. ამ ცვლილებას, როგორც ყველას გვახსოვს, წინ უძღოდა რამდენიმე ფაქტის გახმაურება და იმის მტკიცება, რომ თორმეტ წლამდე ასაკის მცირეწლოვანთა, უფრო ზუსტად, მოსწავლეთა შორის შეიქმნა მძიმე მდგომარეობა. როგორც მახსოვს, დასახელებული იყო მკვლელობის რამდენიმე ფაქტი, შეინიშნებოდა მოსწავლეთა შორის დანის ტარება და სხვ.

ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის ეს ცვლილება ერთგვარი შორეული გამოძახილია საბჭოთა კავშირის 1935 წლის 7 აპრილის კანონისა, რომლითაც მთელ საბჭოთა კავშირში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ზოგიერთი მძიმე დანაშაულისათვის თორმეტი წლის ასაკიდან დაწესდა. ხსენებული კანონის საფუძველზე შეიცვალა საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი. ამ მუხლის მეორე ნაწილში ვკითხულობთ: „არასრულწლოვანი, 12 წლის ასაკიდან დაწყებული, მხილებული ქურდობაში, ძალადობაში, სხეულის დაზიანებაში, დაშავებაში, მკვლელობაში ან მკვლელობის ცდაში, აგრეთვე ისეთ მოქმედებაში, რომელსაც შეუძლია მატარებლის მარცხი გამოიწვიოს (რელსების ხრახნის მოშვება, რელსებზე სხვადასხვა საგნის დაწყობა და სხვ). მიიციემა სასამართლო წესით პასუხისგებაში სისხლის სამართლის ყველა სასჯელის შეფარდებით.“

ეს კანონი მოქმედებდა მანამ, ვიდრე არ გამოვიდა 1958 წლის 25 დეკემბრის საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, კანონი, რომელმაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თექვსმეტი წლის ასაკიდან დააწესა. გამონაკლის შემთხვევაში პასუხს აგებდა თოთხმეტ წელს მიღწეულიც. ამ კანონის მე-10 მუხლის თანახმად „იმ პირთ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ მკვლელობისათვის, სხეულის განზრახ დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია, გაუპატიურებისათვის, ყაჩაღური თავდასხმისათვის, ქურდობისათვის, ბოროტი ხულიგნობისათვის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები, აგრეთვე ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენისათვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მატარებლის მარცხი.“

ეს ნორმა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებდა და, ბუნებრივია, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსშიც იყო გადმოტანილი (იხ.მე-12მ) 1999 წლის 22 ივლისის კოდექსმა კი, 1960 წლის კოდექსის მე-12 მუხლისაგან განსხვავებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად ყველა დანაშაულისათვის თოთხმეტი წელი დააწესა. ამ მცირე ისტორიული ექსკურსიის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ 2007 წლის 23 მაისის კანონს, რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლი შეიცვალა. როგორც ცნობილია, ეს ცვლილება ძალაში შედის 2008 წლის პირველი ივლისიდან. კოდექსის 33-ე მუხლის ამ ახალი რედაქციით თორმეტი წლის ასაკიდან პასუხისმგებლობა დაწესებული „კოდექსის 108-ე,

109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 238 მუხლებით გათვალისწინებული“ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ კანონში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, რომლითაც მთელი ნახევარსაუკუნოვანი პრაქტიკა იცვლება, არ შეიძლებოდა ასე ჩუმად და უხმაუროდ მომხდარიყო. შამწუხაროდ, ბოლო წლებში აშკარად შეიმჩნევა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებზეც რომ არაფერი ვთქვათ, საკანონმდებლო ორგანოს ერთგვარი კარჩაკეტილობა. თუ მაინცდამაინც ვინმემ საჭიროდ ჩათვალა 33-ე მუხლში ისეთი ცვლილების შეტანა, რომლითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი თორმეტი წლამდე უნდა დაწეულიყო, მაშინ ეს პროექტი ჯერ უნდა გამოექვეყნებინათ საჯარო განხილვის მიზნით. ამ საკითხზე უნდა მიეწვიათ სპეციალისტები და გაეგოთ მათი აზრი და ამის შემდეგ მიეღო საკანონმდებლო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, სპეციალისტი რომელიც ამ კანონის პროექტს წაიკითხავდა, კანონის ტექსტის დახვეწას მაინც შეუწყობდა ხელს. როგორც კოდექსის 33-ე მუხლის ამ ახალი რედაქციიდან ჩანს, თორმეტი წლის ასაკის ადამიანი პასუხს აგებს „კოდექსის 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა“ მუხლებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის.

აქ ჩამოთვლილი მუხლებიდან პირველი ნაწილი არა აქვს მხოლოდ 108-ე მუხლს, რომელიც ერთნაწილიანია. რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, თვითოეული მათგანი, მართალია, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, მაგრამ მათი ნაწილები არ არიან ერთმნიშვნელოვანი. მაგალითად, 117-ე, 137-ე, და 178-ე მუხლების პირველი ნაწილები ზოგადი შემადგენლობებია, ხოლო მეორე და მომდევნო ნაწილები სპეციალურ შემადგენლობებს მიეკუთვნებიან. ასე რომ, 117-ე, 137-ე, და 178-ე მუხლების პირველი და მომდევნო ნაწილები ერთმანეთთან ზოგადი და სპეციალური შემადგენლობების ურთიერთობაში იმყოფებიან. ამის გამო არ შეიძლება, მაგალითად ქმედების 178-ე მუხლის პირველი და მეორე ან მესამე ნაწილების ერთობლიობით დაკვალიფიცირება და სხვა.

რაც მთავარია, 117-ე, 137-ე და 178-ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული უმართლობები უფრო მსუბუქია მეორე და მომდევნო ნაწილებით გათვალისწინებულ უმართლობებთან შედარებით. ამიტომ კანონმდებელმა გადაწყვიტა 12 წლიდან პასუხისმგებლობის დაკისრება უფრო მძიმე უმართლობისათვის.

თუ ამ ლოგიკით ვიმოქმედებთ, მაშინ თორმეტი წლის ასაკიდან უნდა დაწესდეს პასუხისმგებლობა 109-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედების ჩადენისთვისაც. საქმე ის არის, რომ 109-ე მუხლის ზოგადი შემადგენლობა (უმართლობა) 108-ე მუხლითაა მოცემული. 109-ე მუხლი, გინდა ერთნაწილიანად იყოს ის ჩამოყალიბებული, როგორც ეს ადრე იყო, გინდა სამნაწილიანად, სპეციალური მუხლია.

109-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი განზრახი მკვლელობა ისევე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი უმართლობაა, როგორც ეს გვაქვს 117-ე, 137-ე და 178-ე მუხლების მეორე და მომდევნო ნაწილებით აღწერილი უმართლობებია.

ამიტომ აშკარა ულოგიკობაა, როცა პასუხისმგებლობას არ ვაკისრებთ თორმეტი წლის ასაკის მიღწეულს 109-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი განზრახ მკვლელობისათვის და ვსჯით მას ჯანმრთელობის

განზრახ მძიმე დაზიანებისათვის 117-ე მუხლით (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი ქმედებისა).

მით უმეტეს, ულოგიკოაა ეს, როცა თორმეტი წლის ასაკს მიღწეული ისჯება 108-ე მუხლით და პასუხს არ აგებს 109-ე მუხლის პირველი ნაწილით. ღოგორ შეიძლება, არასრულწლოვანმა პასუხი აგოს უფრო მსუბუქი მკვლევლობისათვის და გათავისუფლდეს უფრო მძიმე მკვლევლობის ჩადენისათვის.

ეს რაც შეეხება კოდექსის 33-ე მუხლის ცვლილებას წმინდა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. ახლა დაეუბრუნდეთ ისევ იმ საკითხს, თუ რამდენად დასაბუთებულია 12 წლის ასაკიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს საკითხი წამოიჭრა, როგორც საზოგადოებას აცნობეს, იმის გამო, თითქოს გავრცელდა ამ ასაკის ბავშვებში, განსაკუთრებით სკოლის მოწაფეთა შორის, დანის ტარება, სხეულის დაზიანება, მკვლევლობები, სხვისი ქონების ხელყოფა და ა.შ. იქნებ ჯობდა არ გვეჩქარა და ჯერ სხვა ღონისძიებებისათვის მიგვემართა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება უკიდურესი ზომია და სახელმწიფო ამ ზომას მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა სხვა გამოსავალი აღარ რჩება. კარგია, რომ კანონმდებელმა კოდექსის 33-ე მუხლის იმ ნაწილის ამოქმედება, რომელიც თორმეტი წლის ასაკიდან პასუხისმგებლობას აწესებს, 2008 წლის 1 ივლისამდე გადადო. წინ ჯერ კიდევ ნახევარი წელია, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ მოვლენების განვითარებას, ვნახოთ რა მოხდება.

საყურადღებოა ამ მხრივ ამასწინათ გაზეთ „ალიას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ცნობა, საიდანაც ვტყობილობთ, რომ „გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2007 წლის 9 თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა.“ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 79 შემთხვევა ყოფილა 2007 წ. იანვარში, ხოლო აპრილში ეს მაჩვენებელი 42 ერთეულამდე შემცირებულა. 2007 წ. პირველი კვარტალის მონაცემების მიხედვით, არასრულწლოვანთა დანაშაული 2006 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 22,8%-ით არის შემცირებული (გაზ. „ალია“, 2007, 6-7 დეკემბერი, „არასრულწლოვანებმა ჭკუა ისწავლეს“, მე-5 გვ.)

ამ ცნობის თანახმად, 2007 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოში სულ 751 მსჯავრდებული არასრულწლოვანიდან მხოლოდ 213-ია, რომლებმაც დანაშაული 14-15 წლის ასაკში ჩაიდინეს. როგორც ვხედავთ, უმრავლესობა დანაშაულებისა მაინც უფრო მაღალი ასაკის არასრულწლოვანებზე მოდის.

თორმეტი წლის ასაკში ადამიანის დასჯა უფრო მეტ უარყოფით შედეგებს გამოიღებს, ვიდრე დადებითს. ჯერ-ერთი, დასჯას ამ ასაკში არ ექნება ის ეფექტი, რაც უნდა ჰქონდეს, რადგანაც ამ ასაკში ბავშვი ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ის ასაკობრივად ამ მოვლენისათვის, მხედველობაში მაქვს დასჯა, არ არის სრულად მომწიფებული ასაკობრივი განუვითარებლობის გამო. ამიტომ დასჯა მასზე ვერ მოახდენს აღმზრდელობით ზეგავლენას, რაც სასჯელის აუცილებელი ნიშანია თანამედროვე სისხლის და სასჯელადმსრულებითი სამართლისათვის.

ოთარ გამყრელიძე
თინათინ წერეთლის სახელმწიფო და
სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა
და კრიმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასაკის ბაზო

რეზიუმე

შრომა ძირითადად ეხება იმ საკითხებს თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევას. ამ ასაკში მოზარდი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს დასჯის მნიშვნელობას, რის გამოც მასზე ვერ მოახდენს აღმზრდელობით ზეგავლენას.

ნაშრომში ასევე ხაზგასმულია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების შემცირების ტენდენცია, რის გამოც მიზანშეწონილია ბოლო პერიოდში ამ საკითხზე მიღებული კანონმდებლობის გადახედვა.

Отар Гамкრелидзе

Уголовная ответственность в связи с возрастом

Резюме

Работа в основном касается вопроса об отрицательных результатах, к которым может привести снижение возраста уголовной ответственности среди несовершеннолетних. В этом возрасте подростки не осознают значения наказания, и соответственно оно не производит на них воспитательного воздействия.

В работе также подчеркнута, что в последнее время наблюдается тенденция снижения преступности среди несовершеннолетних, в связи с чем целесообразно пересмотреть законодательство принятое по этому вопросу в последнее время.

Otar Gamkrelidze

Criminal responsibility linked with the age

Summary

This work is basically concerned about those negative consequences of reducing the age of criminal responsibility to affect minors. In this age teenagers yet do not realize the role of punishment, which therefore makes no impact on them in terms of education and correction.

The paper also underlines existing tendency of decreasing criminality among minors and thus considers the expediency to review the legislation adopted recently with regard to juveniles.

**მცხეთის რაიონში საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში
ბანხორციელებული ღონისძიებების შესახებ**

საქართველოში სიხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში ხორციელდება ძირეული ცვლილებები საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტებიდან გამომდინარე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გადაწყვიტა საქართველოში საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელის დანერგვა. აღნიშნულ პროექტს პროკურატურა ახორციელებს ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველოსთან" და "ღია საზოგადოება სამართლებრივ ინიციატივასთან" თანამშრომლობით.

პროექტის მიზანია საქართველოში დაინერგოს საზოგადოებრივი პროექტის მოდელი, რამაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე და გარკვეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებას.

საზოგადოებრივი პროკურატურა გულისხმობს მოქალაქეთა, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების ჩართულობას პრობლემათა გადაჭრისა და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში, დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენაში. საზოგადოებრივი პროკურატურის ძირითადი ელემენტებია პროკურატურის მიერ დანაშაულის პრევენციაზე ზრუნვა მოსახლეობასთან თანამშრომლობით და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება.

აღნიშნული პროექტის განხორციელება ექსპერიმენტის სახით დაიგეგმა მცხეთის რაიონში. იგი შერჩეული იქნა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: თბილისთან ახლო მდებარეობა, რაც ეხმარება საქართველოს გენერალურ პროკურატურას უფრო მეტად შეუწყოს ხელი პროექტის განხორციელებას. ხალხის რაოდენობა 8000 კაცი. რაიონში არსებული სპეციფიკური დანაშაულებრივი მდგომარეობა, რაც გამოწვეულია უმუშევრობის მაღალი დონით და მძიმე სოციალური ვითარება.

2006 წლის ნოემბრის თვეში ქ. მცხეთაში ჩატარდა ორ დღიანი სემინარი საზოგადოებრივი პროკურატურის თემაზე, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებრივი პროკურატურის არსს, საზოგადოების ჩართულობას, პროკურორთა უნარ ჩვევებს და წარმატების შეფასებას.

გარდა ამისა დაწყებით სტადიაზე მცხეთის ტერიტორიაზე "ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფის" მიერ ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა, რა დროსაც აღებული იქნა მოქალაქეთა 600 ინტერვიუ. გამოკითხვის ძირითადი მიზანი წარმოადგენდა, რამდენად ენდობოდა და აფასებდა მოსახლეობა რეგიონში არსებულ ორგანიზაციების, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სტილს, მათ წარმომადგენლებს. სად გრძნობდნენ მოქალაქეები ყველაზე მეტად თავს დაცულად, სად იყო კრიმინოგენულად დაზიანებული ადგილები, პირადად იყვნენ თუ არა დანაშაულის მსხვერპლი, ენდობოდნენ თუ არა ძალოვან სტრუქტურებს, რა შემთხვევაში მიმართავდნენ პროკურატურას და ითანამშრომლებდნენ თუ არა მათთან. ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით რაც აუცილებელი იყო ხალხის მოსაზრებების გასაგებად პროექტისთვის საჭირო ამა თუ იმ საკითხზე. ამასთან ერთად გამოყენებული იქნა მცხეთის შს სამმართველოსა და ამავე რაიონული პროკურატურის სტატისტიკური მაჩვენებლები დანაშაულთა სახეობისა და დინამიკის კუთხით. ამ მაჩვენებლების შესწავლამ ცხადყო რომ მცხეთის რაიონში და თვით მცხეთაში მომრავლებული იყო ისეთი სახის დანაშაულებები როგორც არის ქურდობა, ხულიგნობა სხეულის დაზიანება და სხვა.

როექტის ეფექტური წარმართვის მიზნით შეიქმნა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ:

1. მცხეთა-მთიანეთის საოლქო და მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორები.
2. მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეები.
3. პოლიცია, პატრულისა და პრობაციის თანამშრომლები.
4. მცხეთა-მთიანეთის გუბერნიის და მცხეთის რაიონის გამგეობის მუშაკები.
5. მცხეთის პირველი და მეორე საშუალო სკოლის დირექტორები და პედაგოგები.
6. საგადასახადოს მუშაკები და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.
7. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების გარდა მოცემულ პროექტში ასევე ჩართული იქნა მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში არსებული უპატრონო ბავშვთა თავშესაფარის მოსწავლეები.

როგორც უკვე მოგახსენეთ სტატისტიკური მაჩვენებლების და მოქალაქეთა გამოკითხვების საერთო ანალიზმა გვაჩვენა რომ მცხეთის რაიონში გავრცელებული იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, კერძოდ ქურდობა, ყჩაღობა, ასევე ხულიგნობა და სხეულის დაზიანება. ამ კუთხით პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

მოგახსენებთ, რომ მცხეთის რაიონში მრავლადაა სააგარაკე სახლები, რომლებიც წლის უმეტეს პერიოდში მიტოვებულია მეთვალყურეობის გარეშე, აღნიშნულიდან გამომდინარე ხშირია მათი გატყვევისა და დაბრკოლებების გარეშე სხვადასხვა საოჯახო ნივთების ქურდობის ფაქტები, ამდენად ასეთი სახის დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებლების შემცირებისა და პრევენციული ზომების მისაღებად განხორციელდა პროკურატურის მუშაკების შეხვედრა მოაგარაკეებთან, შეხვედრისას ერთობლივად დაიგეგმა თუ რა ბერკეტებით და შესაძლებლობებით შეიძლებოდა ამ კატეგორიის დანაშაულთან ბრძოლა, კერძოდ: მოაგარაკეები თანახმა იყვნენ აეყვანათ ღარაჯი, დროულად მიემართათ დაზარალებულ პირებს სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ასევე თავის მხრივ შს ორგანოს მუშაკები პერიოდულად მოახდენდნენ ამ ტერიტორიების შემოვლებსა და ოპერატიული კუთხით მუშაობის გააქტიურებას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მცხეთის რაიონში განთავსებულია ათობით რესტორანი, სადაც ხშირად ხდება ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირების მიერ სხვადასხვა კატეგორიის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტები. (ხულიგნობა სხეულის დაზიანება) ამ მიმართებით მცხეთის რაიონულ პროკურატურაში გაიმართა რესტორნის მფლობელებთან და იქ მომუშავე დაცვის მუშაკებთან შეხვედრა რა დროსაც მათ მიეცათ წინადადებები მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით კონფლიქტის დაწყებისთანავე შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდათ სამართალდამცავი ორგანოებისთვის და არ მოეხდინათ თავიანთი ძალებით დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, რასაც თავის მხრივ შეიძლება გამოეწვიოთ ამ ფაქტების დამალვა და ასევე რაიმე მძიმე შედეგი როგორცაა მკვლელობის მცდელობა ან მკვლელობა, მითუმეტეს თუ ასეთის აღკვეთას შეეცდებიან ობიექტებზე მომუშავე კერძო დაცვის თანამშრომლები. გარდა ამისა ობიექტების ხელმძღვანელები გაფრთხილდნენ რათა მომსახურე პერსონალი უფრო აქტიურად ჩართულიყო წინასწარი გამოძიების სტადიაზე, (მიეცათ სწორი ჩვენებები, არ გაენდგურებინათ დანაშაულის კვალი ან ნივთი) ვინაიდან კონკრეტული ფაქტის დროს ისინი შეგნებულად თავს არიდებენ გამოძიებასთან თანამშრომლობას რითაც არ სურთ ვინმესთან დაპირისპირება და საგა-

მოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად ზედმეტად თავის შე-
წუხება.

რაც შეეხება ყაჩაღობის კატეგორიის დანაშაულთა სტატისტიკურ მაჩვენებ-
ბებს მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ასეთ ფაქტებს ხშირად ადგილი
ჰქონდა "ჯვრის მონასტრის" მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც ხორციელდებოდა
იქ დასვენების მიზნით ამოსულ მოქალაქეთა მიმართ. აღნიშნული დანაშაუ-
ლის ჩადენის გაადვილებას ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდგო-
მარეობა (დაუსახლებელი და ტყე-ბუჩქნარიანი ადგილების სიმრავლე). ამ
კუთხით გააქტიურებული იქნა ოპერატიული სამსახურის მუშაობა, რაც აის-
ახა ასეთი ტერიტორიების ხშირ შემოვლა- დათვალიერებაში. ამ ადგილებში
მყოფი მოსახლეობის სიტყვიერად გაფრთხილებაში, მოსალოდნელი სა-
ფრთხის თაობაზე. ტყეში მსუბუქი ავტომანქანების მისასვლელი გზების
გადათხრაში და სხვა. ასეთი სახის ღონისძიებების გატარებით დაკავებული
იქნა არაერთი შეიარაღებული დაჯგუფება და მკვეთრად შემცირდა სტასტი-
კური მაჩვენებლები.

სამართლებრივი კულტურის ამადლების და მოქალაქეთა უფლებების ცოდნის
მისაღებად პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა ბროშურები, სადაც გასაგები
ენით განმარტებულია მოწმის, დაზარალებულის უფლება-მოვალეობები და
არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ ის
უფლებები და მოვალეობები, რომლებიც შესაძლებელია თითოეულ მო-
ქალაქეს წარმოეშვას ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე. ამ ბროშურათა გაცნობა
ხელს უწყობს სამართალდამცავ ორგანოებთან მოქალაქეთა ურთიერთობისას
თავიანთ უფლებამოვალეობების ცოდნას. ბროშურები პროკურატურისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით ვრცელდება
მცხეთის მოსახლეობაში, რაც ეფექტურ შედეგს იძენს შემდგომში ასეთი
პირების სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა, დიდი ენ-
თუზიანებით ჩაება მცხეთის რაიონულ პროკურატურაში წარმოებულ სა-
ზოგადოებრივი პროკურატურის პროექტში. მათი მონაწილეობით განხორ-
ციელდა არა ერთი ღონისძიება, კერძოდ:

მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორების მიერ საშუალო
სკოლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს პერიოდულად უტარდებ-
ოდათ ლექცია სემინარები არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ სპეციფი-
კურ დანაშაულთა მიმართებაში, მაგალითად როგორც არის ცივი იარაღის
ტარება, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, შეძენა, შენახვა, ქურდობა,
სხეულის დაზიანება და სხვა. ასევე განემარტათ მათი სამართლებრივი
შედეგები, მოსალოდნელი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და
სასჯელედი.

პედაგოგებსა და მოსწავლეებთან შეთანხმებით დაიგეგმა იმიტირებული სა-
სამართლო პროცესების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თავად
სკოლის მოსწავლეები.

მართლმსაჯულების განმახორციელებელი ადგილობრივი ორგანოების
მუშაობის და საქმიანობის სპეციფიკის ზედაპირული შესწავლის მიზნით
მოსწავლე ახალგაზრდობა მიყვანილი იქნა პოლიციის, პროკურატურისა და
სასამართლოს შენობებში, სადაც პირადად გაეცნენ თანამშრომელთა ფუნ-
ქციებსა და მათ უფლება მოვალეობებს. ამასთან ერთად მოხდა მათი შეხ-
ვედრა სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებთან.

მოსწავლე ახალგაზრდობასთან უფრო ახლო ურთიერთობების ჩამო-
საყალიბებლად საპატრულო პოლიციის მუშაკებმა და პროკურატურის პრო-

კურორებმა პედაგოგებთან და ბავშვებთან ერთად მცხეთის №2 სასუალო სკოლის ეზოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოახდინეს სხვადასხვა ჯიშის ნერგების დარგვა და გამწვანება.

პრევენციული ღონისძიებების გატარების კუთხით პროკურორები პერიოდულად ხვდებოდნენ იმ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომლებიც მცხეთის შს სამმართველოს მიერ აყვანილნი იყვნენ აღრიცხვაზე, მათ მშობლებთან ერთად უტარდებოდათ ლექცია სემინარები არასრულწლოვნებისათვის დამახასიათებელ დანაშაულებებთან მიმართებაში, როგორც არის ხულიგნობა, ნარკოტიკული დანაშაული, ქურდობა და ასე შემდეგ.

გარდა ამისა ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რათა არ მომხდარიყო მათი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა და აქცენტი გადატანილიყო სწავლასა და ჯანსაღ ცხოვრებაზე.

იმიტირებულ პროცესებში ბავშვების ჩაბმის კუთხით პროკურატურაში შექმილი იქნა მუშა ჯგუფები, რომეთა მეშვეობითაც მოსწავლეები ეცნობოდნენ პროცესში მონაწილე მხარეების ანუ მათ უფლება მოვალეობებს. ამჟამად ისინი მზად არიან ჩაებან ასეთ პროცესებში და ამ სფეროში გაიდრმაგონ პრაქტიკული ცოდნა.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ასევე მინი ფეხბურთის ტურნირი სახელწოდებით "ნარკომანიისა და ძალადობის წინააღმდეგ." ტურნირში მონაწილეობას დებულობდა როგორც საშუალო სკოლების მოსწავლეების მიერ შექმნილი გუნდები, პრობაციონერების და ძევვის ბავშვთა სახლის მოსწავლეების, ასევე სამართალდამცავი და თვითმართველობის ორგანოების თანამშრომლებისგან შემდგარი გუნდები. სულ 12 გუნდი. მოცემულმა ტურნირმა უფრო გააღრმავა ახალგაზრდობასა და სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკთა ურთიერთობა და ისინი ბავშვების მეხსიერებაში წარმოაჩინა სხვა ჭრილში. ამასთან ერთად ტურნირში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასი, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები სუვენირების სახით. ასეთი ტიპის ტურნირი იგეგმება ასევე მომავალ წელსაც, რათა იგი არ იყოს ერთჯერადი სახის და მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

საზოგადოებრივი პროექტის ფარგლებში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მოეწყო მცხეთის მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ შექმნილი ნახატების გამოფენა. ნახატების თემატიკა წარმოადგენდა ნარკომანიისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, რა დროსაც მოწვეულები იყვნენ როგორც სურათების ავტორები, ასევე ძევვის ბავშვთა სახლის მოსწავლეები.

ამავე პროექტის ფარგლებში 2007 წლის გაზაფხულზე საქართველოს გენერალური პროკურატურის და ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" ხელშეწყობით და დაფინანსებით მცხეთის რაიონში, კერძოდ სოფელ ძევში განთავსებულ უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში მოეწყო საქველმოქმედო ღონისძიება. მათ გადაეცათ საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვადასხვა კვების პროდუქტები.

მცხეთაში არსებულ მარკეტების შესასვლელებში, საგანმანათლებლო ორგანიზაციებში და საზ.კვების ობიექტებში გაიკრა პლაკატები, სადაც მოყვანილი იყო მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონიდან ის ციტატები, რითაც იკრძალება მათთვის ალკოჰოლური სასმელების, ლუდის და თამბაქოს მიყიდვა. ბარსა და ღამის კლუბებში არასრულწლოვანთა დაშვება 23 საათიდან. მათი სათამაშო დაწესებულებებზე და აზარტულ სათამაშო ავტომატებთან დაშვება და სხვა.

საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის პრაქტიკულმა მაგალითმა დაგვანახა, რომ იგი მცხეთის რაიონში მიმდინარეობს წარმატებით, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით ჩაება მოსწავლე ახალგაზრდობა. მათთან ურთიერთობამ დაგვანახა, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან მიიღონ სამართლებრივი განათლება, არ ჩაიბნონ დანაშაული გამოადგენენ ქვეყანას, ისწავლონ და მათი ცოდნა გამოიყენონ პირად ცხოვრებაში. საყურადღებოა ისიც, რომ ამ პროექტის განხორციელებამ, რომლის თანახმადაც პროკურორები გავიდნენ საზოგადოებაში და მათი ყოველდღიური პრობლემებით დაინტერესდნენ, რაც მიმართული იყო ამ პრობლემატური საკითხების ჩვენი მხრიდან გადაწყვეტისკენ, საგრძნობლად აამაღლა მოქალაქეთა თვალში პროკურატურის მუშაკთა მიმართ ნდობის გამოცხადების პროცენტული მაჩვენებელი. ამას მიუთითებს ჩვენსა და მოქალაქეთა შორის უშუალო ურთიერთობების ჩამოყალიბება, საზოგადოების თავმჯდომარის ადგილებში, როგორცაა თუნდაც მარკეტებში მოსახლეობის მხრიდან კონკრეტული პროკურორების პიროვნული ცნობა, მისალმება, მოკითხვა და მათ პრობლემებზე ინდივიდუალური საუბრები.

საყურადღებოა ისიც, რომ რადიკალურად შემცირდა მოქალაქეების მიერ პროკურატურაში ისეთი სახის საჩივარ განცხადებების შემოტანა, რომლებიც მიუთითებენ პროკურატურის მიმართ უნდობლობის გამოცხადებასა და კონკრეტულ საკითხებზე არაობიექტურ გადაწყვეტილებების მიღებაზე, (რაც არც თუ ისე იშვიათი იყო წინა წლებში), პირიქით მოქალაქეები უკვე შემოდიან ჩვენთან ისეთი წინადადებებით, რომელთა გადაწყვეტა არ შედის პროკურორების ფუნქციებში, თუმცა ამით ითხოვენ ჩვენს დახმარებას პრობლემატური, სოციალური თუ პირადი პრობლემების გადაჭრაში, რაც ჩვენი მხრიდან კანონის ფარგლებში სხვა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად გააუმჯობესა სტატისტიკური მაჩვენებელი მცხეთის ტერიტორიაზე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში. კერძოდ: 2007 წლის პერიოდში არცერთი დანაშაული არ განხორციელებულა პოლიციაში აღრიცხვაზე აყვანილი არასრულწლოვანთა მხრიდან. სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ დაფიქსირებულა სკოლის მოსწავლეთა და ძველის უპატრონო ბავშვა თავშესაფარის მოსწავლეთა მიერ, ხოლო 2007 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები 2006 წლის იმავე პერიოდთან შედარებით არასრულწლოვანთა მიმართებაში დანაშაული შემცირებულია 22 ერთეულით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საზოგადოებრივი პროკურატურის წარმატებულობასა და ეფექტურობაზე.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პროექტი მისი არსით მიმართულია საზოგადოების წარმომადგენლების კეთილდღეობასა და მათ სახელმწიფოს მხრიდან დაცვის გარანტიების ამაღლებაზე. მცხეთის რაიონული პროკურატურის მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ზემოსხენებული ფონდების ხელშეწყობით განხორციელებულმა არაერთმა ღონისძიებამ დადებითი როლი ითამაშა დანაშაულის პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში.

*ბურამ ოძრუაშვილი
მცხეთის რაიონის
პროკურატურის პროკურორი*

**მცხეთის რაიონში საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში
განხორციელებული ღონისძიებების შესახებ**

რეზიუმე

თემაში განხილულია გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილება საქართველოში საზოგადოებრივი პროკურატურის მოდელის დანერგვის შესახებ. რამაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს პროკურატურის ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე და გარკვეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებას. აღნიშნული პროექტის განხორციელება ექსპერიმენტის სახით დაიგეგმა მცხეთის რაიონში.

შაზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის პრაქტიკულმა მაგალითმა დაგვანახა, რომ იგი მცხეთის რაიონში მიმდინარეობს წარმატებით, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით ჩაება მოსწავლე ახალგაზრდობა. მათთან ურთიერთობამ დაგვანახა, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან მიიღონ სამართლებრივი განათლება, არ ჩაიღიზნონ დანაშაული გამოადგენენ ქვეყანას, ისწავლონ და მათი ცოდნა გამოიყენონ პირად ცხოვრებაში.

Гурам Окруашвили

О проведенных мероприятиях в пределах общественной прокуратуры Мцхетского района

Резюме

В теме рассмотрено решение генеральной прокуратуры внедрить в Грузии модель общественной прокуратуры, которая, со своей стороны, должна способствовать возрастанию отчетности прокуратуры перед обществом и повышению эффективности борьбы против определенных преступлений. Реализация данного проекта в виде эксперимента было запланирована в Мцхетском районе.

Практический пример общественной прокуратуры показал, что в Мцхетском районе он проводится успешно, и в котором с большим энтузиазмом участвует молодежь. Отношение с ними показало, что они заинтересованы получить правовое образование, не совершать преступления, быть полезным стране, учиться и свои знания использовать в личной жизни.

Guram OkruaSvili

**About activities within the Community Prosecution Project
in Mtskheta area**

The Summary

The work is about the decision of the Prosecutor General's Office to introduce in Georgia community prosecution model, which is on its part is to promote increase in accountability of the Prosecutor's Office to the public and increase the effectiveness of combating crime.

Practical example of Public Prosecutor's Offices has shown that in the area of Mtskheta it has been successful and has engaged enthusiasm of the youth. Communicating with them has shown that that they are interested to get legal education, do not intend to offend, but to be useful to the state, to study and also use the knowledge in their private lives.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკთან დაკავშირებული სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები

ყოველი სახელმწიფო ისწრაფვის შექმნას ისეთი პირობები, რომელიც საშუალებას მისცემს უზრუნველყოს მომავალი თაობის სრულფასოვანი განვითარება. სახელმწიფოს მიზანია, ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარებისა და განათლების მიღების პროცესს, ყველა ზომას იღებს, რათა გაატაროს ღონისძიებები არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ მოქმედებებსა და დანაშაულში ჩართვის საწინააღმდეგოდ. სახელმწიფო იღებს პოზიტიურ ვალდებულებებს, ამოქმედოს ყველა შესაძლო რესურსი, არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, ასევე შეიმუშავოს არასრულწლოვან დამნაშავეთა გამოსწორების სპეციალური პროგრამები, შეამციროს კანონის მხრიდან ჩარევის აუცილებლობა და უზრუნველყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდისადმი ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური დამოკიდებულება.

სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმებიც.

2006 წელს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი იქნა კანონპროექტები: “საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”; “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”.

ჩველილებების თანახმად, საქართველოში სისხლის სამართლებრივი რეფორმების კონტექსტში, გარკვეულ დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან დაიყვანება 12 წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულთა ჩადენისთვის, როგორც არის განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამაძიმებელ გარემოებებში (109-ე მუხლი), ჯამრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი), გაუპატიურება (137-ე მუხლი), ძარცვა (178 მუხლი-გარდა პირველი ნაწილისა), ყაჩაღობა (179-ე მუხლი) და 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (238¹-ე მუხლი), სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იწყება 12 წლიდან. კანონპროექტის თანახმად 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვანთა საქმის წარმოებას განახორციელებენ საამისოდ სერტიფიცირებული მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რისთვისაც 2008 წლის 1 ივლისამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან ერთად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელება; ასევე, 12-დან 14 წლამდე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განსათავსებლად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულებების მშენებლობა.

კანონპროექტში მითითებულია, რომ ყველა ეს ღონისძიება განხორციელდება 2008 წლიდან. მაგრამ ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ თვით არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის შემცირების საკითხზე.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დადაბლება.

ჩვენი შეხედულება ემყარება საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკას.

საერთაშორისო სტანდარტები

მოელ რიგ საერთაშორისო აქტებში, რომლებიც აღნიშნულ საკითხს შეეხება, ხაზგასმულია ბავშვის (არასრულწლოვანის), თუნდაც არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ინტერესების დაცვის პრიორიტეტი:-

- **გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია (1989)**

ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენცია მოითხოვს ხელშემკვრელი მხარეებისაგან დაადგინონ მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთაც ბავშვი ვერ იქნება მიცემული პასუხისგებაში, იმის გამო, რომ მას არა აქვს მისი ქმედების არამართლზომიერების აღქმის უნარი. კონვენცია არ ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონკრეტულ ასაკს, თუმცა გაეროს კომიტეტი უარყოფით შეფასებას აძლევს იმ ქვეყნებს, რომლებსაც მინიმალური ასაკად დადგენილი აქვთ 12 წელი ან უფრო ნაკლები. გაეროს დაუშვებლად მიაჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად დადგენილი იყოს ძალიან დაბალი ზღვარი ან საერთოდ არ იყოს დადგენილი ასეთი ზღვარი.¹

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწესება მიმართულია იქითკენ, რომ ბავშვი აცნობიერებდეს მისი ქმედების არამართლზომიერებას და ჩადენილი ქმედების შედეგებს. ბავშვთა უფლებების კომიტეტი სასურველად მიიჩნევს მინიმალური ასაკის ყველაზე მაღალი ზღვრის დაწესებას. სისხლისსამართლებრივი ასაკი დაკავშირებული უნდა იყოს ბავშვის შემეცნებით, ემოციურ და სოციალურ განვითარებასთან. ქვეყნები, რომლებსაც სისხლისსამართლებრივი ასაკის მინიმალურ ასაკად დადგენილი აქვთ 10 წელი ან უფრო დაბალი ზღვარი, მკაცრად არიან გაკრიტიკებული.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუ რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

ამავე კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. კონვენციის წევრ-სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება ან აღიარებს მის დარღვევას, ისეთ მიმართვაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძობის განვითარებას, განუმტკიცებს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას და რომლის დროსაც გაითვალისწინება ბავშ-

¹ <http://www.billofrightsni.org/hrc/responses/includeyouth.pdf>

ვის ასაკი და სურვილი, ხელი შეუწყო მის რეინტეგრაციას და საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულებას (კონვენციის 38-ე მუხლი).

ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ის მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთაც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის აღქმის უნარი.

აუცილებელია ისეთი სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, როგორცაა მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და დაწესებულებებში მოვლის შემცველი ისეთი ფორმების შემუშავება, რომლებიც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობას, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხასიათს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული პრევენციული მექანიზმების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხზე მსჯელობა, რადგან კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენისთვის 12 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობის დაკისრება არის ერთადერთი გამოსავალი და რომ სხვა, უფრო ლიბერალური ღონისძიებების დანერგვა დაუშვებელია.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის პრეამბულაში პირდაპირ არის საუბარი 18 წელს მიუღწევლ პირთა მიმართ განსაკუთრებული მოპყრობის აუცილებლობაზე და აღნიშნულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია, იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვი უნდა აღიზარდოს მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.

• გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანებთან მოპყრობის წესები (1990)

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (“პეკინის წესები”) ძირითადი მიზნების თანახმად, წევრი-სახელმწიფოები უნდა ისწრაფოდნენ ისეთი პირობების შექმნისაკენ, რომლებიც საშუალებას მისცემს, უზრუნველყონ მოზარდთა შინაარსიანი ცხოვრება საზოგადოებაში, რომელიც, მოზარდის სიცოცხლის იმ პერიოდში, როდესაც ის ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასწორი საქციელისაკენ, ხელს შეუწყობს პიროვნების განვითარებისა და განათლების მიღების პროცესს, მაქსიმალურად თავისუფალს გახდის დამნაშაევობისა და სამართალდარღვევის ჩადენის შესაძლებლობისგან.

“პეკინის წესების” მე-4 ნაწილის 4.1. მუხლის თანახმად “სამართლებრივ სისტემებში, რომლებშიც მიღებულია არასრულწლოვანთათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნება, ქვედა ზღვარი ამ ასაკისა არ უნდა იქნეს დადგენილი ძალზედ ადრეულ ასაკზე, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებიდან გამომდინარე”.

• გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არასრულწლოვანთა შორის დამნაშაევობის პროფილაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადი) (1990წ.)

გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპებში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ (“ერ-რიადის წესები”) განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციას, რაც გულისხმობს მოზარდების მართლზომიერ, სოციალურად სასარგებლო ღონისძიებებში ჩართვას, რათა არასრულწლოვანებში საზოგადოების მიმართ ჩამოყალიბდეს ჰუმანური ორიენტაცია და ასეთივე შეხედულება ცხოვრებაზე, რაც შესაძლებელს გახდის მოზარდებს ჩამოუყალიბდეთ არაკრიმინოგენული პოზიცია.

“ერ-რიადის წესების” თანახმად, პრევენციული პოლიტიკის გატარება გულისხმობს კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, რაც სახელმწიფოს პრიორიტეტად უნდა გამოცხადდეს. ასეთი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს სახელმწიფო სამსახურები, კომპეტენტური ორგანოები და დაწესებულებები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების ფართო ფენები და მთავარი მიზანი, ამ საკითხის დარეგულირებისას, უნდა იყოს ყველა ბავშვისა და მოზარდის უფლებები, ინტერესები და კეთილდღეობა.

“ერ-რიადის წესებში” მითითებულია სათანადო ყურადღების დათმობაზე, რათა მოხდეს ბავშვებისა და მოზარდების ღირსეულად განვითარება და ისინი აღიარებულ იქნენ სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების სრულყოფილ და თანასწორ მონაწილეებად.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია საკმაოდ კომპლექსური საკითხია და იგი მოითხოვს აღნიშნული საკითხისადმი ფაქიზ მიდგომას და არა ისეთს, როგორც ეს კანონპროექტის ინიციატორმა მოახდინა. საჭიროა არა პასუხისმგებლობის ზღვრული ასაკის 12 წლამდე დაწვევა, არამედ ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელიც წინა პლანზე წამოსწევს და დაიცავს ყველა მოზარდის უფლებებსა და კეთილდღეობას.

როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ბატონი თომას ჰამარბერგი აღნიშნავს: *“გაეროს ბავშვთა კონვენციის მიხედვით ბავშვთა კრიმინალიზაცია აცილებულ უნდა იქნას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავე არასრულწლოვნებს ისე უნდა ეპყრობოდნენ თითქოს მათ პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ. პირიქით, არასრულწლოვნები პასუხისმგებელნი არიან მათ ქმედებებზე და მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებაში. არასრულწლოვანთა გასამართლებისას არ უნდა იყოს დადგენილი სამაგიეროს მიზღვის პრინციპი. მიზანი არის ის, რომ დაწესდეს პასუხისმგებლობა და ამავე დროს ხელი შეეწყოს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციას.*

არასრულწლოვანთა დაკავება, დაპატიმრება და ციხეში ჩასმა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მათ მიაღწიეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, მაგრამ გაეროს კონვენციის მიხედვით ეს ზომები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკანასკნელი ზომა და უნდა გრძელდებოდეს ხანმოკლე ვადით. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ბავშვებისათვის თავისუფლების აღკვეთა დანაშაულის გამეორების პროცენტს ზრდის. ბავშვების ციხეში გამოკეტვა უნდა ხდებოდეს მაშინ, როდესაც არ არის სხვა ალტერნატივა, რათა დავიცვათ საზოგადოება პირდაპირი რისკისგან”.

როგორც ჩვენს მიერ შესწავლილი მასალიდან ჩანს (იხ.დანართი), ევროპის უმეტეს (და არა ყველა) ქვეყანაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი მაღალია. 12 და უფრო ქვედა ასაკიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დამახასიათებელია ძირითადად განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. შესაძლებელია კანონპროექტის ავტორების მიერ ეს ფაქტორიც იქნა გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბავშვისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მისი აღმზრდელობითი დაწესებულებაში მოთავსებას შორის ბალანსის მოძებნა. ეს იურისტების, ფსიქიატრების, ფსიქოლოგების, პედაგოგების და საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. მაგრამ, თავდაპირველად საჭიროა მცირეწლოვან დამნაშავეთა პრობლემის მოსაგვარებელი თანმიმდევრული და კონკრეტული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მრავალი საკითხის გათვალისწინებას მოითხოვს. ეს პოლიტიკა საქართველოს პარლამენტმა სამინისტროთაშორისო კომიტეტთან (იუსტიცია, ჯანდაცვა და განათლება) და ექსპერტებთან ერთად უნდა შექმნას.

შეიძლება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევამ გამოიწვიოს დამნაშავეობის შემცირება? გამოკვლევების შედეგები აჩვენებს, რომ პოლიციასთან ხშირი კონტაქტი ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვებზე, მათ განათლებაზე, ოჯახურ ცხოვრებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ციხიდან გამოსვლის შემდეგ არასრულწლოვანთა დაახლოებით 80% მეორედ სჩადის დანაშაულს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა იწვევს დანაშაულთა რიცხვის გაზრდას, ვიდრე მის შემცირებას.¹

საერთაშორისო სტანდარტებით არ არის დადგენილი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი, ეს სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით განისაზღვრება და ეფუძნება ამ ქვეყნის ტრადიციებს, კრიმინოგენურ ვითარებას, საკანონმდებლო ტექნიკას და სხვა მრავალ ფაქტორს. თუმცა, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია მოუწოდებს ქვეყნებს, დაადგინონ მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთაც, როგორც ითვლება, ბავშვს არა აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ინიშნება თავისუფლების აღკვეთა, ბავშვისათვის სასჯელის ეს სახე უნდა იყოს უკანასკნელი ზომა და უნდა იყოს მოკლევადიანი.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი (MACR) არის ის ასაკი, რომლის დროსაც არასრულწლოვანი შეიძლება პოტენციურად იყოს მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში. ამ ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანის მიმართ შეიძლება ჩატარდეს გამოძიება, ის ცნობილი იქნას დამნაშავედ და შეეფარდოს სასჯელი. დადგენილ მინიმალურ ასაკზე ქვევით ბავშვი არ უნდა მიეცეს პასუხისმგებაში. მას შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ მისი ინტერესების შესაბამისი არასისხლისსამართლებრივი ზომები.

თითოეულ ქვეყანას აქვს მკაფიოდ დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, იგი მერყეობს 6-დან 18 წლამდე, საერთო საშუალო ასაკია 11,5, ხოლო საშუალო – 12. კომიტეტი აღნიშნავს, რომ გაეროს წევრმა ქვეყნებმა უკანასკნელი 25 წლის მანძილზე შეიმუშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის აწევის მყარი ტენდენცია: 20-ამდე ქვეყანამ დააწესა ან აწია სისხლისსამართლებრივი ასაკი, 15-მდე ქვეყანა კი ჯერ განიხილავს საკითხს. აქედან გამომდინარე, CR-ის (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი) საერთაშორისო სტანდარტის ნორმად ითვლება 12 წელი. კომიტეტი მიიჩნევს რომ 12 წელი არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის ყველაზე დაბალი ზღვარი, რომელიც არ ეწინააღმდეგება ბავშვთა დაცვის კონვენციას. ეს დასკვნა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მინეული როგორც რეკომენდაცია, MACR-ის ასაკად დადგინდეს 12 წელი, ასევე არ უნდა

¹ Caroline Hamilton “Commentary on Proposed Amendments to the Criminal Code of Georgia” ასევე იხ <http://www.anairhoads.org/calderon/agedefense.shtml>

ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი მინიმალური ასაკის დაწესებად. პირიქით, კომიტეტი ასკვნის, რომ 12 წელზე ნაკლები MACR-იეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს. წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ საკანონმდებლო ცვლილებები, რათა მიუახლოვდნენ ამ სტანდარტს და უნდა წარმოუდგინონ გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ ხორციელდებოდა ეს ცვლილებები.¹

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ერაყის ქურთისტანში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი აწეულ იქნა 9 წლიდან 11 წლამდე, მაშინ როდესაც საქართველოში, რომლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან იწყება, 2008 წლიდან იგეგმება დანაშაულისათვის სასჯელის შერაცხვა 12 წლიდან.

ევროსაბჭოს ქვეყნების პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი წევრ-სახელმწიფოებში საკმაოდ მაღალია. ავსტრიაში, ბელგიაში, ლიტვასა და ლატვიაში სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის ასაკია 16 წელი; ჩეხეთში, დანიაში, ესტონეთში, ფინეთში, ნორვეგიაში, შვედეთსა და სლოვაკეთში - 15 წელი; გერმანიაში, ესპანეთში, სლოვენისა და იტალიაში - 14 წელი; გამონაკლისებს წარმოადგენს საბერძნეთში-14 წელი, დიდი ბრიტანეთი-8/10 წელი და საფრანგეთი-13 წელი.

დამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე “X” შვეიცარიის წინააღმდეგ (X. v. Switzerland), და “ტ” გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (T.v. THE UNITED KINGDOM) სისხლისსამართლებრივ ასაკთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ტერმინ “არასრულწლოვანი” დამოუკიდებელი კონვენციისეული მნიშვნელობა აქვს. 18 წლის ასაკს მიუღწეველი ყველა პირი შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვნად. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 72(29) რეზოლუცია რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს, რათა არასრულწლოვანის ასაკად 18 წელი იქნას დადგენილი.

მართალია, მსოფლიო პრაქტიკა იცნობს 12 წლიდან და უფრო დაბალი ასაკიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას, მაგრამ ამ ქვეყნებში დანერგილია და უკვე აპრობირებულია არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მუშაობის მრავალფეროვანი მექანიზმები (მაგალითად, “მედიატორი” სლოვენიაში, სხვა სოციალური სამსახურები), რომელთა მწყობრი მუშაობა წარმოადგენს არასრულწლოვანი პირის სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოთავსების ალტერნატივას.

ამასთან იმ ფაქტსაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ 12 წლიდან და უფრო დაბალი ასაკიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ძირითადად დამკვიდრებულია ანგლო-საქსონური სამართლის (common law) ქვეყნებში. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კანონმდებლობაც და სასამართლო პრაქტიკაც აგებულია ანგლო-საქსონური სამართლებრივი სისტემის სპეციფიკაზე, რომელიც ხშირად ვერ ერგება რომაულ-გერმანული სამართლებრივი სისტემაში (civil law) მოქმედი ქვეყნების სამართალს.

სწორედ სანქციების დაწესების პროცედურა უნდა იყოს განსხვავებული სრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ დაწესებული კანონებისგან. **რასრულწლოვანთა სამართალში არანაირი დასჯა არ უნდა იყოს გამოყენებული. მიზანი უნდა იყოს პასუხისმგებლობის დაკისრება და, პარალელურად, რეი-**

¹ <http://www.pmg.org.za/docs/2003/appendices/030310minimumage.htm>

ნტეგრაციის ხელშეწყობა. ესე იგი, საჭიროა სანქციების ნოვატორული და ეფექტური ფორმის პოვნა.¹

ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ მშობლები და არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლები, ოღონდ ისე, რომ ამან ბავშვის რეადაპტაციის საწინააღმდეგო შედეგი არ მოგვცეს. როგორც არ უნდა იყოს პროცედურა, მასში ჩადებული უნდა იყოს შესაძლებლობა ბავშვისათვის – დაიცვას იგი მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებებისაგან.

საინტერესოა საერთაშორისო ექსპერტების შეაფასება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, UNICEF-ის ექსპერტის, ქეროლან ჰამილტონის აზრით, "საქართველოს სისხლისმართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა ძალიან უხეშია და არ ემსახურება ბავშვების მოთხოვნილებებს. სამწუხაროდ საქართველოში თავისუფლების აღკვეთა არის პირველი და ერთადერთი ზომა და ის არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ყველანაირი ზომა უნდა იყოს მიღებული, რომ სასამართლომდე თავისუფლების აღკვეთის მაგივრად გამოყენებულ იქნას სხვა ალტერნატიული ზომები.

დაპატიმრებული ბავშვი საკმაოდ დიდ დროს ატარებს პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში და ხშირად უწევს ყოფნა სრულწლოვან დამნაშავეებთან ერთად. საკნების მდგომარეობა არადაამაყოფილებელია და ისინი ეწინააღმდეგება ბავშვთა ინტერესებს. საკნებში ბავშვებს არა აქვთ განვითარებისა და განათლების საშუალება".² ციხე წარმოადგენს მომავალი კრიმინალისა და რეციდივისტის ჩამოსაყალიბებელ ადგილს.

სისხლისმართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება, ექსპერტის აზრით, წამოჭრის საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემებს საქართველოსთვის. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ საერთაშორისო ვალდებულებების აღიარებასთან, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს, არამედ ასევე იმ მეთოდთან, რომლითაც სისტემა აკმაყოფილებს დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფთა და დამნაშავე ბავშვთა მოთხოვნილებებს. მთავრობას სურს რეაგირება მოახდინოს 12 და 13 წლის ასაკის ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენაზე. ჩვენი აზრით, საკითხი სხვაგვარად უნდა დასვას: არის თუ არა სისხლისმართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება ყველაზე ეფექტური გზა ამ ჯგუფში დანაშაულებრივი მოქმედებების შესამცირებლად და შეამცირებს თუ არა დანაშაულებრივი მოქმედებებს ამ ბავშვების კრიმინალიზება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლის ნებისმიერი განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი სისტემის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია (ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის 37-ე მუხლი).

ისმის შეკითხვა - ასაკის შემცირება ეფექტური შემაკავებელი საშუალება იქნება 12-14 წლის ასაკის ბავშვებისათვის? ამ კითხვაზე ქეროლან ჰამილტონი შემდეგ პასუხს სცემს: ***“12 და 13 წლის ბავშვების უმეტესობას ესმის კარგისა და ცუდის ცნება. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ შეუძლიათ გაიგონ შემოთავაზებული შედეგების არსი: ე.ი. თუ ისინი ჩაიდენენ დანაშაულებრივ ქმედებას, ისინი დაკავდებიან, მათ დაეკისრებათ ჯარიმა, გაასამართლებენ და დააპატიმრებენ. ამ ასაკის ბავშვებს იშვიათად***

¹ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის, თომას ჰამარბერგის პოზიცია ბავშვთა დამნაშავეობის მიმართ. „ევროპა, რომლის აშენებაც ჩვენ ბავშვებისათვის და ბავშვებთან ერთად გვსურს, იმ ბავშვებსაც გულისხმობს, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო“. www.coe.int/commissioner

² www.unicef.org

აქვს ცხოვრების გამოცდილება ან შემეცნებითი შესაძლებლობა, გააცნობიერონ და სრულად გაიგონ მთელი რიგი ამგვარი პოტენციური შემთხვევები. შემოთავაზებები „ძალიან შორეულია“ მცირე ასაკის ბავშვებისათვის და არ მიიჩნევა მათთვის შესაფერისად. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ჩემცირება ნაკლებად იმოქმედებს, როგორც შემთავაზებული საშუალება ამ ჯგუფში”.¹

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დანაშაულზე რეაგირება არასისხლისსამართლებრივ დაწესებულებაში და ბავშვის მოცილება სისხლის სამართლებრივ სამართალწარმოების სისტემისგან უფრო მეტად უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენის შემცირებას, ვიდრე სისხლის სამართლებრივი დევნა. იმ სახელმწიფოებში, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელზე დაბალია, მთელი რიგი ზომები გამოიყენება დანაშაულის ჩადენი ბავშვის მიმართ, სანამ განიხილება სისხლის სამართლის დანაშაულში მისი ბრალდების საკითხი. ეს გულისხმობს გაფრთხილებებსა და შენიშვნებს, ოჯახთან მუშაობას, ინტენსიურ მუშაობას არასრულწლოვნებთან დანაშაულებრივი ქმედებების აღმოფხვრის მიზნით, სოციალური სამსახურების ჩართვას, რომლებიც აღმოუჩენენ სოციალურ დახმარებას არასრულწლოვნებს და მათი ოჯახის წევრებს, ასევე საგანმანათლებლო და ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურების საქმიანობის გააქტიურებას. ესენი არიან მხოლოდ ის ბავშვები, რომელთა დანაშაული არ ექვემდებარება კონტროლს (ე.ი. რამდენჯერმე ნასამართლევი დამნაშავეები) ან ისინი, ვინც ჩაიღინეს მართლაც სერიოზული დანაშაული, როგორცაა მკვლელობა, გაუპატიურება ან შეიარაღებული ყაჩაღობა და, რომლებიც როგორც ჩანს, სასამართლოს წინაშე აღმოჩნდებიან 15 ან 16 წლის ასაკამდე.²

ყურადღება უნდა დაეთმოს განაჩენის გამოტანის საზოგადოებაზე ორიენტირებული ალტერნატიული სქემების შემუშავებას, რათა დაკმაყოფილდეს რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მიზნები. ამგვარი სქემები შეიძლება გაფართოვდეს, რათა პროგრამები შეეთავაზოთ იმ ბავშვებს, რომლებმაც ჩაიღინეს დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიღწევამდე.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ საერთაშორისო პრაქტიკას ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოში არასრულწლოვანის საქმეების განხილვისას, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს სპეციალიზირებული სასამართლოები.

არასრულწლოვანთა საქმეების განხილვას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც პასუხისმგებლობის ასაკი 14 წლიდან იწყება, ცალკე მოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი სასამართლოები. მაგალითად, გერმანიაში არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ არის ყველა ის სამართალდარღვევა, რომლებიც ჩაიღინეს 14-დან 20 წლამდე ახალგაზრდებმა. მათ მიმართ პირველ რიგში გამოიყენება აღმზრდელობით ან გამოსასწორებელი ღონისძიებები. თავისუფლების აღკვეთა კი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზემოაღნიშნული ზომები არასაკმარისია ან დამნაშავეს ბრალი საკმაოდ მძიმეა. არასრულწლოვანი სასჯელს იხდის სპეციალურ გამასწორებელ

¹ იქვე.

² www.unicef.org. კეროლან ჰამილტონი: “კომენტარები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ”.

დაწესებულებებში, სადაც გათვალისწინებულია ამ ასაკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს შეუძლია შეუმსუბუქოს 18-21 წლის დამნაშავეებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები.

იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვნები ასაკის გამო ვერ იქნებიან მიცემული პასუხისმგებლობაში, სასამართლო მათ საქმეებს გადასცემს მეურვეობის საქმეების განმხილველ მოსამართლეს.

მოსამართლეებს, პროკურორებს და გამომძიებლებს უნდა ჰქონდეთ პედაგოგიური კვალიფიკაცია და არასრულწლოვნებთან მუშაობის გამოცდილება.

სასამართლო სხდომები ყოველთვის დახურული ხასიათისაა, ის შეიძლება მიმდინარეობდეს ასევე დახურულ კარს მიღმა, თუ ეს აღმზრდელობითი მიზნებიდან გამომდინარეობს. პირებს, რომლებსაც ევალებათ მათი აღზრდა, საკმაოდ ფართო უფლებები გააჩნიათ ამ სფეროში.

სასამართლოს დახმარების სამსახური შეისწავლის დამნაშავეს პიროვნებას, მისი ხასიათის ჩამოყალიბების თავისებურებებს, მის გარემომცოფებს და წარმოადგენს თავის პოზიციას არასრულწლოვანთან დაკავშირებით. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოწვეულნი იყვნენ ექსპერტები.

იტალიაში მოქმედებს არასრულწლოვანთა საქმეების ტრიბუნალი

ეს ტრიბუნალი მოქმედებს საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოსგან განცალკევებით ამ უკანასკნელის ტერიტორიულ ფარგლებში. კოლეგია შედგება სააპელაციო სასამართლოს მაგისტრატისაგან (თავმჯდომარე), ტრიბუნალის მაგისტრატისაგან და ორი საპატიო მოსამართლისაგან (ქალი და მამაკაცი), რომლებიც არჩეულნი არიან ფსიქიატრიის, სისხლისსამართლის ანთროპოლოგიის, პედაგოგიის და ფსიქოლოგიის ექსპერტთა რიცხვიდან.

სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საქმეებს - არასრულწლოვანთა შვილად აყვანა, მათი გადაცემა საზოგადოებრივი მეთვალყურეობის ქვეშ, უფლებაუნარიობისა და ქმედუნარიანობის ჩამორთმევა არასრულწლოვანობის ბოლო წელს და არასრულწლოვანის მიერ მეწარმეობის საქმიანობის უფლება განხორციელება.

სააპელაციო სასამართლოს სპეციალური სისხლის სამართლის პალატა განიხილავს აპელაციებს, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა საქმეებზე ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს. ის შედგება ხუთი წევრისაგან: საკასაციო სასამართლოს მაგისტრატისაგან (თავმჯდომარე), სააპელაციო სასამართლოს ორი მაგისტრატისაგან და ორი ექსპერტისაგან (ქალი და მამაკაცი).

სააპელაციო სასამართლოს ამ პალატის დადგენილებები შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.

ასევე არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი სპეციალური სასამართლო მოქმედებს მალტაში.

არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს კანონი ითვალისწინებს ამ სასამართლოს შექმნას, რომელიც განიხილავს იმ პირთა საქმეებს, რომლებიც არიან 16 წელზე ნაკლები ასაკის. ამ სასამართლოს ისეთივე კომპეტენცია აქვს, როგორც მაგისტრატების სასამართლოს.¹

¹ Судебные системы европейских стран. М.2002, стр. 81-82,144,171

თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ საერთაშორისო პრაქტიკას ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

ახალ ზელანდიაში ახალგაზრდა დამნაშავეთათვის მოქმედებს 2 ტიპის სასამართლო: პირველი - საოჯახო საქმეთა სასამართლო, რომლის კომპეტენციაში შედის ყველა საქმე 14 წლამდე ბავშვებთან დაკავშირებით, აგრეთვე საქმეები „ზრუნვისა და დაცვის შესახებ“ და ოჯახურ პრობლემებთან დაკავშირებით.

მეორე ტიპს კი განეკუთვნება ახალგაზრდათა საქმეების სასამართლო, რომელიც განიხილავს 14-17 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს.

საფრანგეთში არ შეიძლება 13 წლამდე ასაკის ბავშვის დაკავება. თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში, თუ არის საკმარის მტკიცებულებები რათა ვივარაუდოთ, რომ 10-13 წლის ბავშვმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს 7 წლით და მეტი ხნით თვისუფლების აღკვეთას, ის შეიძლება პროკურორის ან გამომძიებლის (რომელთა სპეციალიზაციასაც წარმოადგენენ არასრულწლოვანთა საქმეები) ბრძანებით დაკავებული იქნას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 საათს. დაკავებისთანავე ამის შესახებ უნდა ეცნობოთ მშობლებს, მეურვეს ან სამსახურს, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვზე. დაკავების მომენტში პროკურორი ან მოსამართლე გამოიძახებს ექიმს, რომელმაც უნდა ჩაატაროს სამედიცინო გამოკვლევა. თუ ჩადენილ დანაშაულზე გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის საქმეზე მოსამართლეს ერთპიროვნულად გამოაქვს გადაწყვეტილება, ხოლო 16-დან 18 წლამდე ახალგაზრდის საქმეს განიხილავს მსაჯულთა იუვენალური სასამართლო.

არაუმეტეს 5 წლისა, დაკავებული არასრულწლოვანი უნდა გათავისუფლდეს.

ნიდერლანდებში მოქმედებს კანონი იუვენალური იუსტიციის შესახებ. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 12 წლის ასაკიდან. 1995 წელს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა გაიზარდა 6 თვიდან 12 თვემდე (12-15 წლის ასაკის ბავშვებისათვის) და 24 თვემდე 16-17 წლის ბავშვებისათვის. მიზეზად ასახელებენ არასრულწლოვანი პატიმრებისათვის განათლების დასრულების აუცილებლობას.

დანიის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის ასაკია 15 წელი. ქვეყანაში მოქმედებს იუვენალური სასამართლოები. მაგრამ ამასთანავე კანონმდებლობით დაშვებულია არასრულწლოვანთა მოთავსება უფროსებთან ერთად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

პოლონეთი: კონსტიტუციაში ბავშვის კეთილდღეობაზე ზრუნვა მიჩნეულია პრიორიტეტულ საკითხად. კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია ბავშვის საკითხებზე რწმუნებულის დანიშვნა.

კონსტიტუციის თანახმად არასრულწლოვანია პირი 18 წლის ასაკამდე. მოზარდად ითვლება პირი 17-24 წლის ასაკამდე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი).

არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოება განსხვავდება როგორც კანონებსა და სასამართლოებში, ასევე აღმასრულებელ დაწესებულებებში. არასრულწლოვანთა განაჩენის აღსრულების დაწესებულებები ექვემდებარება

განათლებისა და აღზრდის სამინისტროს. ამ დაწესებულებების მომსახურე პერსონალი აუცილებლად სამოქალაქო პირია.

პოლონეთში მოქმედებს კანონები არასრულწლოვანთა მიმართ სამართლისწარმოების შესახებ და არასრულწლოვნებთან მოპყრობის შესახებ. ასევე მოქმედებს აღმასრულებელ ორგანოთა მიერ გამოცემული ოცდაათამდე კანონქვემდებარე აქტი, რომელნიც განსაზღვრავს არასრულწლოვნებთან მოპყრობის ზომებს ბავშვთა პოლიციის პალატებში, აღმზრდელობით და გამასწორებელ დაწესებულებებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. მნიშვნელოვანია საოჯახო და სამეურვეო კოდექსიც.

არასრულწლოვანთა დაწესებულებათა ტიპებია:

- 1) პოლიციის ბავშვთა პალატა (ათავსებენ პოლიციის მიერ დაკავებულ არასრულწლოვნებს, რომელნიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულის ჩადენაში. დაუშვებელია დაკავება 48 საათზე მეტი ხნის ვადით);
- 2) არასრულწლოვანთა თავშესაფარი;
- 3) სასწრაფო სამეურვეო დახმარება;
- 4) აღმზრდელობითი დაწესებულება;
- 5) გამასწორებელი დაწესებულებები.

პოლონეთში მოქმედებს საოჯახო და სამეურვეო სასამართლოები, რომელთაც ბავშვზე ზემოქმედების მეტი საშუალება აქვთ, ვიდრე სისხლის სამართლებრივ სასამართლოებს.

დაპატიმრებული (მსჯავრდებული) არასრულწლოვნები სარგებლობენ მეტი უფლებებითა და თავისუფლებებით, ვიდრე უფროსი პატიმრები. მათთვის მოქმედებს კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული პროგრამები. მიმდინარეობს შეხვედრა მშობლებთან და ახლობლებთან. არასრულწლოვნების გამოსწორების პროცესში დახმარების გაწევის მიზნით ფართოდ გამოიყენება თანამშრომლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სოციალურ დაწესებულებებთან.

ბულგარეთი: სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 14 წლის ასაკიდან. ბულგარეთში გათვალისწინებულია დასჯის ალტერნატიული ზომები: 1) საზოგადოებრივი გაკიცხვა; 2) ვალდებულება ბოდიშის მოხდის შესახებ; 3) გაფრთხილება; 4) მეთვალყურეობა მშობლების ან მეურვეების მხრიდან, რომელნიც ვალდებულნი არიან განსაკუთრებით იზრუნონ ბავშვზე; 5) სოციალური მუშაკის მეთვალყურეობა; 7) ზარალის ანაზღაურება; 8) საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა; 9) რეფორმატორიუმში მოთავსება; 10) გაფრთხილება; 11) გამასწორებელ ინტერნატში არაუმეტეს ექვსთვიანი საცდელი ვადით მოთავსება.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოქმედებს სოციალური პროგრამები: მომზადება გათავისუფლებისათვის, პროფესიული მომზადება, დაწყებითი და საშუალო განათლების მიღება.

სლოვენიაში რეგულაციის საინტერესო პროცედურა წარმოადგინეს. ყველა საქმე, რომელიც არასრულწლოვან დამნაშავეს ეხება, პროკურორის, დაზარალებულის და დამნაშავის თანხმობით გადაეცემა მედიატორს, რომელიც ეძებს ისეთ გამოსავალს, რომელიც მისაღები იქნება როგორც დაზარალებულისათვის, ასევე დამნაშავისათვის. ასეთი პრაქტიკა სასამართლო განხილვის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

და ბოლოს, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ იმ არასრულწლოვნებს, რომელთაც სასჯელის ზომად შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა, გააჩნიათ რეციდივიზმის ყველაზე დიდი მაჩვენებელი. თითქმის 80% ხელმეორედ ჩადის დანაშაულს ორი წლის

განმავლობაში. ამგვარი რეციდივიზმის მიზეზი კარგად არის ცნობილი: იმ პრობლემების გადაუწყვეტობა, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან. უსაფუძვლო არ იქნება თუ დავასკვნით, რომ ასაკის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის ჩადენის მაჩვენებლების ზრდა, ვიდრე სასურველი შემცირება.¹

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაბალი ასაკის დამკვიდრების მაგალითად ხშირად მოჰყავთ შოტლანდიის მაგალითი, სადაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 8 წლის ასაკიდან. თუმცა ე.წ. “ბავშვთა საქმეების მოსმენის” პროგრესული სისტემა ფაქტობრივად 16 წლამდე (ხშირ შემთხვევაში კი - 17 წლამდე) ასაკის ბავშვებს, რომლებმაც ჩაიდინეს სამართალდარღვევა (მძიმე დანაშაულთა გამოკლებით), საშუალებას აძლევს, თავი აარიდონ მართლმსაჯულების ფორმალურ სისტემასთან კონტაქტს. ბავშვთა მოსმენის სისტემა სწავლობს ბავშვის საერთო მდგომარეობას და გარემოს, მის საჭიროებებს და ასევე იმას, რაც მათ სავარაუდოდ ჩაიდინეს. მოზარდები, ნაცვლად იმისა, რომ წარდგენს სასამართლოს წინაშე, ესწრებიან მოსმენას, რომელიც ტარდება ნაკლებად ფორმალურ და მტრულ ვითარებაში, ვიდრე სასამართლო განხილვა. მოსმენის მსვლელობისას კოლეგია, რომელიც შედგება საზოგადოების სპეციალურად მომზადებული წარმომადგენლებისაგან, საქმის მშობლებთან, სოციალურ მუშაკებთან და თვით ბავშვთან განხილვის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას ზემოქმედების ზომების შესახებ, რომელიც ეფუძნება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს. ამ მოსმენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს მეშვეობით.²

საქართველოს კანონმდებლობა

როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები და დამატებები, ასევე სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების განმარტებითი ბარათის მიხედვით, არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას და კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინა, ნათლად მეტყველებს, რომ საქართველოში იმატა არასრულწლოვანთა დანაშაულებმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოში არ ტარდება სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებები; არ არსებობს სპეციალური სტრატეგია არასრულწლოვან დამნაშავეებთან მუშაობის შესახებ. როკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მხოლოდ 2006 წლის 9 თვის მონაცემებით, გამოძიება შეწყდა 184 საქმეზე, მათ შორის, 121 საქმეზე (65%) სწორედ იმის გამო, რომ პირი არ იყო მიღწეული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს (14 წელი). აღნიშნული ციფრი დაახლოებით 70%-ით გაზრდილია 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, 14 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმეტესობა მოდის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, ანუ იმ დანაშაულებზე, რომლისთვისაც კანონმდებელს შემოაქვს პასუხისმგებლობა 12 წლის ასაკიდან. სწორედ ამ მოტივით კანონმდებელი ცდილობს გაამართლოს საქართველოში 12 წლიდან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება.

¹ www.unicef.org

² იქვე, გვ.10.

განვიხილოთ საკითხი დეტალურად.

1) საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის თანახმად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გულისხმობს არასრულწლოვანთა და ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების ახალი წესების ამოქმედებას, რაც გულისხმობს არასრულწლოვანთა საქმეებზე მოსამართლეთა საბაზისო ტრენინგების ჩატარებას, ასევე მოსამართლეთა განსაზღვრული კონტიგენტისთვის (60 მოსამართლე) სპეციალიზირებული ტრენინგების განხორციელებას და სპეციალური კურსების ჩატარებას რაიონის თითო პროკურორისთვის, რათა მათ შეძლონ არასრულწლოვანებთან მუშაობა. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზირებული ტრენინგებისთვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია 13,692 ლარი, რომლის დაფინანსების წყარო ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტია, ხოლო დამატებითი წყაროების მოძიება შესაძლებელია საერთაშორისო დონორებისგან.

საგულისხმოა, რომ სამოქმედო გეგმით არასრულწლოვანების საკითხთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია მხოლოდ მოსამართლეთა და პროკურორთა ტრენინგები და არაფერია ნათქვამი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწვევაზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული საკითხი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას საერთოდ არ იდგა დღის წესრიგში და გაუგებარია ასე ნაჩქარევად რატომ გახდა საჭირო არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხის ახლებური გადაწყვეტა.

ასევე, სამოქმედო გეგმის თანახმად რეფორმები ტარდება დანაშაულის პრევენციის მიზნით, რაც გულისხმობს დანაშაულის პრევენციის ერთიანი ეროვნული პროგრამის შემუშავებას. სამოქმედო გეგმის არც აღნიშნულ ნაწილშია რაიმე ნათქვამი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწვევაზე. ხოლო, სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების გეგმაში, სადაც საუბარია ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობების და საპატიმრო დაწესებულებების მშენებლობაზე, რისი განხორციელებაც 2007-2008 წწ პერიოდს მოიცავს, არ არის მოხსენიებული არასრულწლოვანთათვის სასჯელაღსრულების დაწესებულების მშენებლობა.

2) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად 2008 წლის 1 ივლისამდე უნდა მოხდეს მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა, რომელთაც უნდა განიხილონ არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეები, გადამზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელება. ფაქტია, რომ დღეს მოსამართლეთა გადამზადების პროგრამა ჯერ არ არის შემუშავებული. გადამზადების ასეთი პროგრამის შემუშავება საკმაოდ კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რამაც უნდა მოიცვას მეცნიერების სხვადასხვა დარგის გამოცდილება, კერძოდ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და ფსიქიატრიის. არასრულწლოვანები თავისი ფსიქიკური თუ ფიზიკური განვითარების გამო საჭიროებენ მათდამი ფაქიზ დამოკიდებულებას. მოსამართლის თუ პროკურორის მიერ სპეციალური გადასამზადებელი კურსების გავლა არ არის საკმარისი, რომ მას უფლება ჰქონდეს, აწარმოოს არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეები. ვინაიდან სპეციალური გადამზადების გარდა, არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლების, პროკურორების და გამომძიებლების შერჩევა უნდა მოხდეს მათი მაღალი ზნეობრიობისა და სამაგალითო პიროვნული თვისებების ნიშნით.

ამდენად, ცხადია, რომ არასრულწლოვანთა საქმის მწარმოებელი მოსამართლეების, გამომძიებლების და პროკურორების კორპუსის მომზადებას დასჭირდება ხანგრძლივი პროცესი და მოსამართლეები, პროკურორები და

გამომძიებლები უნდა იყვნენ მაღალ დონეზე მომზადებულნი. გასათვალისწინებელია, რომ 12 წლიდან 14 წლამდე არასრულწლოვანი პირები წარმოადგენენ ქვეყნის მომავალ თაობას და ამ თვალსაზრისით, სახელმწიფომ ორიენტირება უნდა აიღოს არასრულწლოვანთა აღმზრდელი პროგრამების შემუშავებაზე, რადგან საზოგადოებისთვის უფრო მეტი ზიანის მომტანი იქნება არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ არასწორი სადამსჯელო პოლიტიკის გატარება, რაც განაპირობებს მომავალი თაობის კრიმინალიზებას

3) UNICEF -ის მიერ შემუშავებულ პროექტში “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში”, რომელიც მოიცავს 2006-2010 წწ. საქართველოში განსახორციელებელ რეფორმებს, ასევე არაფერია ნათქვამი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დაწევაზე. არსებული პროექტი მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობას საქართველოში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა წარმოადგენს UNICEF -ისა და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს 2006-2010 წლებში.

პროექტის მთავარი მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა მართლმსაჯულების სისტემაში, როგორც ეს დადგენილია გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციაში, და მათი პატივისცემა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ის ასევე შეეცდება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა შეუსაბამოს ევროპულ სტანდარტებს და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციას.

UNICEF -ის მიერ მომზადებული პროექტისათვის გამოყოფილია 1,097,000 მილიონი დოლარი 3 წლის განმავლობაში 2007-2009 წლამდე და ის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის შემცირებას;
2. სამართლებრივ რეფორმას, პოლიტიკის შემუშავებასა და პროპაგანდას;
3. თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივებს, სოციალურ რეინტეგრაციას და მართლმსაჯულების სისტემაში მყოფ ბავშვთა იურიდიულ დახმარებას.

პროექტი განხორციელდება იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს დახმარებით და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პროექტი მიზნად ისახავს შემდეგი შედეგების მიღწევას: ა) მომსახურებებს მოზარდებისათვის, რათა შემცირდეს მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობა; ბ) საკანონმდებლო სტრუქტურა და გაძლიერებული პოლიტიკის დაპატიმრების ალტერნატიული ზომის ძიების სფეროში; გ) ეფექტური და შესაბამისი მოპყრობა მართლმსაჯულების სისტემაში მყოფ ბავშვებზე (მსხვერპლი, მოწმეები და კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი ბავშვები), რომელიც დაფუძნებული იქნება მეგობრულ ურთიერთობაზე; დ) დაკავებული ბავშვებისათვის განათლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ის ხელს შეუწყობს მთავრობას, გადავიდეს ალტერნატიულ ზომებზე (საზოგადოებრივი სამუშაო და პრობაცია) 2007 წლის დასასრულისათვის, შეამციროს 50%-მდე ბავშვების წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა და უზრუნველყოს თავისუფლებად დაბრუნების ბავშვებისათვის იურიდიული დახმარება 100%-ით.

4) 2007 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიდან ისიც არ ჩანს, რომ სახელმწიფო მზადაა ჩადოს გარკვეული რესურსები საზოგადოებაზე ორიენტირებულ პრევენციულ და დანაშაულზე რეაგირების პროგრამებში, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ სასჯელის ალტერნატიულ საშუალებების ჩამოყალიბებას. თუ ამ

კუთხით ხელისუფლება არ გადადგამს გარკვეულ ნაბიჯებს, 12 და 13 წლის დაკავებული ბავშვები, განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებიან.

მაგალითად, თუ გადავხედავთ საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, დავინახავთ, რომ იმ დაწესებულებებში, რომლებიც ადრე სახელმწიფოს დოტაციაზე იმყოფებოდნენ და მოზარდთა ზრუნვის მიზნით იყვნენ შექმნილი, 2007 წლის ბიუჯეტით მათი არსებობა საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

აღნიშნულ პროექტში მითითებულია, რომ საქართველოში არ არსებობს განცალკევებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც დააკმაყოფილებს ბავშვების სპეციალურ მოთხოვნილებებს. საბჭოთა პერიოდისაგან განსვავებით, სადაც არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობდნენ სპეციალური სასამართლოები და სპეციალიზირებული მოსამართლეები, დღესდღეობით არ არის სპეციალიზირებული მართლმსაჯულების ორგანოები, არ არიან არასრულწლოვანთა საქმეებში სპეციალიზირებული მოსამართლეები ან პროკურორები და გამომძიებლები, რომელთა კომპეტენციაში შედის ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების შემოწმება. პროექტში მითითებულია, ამის შედეგად მართლმსაჯულების ჩინოვნიკები არ ატარებენ სპეციალიზირებულ ტრენინგებს ბავშვების მოთხოვნილებებზე მართლმსაჯულების სისტემაში და არასრულწლოვანთა საქმეები განიხილება სრულწლოვან დამნაშავეთა სისტემაში. ასეთმა გარემოებებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას სამართლიანი სასამართლოს პრინციპსა და ადამიანურ მოპყრობას. არ არსებობს ასევე ცენტრალიზებული ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. სტატისტიკა არის შეზღუდული და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი.

საგულისხმოა ისიც, რომ საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს არსრულწლოვან სამართალდარღვევთა განცალკევებას სრულწლოვნებისაგან, რომელიც ჩაწერილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლი უშვებს 16 წლის არასრულწლოვნის მოთავსებას სრულწლოვნებთან ერთად კონკრეტულ შემთხვევებში, განსაკუთრებით სასამართლომდე. ანალოგიურ დარღვევებს ადგილი აქვს, მაშინაც როდესაც სამართალდამრღვევ არასრულწლოვანი გოგონების მოთავსება ხდება სრულწლოვან ქალებთან.

5) “სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ კანონპროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის პროცესი. მოცემულ ეტაპზე დღის წესრიგში დგას არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების გადასინჯვისა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი, რამაც განაპირობა წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების და დამატებების მომზადება.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ “ზემოდჩამოთვლილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინალიზაციით კანონმდებელი ცდილობს ერთგვარი პრევენციული ზომების გატარებას, რათა მითითებული ასაკობრივი ჯგუფის პირთა მიერ საკუთარი ბრალეულობის გაცნობიერებით, მოსალოდნელი სასჯელის შიშით თუ სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით, სახელმწიფომ უზრუნველყოს სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება”.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან არ ჩანს, თუ რა სასწრაფო გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესება 12 წლიდან. კანონპროექტის განმარტებით ბარათში, კანონპროექტის მიზანში მითითებულია მხოლოდ ერთი ფრაზა “კანონპროექტი მიზნად ისახავს 12-14 წლამდე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხების მოწესრიგებას”. გარდა ამისა, კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ჩანს, რომ ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენება განპირობებულია “კანონიერი ბერკეტების გაძლიერების აუცილებლობით”.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის დაწვევა ასევე მოითხოვს საქართველოს სამართლის სხვა დარგების რევიზიას (შრომის სამართალი, საოჯახო სამართალი, სამოქალაქო სამართალი და სხვა), რაც ასევე არ ჩატარებულა კანონპროექტის ავტორების მიერ.

შეშფოთებას იწვევს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოში არ ჩატარებულა სპეციალური კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, არ არის შექმნილი სპეციალური მექანიზმები, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები, არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მუშაობის მიზნით.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წელს მიღებული საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი გახლდათ 16 წელი, ხოლო 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები პასუხს აგებდნენ მხოლოდ: მკვლელობისათვის; სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია; გაუპატიურებისათვის; ყაჩაღური თავდასხმისათვის; ბოროტი ან განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის; სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის; აგრეთვე ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენისათვის, რასაც შეიძლება გამოეწვია მატარებლის მარცხი¹.

1999 წელს ახალი სისხლის სამართლის კოდექსით უკვე შემცირდა პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი და განისაზღვრა 14 წელი. დღეს კი, განსახილველი კანონპროექტით, საკმაოდ ბუნდოვანი მიზეზების გამო, კიდევ ერთხელ ხდება ზღვარის დაწვევა 12 წლამდე.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად: “ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტიდან მოყოლებული წლის ასაკს მიღწეულ პირს”.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას სახეზე არ გვაქვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგებლობა და შესაბამისად ადმინისტრაციული გადაცდომა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამდენად, ადმინისტრაციული გადაცდომა, თავიანთი ხასიათით, გაცილებით უფრო ნაკლებად საშიშია საზოგადოებისათვის და ნაკლები ზიანის მატარებელია. თავად ადმინისტრაციული პატიმრობა კი არ იწვევს პირის ნასამართლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სახდელები, მოცემულ შემთხვევაში კი ადმინისტრაციული პატიმრობა, სისხლის სამართლის საპროცესო

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 12

კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახეებთან და ზომასთან შედარებით, გაცილებით უფრო მსუბუქია, და თუ შევადარებთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთასთან, ადმინისტრაციული პატიმრობა ნაკლებად მტკივნეულია, კანონმდებელმა, როდესაც 18 წელს მიუღწეველი პირებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება აკრძალა, გაითვალისწინა არასრულწლოვანის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტიც და მათდამი განსაკუთრებული მოპყრობის აუცილებლობა, რაც გულისხმობს არასრულწლოვანის კეთილდღეობის საკითხის პირველ პლანზე წამოწევას და ამ პრინციპის განუხრელად დაცვას.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებებით, წარმოიქმნება გარკვეული ურთიერთწინააღმდეგობა სხვა სამართლებრივ ნორმებთან. თუ ნაკლებად მტკივნეული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისას კანონმდებელი ითვალისწინებს და მხედველობაში იღებს პირის ასაკს, მაშინ გაცილებით უფრო მძიმე სასჯელის ზომის და სახის გამოყენებისას რატომ არ სურს კანონმდებელს გაითვალისწინოს პირის ასაკი, მისი ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების მდგომარეობა?

საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. ასევე, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ ზღუდავს მის სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. გარდა ამისა, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

აღნიშნული ნორმიდან აშკარად ჩანს კანონმდებლის ფრთხილი მიდგომა არასრულწლოვანისადმი. ნათელია, რომ მოცემული ნორმის დადგენისას მხედველობაში იქნა მიღებული არასრულწლოვანის ზნეობრივი, ფიზიკური და გონებრივი განვითარების ფაქტორები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების და დამატებების პროექტის მიზნები და შინაარსი საქართველოს შრომის კოდექსთანაც წინააღმდეგობაში მოდის. თუ მოზარდის ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების დონე არ გვაძლევს შესაძლებლობას, რათა მათ ისევე მოვეპყროთ, როგორც ზრდასრულ, სრულწლოვან პირებს და ცხადად გვაქვს გაცნობიერებული, რომ 16 წელს მიუღწეველი პირი მისი ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების დონიდან გამომდინარე ვერ განახორციელებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს ისე, როგორც ამას ახორციელებს ზრდასრული პირი, მაშინ რატომ ვფიქრობთ, რომ 12 წლის ასაკიდან პირს შესწევს უნარი სრულფასოვნად ჰქონდეს გაცნობიერებული კანონპროექტში ჩამოთვლილ სისხლის სამართლის დანაშაულთა ხასიათის სიმძიმე, სურდეს მათი ჩადენა, აცნობიერებდეს შესაძლო მძიმე შედეგის დადგომას და სურდეს ასეთი შედეგი?

სამწუხაროდ, აღნიშნული კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებებისა და დამატებების მიღება ბევრ პრობლემას წარმოშობს და გაურკვევლობას შემოიტანს საქართველოს საკანონმდებლო სისტემაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო და სისხლის სამართლის კანონში შესატანი ცვლილებები არ შეიძლება განიხილებოდეს

განცალკევებით სხვა საკანონმდებლო ნორმებისგან, მით უფრო, რომ არასრულწლოვანთა ურთიერთობებს არაერთი ნორმა აწესრიგებს. ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1107-1108-ე მუხლებით განსაზღვრულია დაქორწინებისთვის აუცილებელი პირობები, რომლის თანახმად საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში დაშვებულია თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.

ასევე, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა გულისხმობს პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ქმედუნარიანობა პირს წამოეშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე ანუ 18 წლის ასაკიდან. შეიდიდან თვრამეტე წლამდე არასრულწლოვანი ითვლება შეზღუდულ ქმედუნარიანად.

თუ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები განხორციელდება, მაშინ ისინი სამოქალაქო კოდექსის ნორმებთანაც წინააღმდეგობაში მოექცევა. აქაც იგივე პრობლემებს ვაწყდებით, რასაც ზემოთ მოყვანილ ნორმებთან მიმართებაში. 18 წლის ასაკამდე პირი, გამონაკლის შემთხვევებში კი 16 წლის ასაკამდე ითვლება შეზღუდულ ქმედუნარიანად, რაც განპირობებულია მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით. რასრულწლოვანისადმი აღნიშნული დამოკიდებულება არ იწვევს არავითარ დავას და აზრთა სხვადასხვაობას სისხლის სამართლის კოდექსის გარდა. მაშინ იბადება ბუნებრივი შეკითხვა, რატომ გახდა ასეთი აუცილებელი სისხლის სამართლის კოდექსით არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის ასაკის 14-დან 12 წლამდე დაწვევა? თუ მივიჩნევთ, რომ 12 წლის ასაკიდან არასრულწლოვანის გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონე ისეთია, რომ მან შეიძლება სისხლის სამართლებრივად პასუხი აგოს ზემოთ მითითებულ დანაშაულთა ჩადენისთვის, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია არასრულწლოვანისთვის ფიზიკური ქმედუნარიანობის 12 წლის ასაკიდან დადგინა და საქორწინო ასაკის 12 წლამდე დაიწვევა, რაც რა თქმა უნდა გაუმართლებელია.

საგულისხმოა ასევე ის გარემოებაც, რომ დღეს საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შექმნილია უკიდურესად მძიმე მდგომარეობა პატიმართა ნორმალური ცხოვრებისთვის. აღნიშნულზე საუბრობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, უცხოელი დამკვირვებლები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები რაც მთავარია, არც სახელმწიფო უარყოფს ციხეებში ცუდი პირობების არსებობას. აღნიშნული მოვლენების ფონზე, რა თქმა უნდა, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ სახელმწიფო შესძლებს 2008 წლის 1 ივლისამდე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების აშენება/მოდერნიზაციას. ასევე, წარმოდგენილია, რომ დროის ასეთ მცირე მონაკვეთში მოხდება არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სპეციალიზირებული მოსამართლეების, პროკურორების და გამომძიებლების მომზადება.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთა ენიშნება არაუმეტეს ათი წლის ვადით. ასევე, ამავე კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი. გარდა ამისა, 50-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ განსასჯელი (მსჯავრდებული) არასრულწლოვანია, თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნახევრამდე მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა. ეს გახლავთ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინე-

ბული ის ძირითადი შედეგები, რითაც შესაძლოა ისარგებლოს არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა სასჯელის დანიშვნისას.

ამ მიმართებით, ნიშანდობლივია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მკვლელობის ჩადენა (სსკ 108-ე მუხლით) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან 17 წლამდე; დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენა (109-ე მუხლი) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე. იგივე მუხლის მაკვალიფიცირებელი მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 13-დან 17 წლამდე, ხოლო მესამე მაკვალიფიცირებელი თავი კი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლითაც (117 მ.) საკმაოდ მკაცრი სანქციებია გათვალისწინებული, მაგალითად, პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3-დან 5 წლამდე, მეორე ნაწილით - 4-დან 6 წლამდე, მესამე ნაწილით - 5-დან 7 წლამდე, მეოთხე ნაწილით - 6-დან 8 წლამდე, მეხუთე ნაწილით - 7-დან 9 წლამდე, მეექვსე ნაწილით - 8-დან 10 წლამდე, მეშვიდე ნაწილით - 9-დან 12 წლამდე, ხოლო მერვე ნაწილით - 10-დან 13 წლამდე; გაუპატიურება (137-ე მუხლი) პირველი ნაწილი ისჯება 4-დან 6 წლამდე, მეორე ნაწილი - 6-დან 9 წლამდე, მესამე ნაწილი - 9-დან 12 წლამდე, მეოთხე ნაწილი - 12-დან 15 წლამდე და მეხუთე ნაწილი კი 15-დან 20 წლამდე; ძარცვა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (178-ე მუხლის მე-2,3,4 ნაწილები) ისჯება შესაბამისად 4-დან 6 წლამდე, 5-დან 8 წლამდე, 7-დან 11 წლამდე; ყაჩაღობა (179-ე მუხლი) პირველი ნაწილი ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 7 წლამდე, მეორე ნაწილით - 6-დან 9 წლამდე, მესამე ნაწილით 8-დან 11 წლამდე და მეოთხე ნაწილით - 11-დან 15 წლამდე; 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე პირის ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (2381-ე მუხლი) ისჯება პირველი ნაწილი ჯარიმით, მეორე ნაწილი ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ჩამოთვლილი მუხლებიდან მხოლოდ 2381-ე მუხლი მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, დანარჩენი მუხლები კი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიებს წარმოადგენს და, შესაბამისად, მითითებული მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის გათვალისწინებულია საკმაოდ მკაცრი სანქციებია დაწესებული. და თუ გავითვალისწინებთ, რომ არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადითაც, მაშინ ცხადი გახდება, რომ აღნიშნული სანქციები საკმაოდ მკაცრია. როგორც აღვნიშნეთ, გარდა 2381-ე მუხლისა, კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის სახეს და „ფაქტობრივად სისხლის სამართლის კოდექსში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული ცვლილებების მიღებით, კანონმდებელი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აყენებს არასრულწლოვანს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებში არ არის ასახული ის აღმზრდელობით-სარებილიტაციო პროგრამები, რაც შეიძლება არასრულწლოვანის მიმართ იყოს გამოყენებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

საგულისხმოა, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ დადგენილი ნორმები არ აკმაყოფილებს არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის და რეინტეგრაციის მისაღწევად საჭირო პირობებს, რის გამოც აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირეული რეფორმა.

კიდევ ერთი პრობლემური საკითხი, რომელზედაც გვსურს გავამახვილოთ ყურადღება ეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-51 ნაწილის: „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს“.

სისხლის სამართალში პირი დამნაშავედ შეიძლება მიიჩნიოს მხოლოდ სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლო, გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლად აფასებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, მოქმედებდა თუ არა ბრალეულად და შესაბამისად გამოაქვს განაჩენიც. სასამართლო დამნაშავედ ცნობასთან ერთად პირს უნიშნავს სასჯელს. სასჯელის დანიშვნა ხდება მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მოქმედებდა ბრალეულად. სისხლის სამართალში აღნიშნული პრინციპი ცნობილია, როგორც სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

საქართველოს კონსტიტუციაში, მართალია, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი დეკლარირებული არ არის, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად: "საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან."

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის 1 პუნქტით აღიარებულია უდანაშაულობის პრეზუმპცია: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სასჯელის ინდივიდუალურობა ერთერთი ძირითადი პრინციპია.

მოქმედი კანონის მიხედვით, არასრულწლოვანი ან/თუ მსჯავრდებული გადახდისუუნაროა, მის ნაცვლად ჯარიმა შეიძლება დაეკისროს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, ჯარიმა წარმოადგენს სასჯელის სახეს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი“. შესაბამისად, პირი, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, სასამართლოს მიერ შეიძლება ცნობილი იქნას დამნაშავედ და დაენიშნოს სასჯელი. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია (სსკ მე-40 მუხლი). შესაბამისად, სასჯელმა გავლენა უნდა იქონიოს უშუალოდ დამნაშავეზე, ხოლო სასჯელით სხვა პირი არ უნდა დაზარალდეს. ჯარიმის მშობელზე, მეურვესა და მზრუნველზე დაკისრება ვერანაირად ვერ აღადგენს სამართლიანობას, ვერც ახალ დანაშაულის ჩადენას აიცილებს თავიდან და ვერც დამნაშავის რესოციალიზაციას შეუწყობს ხელს, პირიქით გამოიწვევს სხვა პირთა დასჯას, რაც ეწინააღმდეგება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი 42-ე მუხლის მე-51 ნაწილით სასჯელს აკისრებს პირს, რომელიც არ არის ბრალეული მართლსაწინაა-

დმდეგო ქმედების ჩადენაში და, შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, 1997 წლის 21 ივლისის №1/51 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად სცნო დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაცია. აღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ გარემოებასაც, რომ ქონების კონფისკაცია არ შეესაბამებოდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: "ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი ჩვეულებრივ მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავეს, არამედ მისი უდანაშაულო ოჯახის წინააღმდეგ."

ამ შემთხვევაშიც სასჯელი მიმართულია არა დამნაშავეს, არამედ მისი უდანაშაულო მშობლის ან მეურვისა და მზრუნველის წინააღმდეგ, რაც სისხლის სამართლის ძირითად პრინციპს - სასჯელის ინდივიდუალიზაციას - ეწინააღმდეგება.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი ერთერთი ძირითადი პრინციპია და მიგვაჩნია, რომ ის თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის დებულებებიდან. საქართველოს კონსტიტუცია აყალიბებს რა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მაღალ სტანდარტს და ცხადია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზების პრინციპიც გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ არაკონსტიტუციურად უნდა იქნას ცნობილი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 42-მუხლის მე-51 ნაწილი, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლს.

ასევე მივიჩნევთ, რომ ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი იქონიოს იმ პირებისათვის, რომლებსაც სადავო ნორმის საფუძველზე შეიძლება დაენიშნოთ სასჯელი.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართებაში ძალზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა იქნება ჩვენთვის სტრატეგია! 12 წლიანი არასრულწლოვანი დამნაშავეების დასჯა, თუ მიზეზების დადგენა, რამაც განაპირობა მისი დამნაშავედ ჩამოყალიბება და ამ მიზეზების აღმოფხვრისათვის ბრძოლა. თუ პრიორიტეტად არ იქცა მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა, ყოველთვის იქნება სავალალო შედეგი დამნაშავეობის ზრდა არასრულწლოვანთა შორის.

ადრეული მოზარდობის პერიოდი (10-14 წელი) ხასიათდება სარისკო ქცევით, მეორადი ეგოცენტრიზმითა და ჯგუფური იდეოლოგიის ჩამოყალიბებით. არასრულწლოვან-მოზარდთა ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებები შესაძლებელია გახდეს საფუძველი.

მოზარდობა- არის ფიზიკური, ემოციური, კოგნიტიური, შემეცნებითი და სოციალური ზრდა-განვითარების პერიოდი, გარდამავალი პერიოდი ბავშვობიდან მოზრდილობისაკენ;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით (ჯანმო) მოზარდობა არის პერიოდი 10 დან 21 წლამდე, ხოლო 10-14 წელი ადრეული მოზარდობად არის მიჩნეული.

ვფიქრობთ, გარდა წმინდა იურიდიული ხასიათის პრობლემებისა, კანონპროექტის ავტორთა მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოში შექმნილი სოციალური ფონი. 2000 წლის მონაცემებით თბილისში 2500 ქუჩის ბავშვი იყო. 2001 წლის ბოლოსა და 2002 წლის დასაწყისში 15 სხვადასხვა ადგილას რეგისტრირებული იქნა 1322 ბავშვი. ამ ბავშვთა 59% ბავშვთა დაწესებულებებში იყო რეგისტრირებული, მაგრამ განაგრძობდა თავის საქმიანობას ქუჩაში. გამოკითხულ ბავშვთა 23% მთვრალი იყო, 11% მუშაობდა, 1,2% ქურდობდა, 0,4% მეძავობდა, 2,7% უბრალოდ დაწანწალებდა. ქუჩაში ყოფნის მიზეზად ბავშვები სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზებს ასახელებდნენ. ქუჩის ბავშვების 1/5 ქუჩაში ათევს ღამეს. ეს ბავშვების უმეტესობა იყო უმუშევართა ოჯახებიდან, ან მშობლები იყვნენ გარდაცვლილები, ან მშობლები იყვნენ წვრილმანი მოვაჭრეები ან მშობლებიც შვილებთან ერთად მათხოვრობდნენ.¹

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დამნაშავე არასრულწლოვანებში სჭარბობს ეგრეთ წოდებული “ქუჩის ბავშვების” რიცხვი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში უმუშევრობის დონის ზრდა (2001 წელს – 11,1%, ხოლო 2005 წელს 13,8%), კიდევ უფრო იზრდება შანსი, ქუჩაში დარჩენილი მოზარდების რაოდენობის გაზრდისა. ქუჩა, რომელიც ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს მოზარდის დანაშაულებრივი ქმედებისათვის.²

ასევე გასათვალისწინებელია ძალადობრივი გარემო. ოჯახში ძალადობა, ძალადობის ფაქტები სკოლაში აძლიერებს მოზარდის აგრესიულობას, ძალადობა ყოველთვის ძალადობას წარმოშობს.

ყურადსაღებია მოზარდების ფიზიკურ კონფლიქტების მაჩვენებელიც 57,3%. (ვაჟები 47,5%; გოგონები 67,1%).³ ასაკის მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი მატულობს.

მოზარდობის პერიოდში ყალიბდება რეპროდუქციული ფუნქცია და რამდენად იქნება შესაძლებელი მოზარდის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებების ხელშეწყობა ჯანსაღი გარემოსა და ჯანსაღი საკვების გათვალისწინებით. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობას, ბუნებრივი ნამატის მხოლოდ უმნიშვნელო მატებას (2002 წელს იყო 0, ხოლო 2005 წლისათვის 0,8 –ს შეადგენს) და 10-14 წლის მოზარდების რაოდენობის დაბალ მაჩვენებელს (მოსახლეობის 6,86%-ია). დინამიკაში კლებისაკენ ტენდენციით (თუ 2004 წელს 310,7 ათას შეადგენდა, 2006 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით მხოლოდ 301, 9 ათასია 10-14 წლის ასაკის მოზარდთა რაოდენობა) ნათელი გახდება თუ როდენ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არსრულწლოვან დამნაშავეთა დასჯისა და რეაბილიტაციის საკითხებს, რათა გავუფრთხილდეთ გენოფონდს და მომავალი თაობების ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრელობას.

საინტერესოა ფსიქოლოგების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. ითვლება რომ 14-15 წელი ყველაზე შესაბამისი ასაკია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მიზეზი იმისა, რომ ბავშვები არ უნდა იყვნენ

¹ მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. თბილისი, საქართველო, 2002წ.

² საქართველოს ბავშვები: უფლებები უკეთესი მომავლისათვის. გაეროს ბავშვთა ფონდი 2004 წ.

³ www.statistics.ge

მიცემული პასუხისგებაში არის ის, რომ მათი გონებრივი მონაცემები, არ არის სრულად განვითარებული. ამიტომაც ბავშვებს არა აქვთ უნარი შეგნებულად ჩაიღინონ დანაშაული. მაშასადამე, ისინი არ უნდა მიეცნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. იმისათვის, რომ ჩაიღინო დანაშაული და მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უნდა იყოს სტაბილური და სრულწლოვანი.¹

პრობლემური ქცევების მაჩვენებლები ასაკთან ერთად არაერთგვაროვნად იცვლება. სახელდობრ, პიკს აღწევს ვაჟებში 14, ხოლო გოგონებში 15 წლის ასაკში. გოგონებსა და ვაჟებში ეს მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია, გოგონებში პრობლემური ქცევის პროცენტული მაჩვენებელი იზრდება ნელა, თან 13 წლის ასაკისათვის აღემატება პრობლემური ქცევის მაჩვენებელს ვაჟებში.²

დელინქენტური ქცევა იწყება 12 წლის ასაკიდან, 16 წლის ასაკში აღინიშნება კლება, რის შემდეგაც მრუდი მკვეთრად ადის ზევით. შესაძლოა ეს განპირობებული იქნას იმით, რომ 12 წლის ასაკში მოზარდისათვის გაუცნობიერებელია, თუ რას ნიშნავს დაჭრა, მაგრამ აღნიშნული მიუთითებს ამ ასაკისათვის დამახასიათებელ ისტერიულობაზე, აგრესიულობაზე და ანტისოციალური ქცევებისადმი მზობაზე. რის მიზეზადაც შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეს ასაკი, უკვე ასეთ ქმედებებზე გადასვლის მხრივ, სარისკო ასაკია.

პრობლემა შესაძლებელია გახდეს პერმანენტული ისევე, როგორც ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შემთხვევაში. მეორე მხრივ, ისეთ პრობლემას, როგორც არის წვრილმანი ქურდობა დღეს-დღეობით მრავალი ფსიქოლოგი აფასებს, როგორც ზრდის პროცესის დამახასიათებელს, ანუ ამ პერიოდში ხდება გააზრება ”თავისის” და ”სხვისის” (ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პრობლემა მართლაც გარდამავალ ხასიათისაა და დროებითია).³

არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკის დადგენისას წმინდა იურიდიულ კრიტერიუმებთან ერთად გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ფსიქიკური მომენტები.

მიგვაჩნია, რომ უნდა გატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები დანაშაულთან ბრძოლას მიზნით. დაიგეგმოს საგანმანათლებლო ღონისძიებები და მომზადდეს სპეციალური პროგრამები. მაგალითად სკოლებში გაუმჯობესდეს სამართლის სწავლების პროგრამები, ამ პროგრამების რეალიზაციაში აქტიურად უნდა იქნან ჩართულნი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. გააქტიურდეს უბნის ინსპექტორების საქმიანობა არასრულწლოვანებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღმზრდელობითი საქმიანობის მიმართულებით და არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამების მომზადებისათვის მოსამართლეთა, პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადებისათვის გამოყოფილი დრო ძალიან მწირია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მომზადდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მომუშავე პირებიც, რომლებიც მოზარდებს გააცნობენ და მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდონ ინფორმაციას იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებზეც არასრულწლოვანი აგებს პასუხს. მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება სპეციალურად ინფორმაციის მიწოდება მშობლებისათვის; უნდა ამუშავდეს სპეციალურ პროგრამები “ქუჩის

¹ <http://library.thinkquest.org/C0122040/disp.php3?page=content&topic=protection&subtopic>

² მარინა გეგელაშვილი, თეა ჯალიაშვილი. “ბავშვთა და მოზარდთა ქცევითი პრობლემები”. თბილისი 2006წ. გვ. 12.

³ იქვე გვ.14.

ბავშვების” –ათვის, რომლის დროსაც ისინი ინფორმირებული იქნებიან სისხლის სამართლის კოდექსში არსებული აღნიშნული დანაშაულების შესახებ. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ინფორმაცია არასრულწოვანებს უნდა მიეწოდოს მათთვის გასაგებ ენაზე.

აღნიშნულ პრობლემას უკავშირდება განათლების სისტემის და საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების სრულყოფა. ანსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს, რათა 12 წლის (ანუ მე-6 კლასის) მოსწავლეები კარგად ერკვეოდნენ იმაში, თუ რა არის კანონით დაშვებული და რა არაა.

და ბოლოს, როგორც ჩვენს მიერ შესწავლილი მასალიდან ჩანს ევროპის უმეტეს (და არა ყველა) ქვეყანაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი მაღალია. 12 და უფრო ქვედა ასაკიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დამახასიათებელია ძირითადად განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. შესაძლებელია კანონპროექტის ავტორების მიერ ეს ფაქტორიც იქნა გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბავშვისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მისი აღმზრდელობითი დაწესებულებაში მოთავსებას შორის ბალანსის მოძებნა. ეს იურისტების, ფსიქიატრების, ფსიქოლოგების, პედაგოგების და საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. მაგრამ თავდაპირველად საჭიროა მცირეწლოვან დამნაშავეთა პრობლემის მოსაგვარებელი თანმიმდევრული და კონკრეტული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მრავალი საკითხის გათვალისწინებას მოითხოვს. ეს პოლიტიკა საქართველოს პარლამენტმა სამინისტროთაშორისო კომიტეტთან (იუსტიცია, ჯანდაცვა და განათლება) და ექსპერტებთან ერთად უნდა შექმნას.

დასკვნები:

- 1) მიგვაჩნია, რომ არსებობს დანაშაულებრივ ქმედებაზე რეაგირების უფრო ეფექტური გზები, ვიდრე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ასაკის შემცირება.
- 2) მიგვაჩნია, რომ საქართველოში უნდა შემუშავდეს სახელმწიფოს სტრატეგია არასრულწლოვანთა განვითარებასთან დაკავშირებით.
- 3) აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის მომზადებას წინ არ უსწრებდა არასრულწლოვანთა შესახებ რაიმე სერიოზული კვლევა. ასევე, კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებმა.
- 4) თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი შემცირდება 12 წლამდე, ეს ზემოქმედებას მოახდენს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მთელ სისტემაზე, დაკავების მომენტიდან განაჩენის გამოტანამდე. ეს დიდ პრობლემას შეუქმნის საქართველოს არსებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, რომელიც ამ ეტაპზეც ვერანაირად ვერ დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს იმის გათვალისწინებით, რომ საპატიმრო ადგილები გადატვირთულია და ვერ უზრუნველყოფს სათანადო პირობებს.
- 5) ვფიქრობთ, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა მზად არ არის კანონპროექტში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამების შესამუშავებლად. არასრულწლოვანებს სკოლის ფარგლებში უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათი გარკვეული მოქმედებები ისჯება კანონით, ასევე უნდა იქნას მითითებული ის სანქციები, რომელიც დაწესებულია საქართველოს კანონმდებლობით.

რეკომენდაციები

მიზანშეწონილად მიგვაჩნია 12 წლიდან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღების ნაცვლად სახელმწიფომ იზრუნოს არასრულწლოვან (14 წლიდან) მოზარდთა დანაშაულის პროფილაქტიკაზე

განიხილული უნდა იქნას საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, რომელსაც საქართველომ დაამტკიცა და, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს, მოითხოვს, რომ სახელმწიფომ დაადგინოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი. დღემდე საქართველოში ეს ასაკი იყო 14 წელი. ეს შეესაბამება ევროპის საბჭოს მრავალ სხვა წევრ-სახელმწიფოებს. მხოლოდ საერთო სამართლის სახელმწიფოებში – გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში, შვეიცარიაში, ლისტენშტეინსა და საფრანგეთში დადგენილია 14 წელზე ნაკლები ასაკი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაბალი ასაკი ამ სახელმწიფოებში განსაკუთრებულად გააკრიტიკა ბავშვის უფლებების გაეროს კომიტეტმა, და ისინი ახლა თვითონ იხილავენ საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ გააკეთონ საერთო განცხადება, რომელშიც 15 წელი განისაზღვრება სათანადო ასაკად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. საქართველო უდაოდ აგებს პასუხს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ნებისმიერ შემცირებასთან დაკავშირებით ბავშვის უფლებების გაეროს კომიტეტის წინაშე, რომელიც ამას განიხილავს, როგორც უკან გადადგმულ ნაბიჯს.¹

შესწავლილი უნდა იქნას იმ ქვეყნების პრაქტიკა, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 14 წელზე დაბალია (განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში) არსებობს სასჯელთა ალტერნატიული ღონისძიებებისა მწყობრი სისტემა. საკმაოდ ეფექტურად მოქმედებენ სოციალური მუშაკები და შემუშავებულია სპეციალური პროგრამები ძნელად აღსაზრდელ არასრულწლოვანებთან მუშაობის შესახებ;

ასევე ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მასშედით გაშუქების სპეციფიკას;

საკითხი უნდა იქნას უპირველეს ყოვლისა შესწავლილი კომპლექსურად არა მარტო იურისტების მიერ, არამედ გათვალისწინებული უნდა იქნას ფსიქოლოგების, ფსიქიატრების, პედაგოგიკის სპეციალისტების და ექიმების აზრი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს სპეციალური კვლევა, რომელიც შეეხება არა მარტო არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხებს, არამედ პენიტენციალური დაწესებულებების რეფორმასაც ამ სფეროში, მოსამართლეთა და სამართალდამცავი ორგანოების მომზადებას. მართალია კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია მოსამართლეთა და პროკურორთა გადამზადებაზე, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მას შემდეგ რაც საბოლოოდ გადაწყდება არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხი, კანონის მოქმედებაში შესვლამდე უნდა მოხდეს მოსამართლეთა და პროკურორთა გადამზადება სპეციალური პროგრამით, ანუ მოსამართლეები და პროკურორები მზად უნდა იყვნენ კანონის ამოქმედებისათვის და არა პარალელურად კანონის მოქმედებასთან ერთად.

¹ www.unicef.org

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი ამოქმედდება 2008 წლიდან, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის 14 წლიდან 12 წლამდე დაწვეა გაუმართლებელია.

მარინა კვაჭაძე
სამართლის დოქტორი, პროფესორი,
გაეროს განვითარების პროექტის,
“სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების”
პროექტის იურიდიული ცენტრის მთავარი ექსპერტი,

ირმა მანჯავიძე
მედიცინის დოქტორი, პროფესორი,
გაეროს განვითარების პროექტის,
“სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების”
პროექტის პაციენტთა უფლებების ცენტრის მთავარი ექსპერტი

მარინა კვაჭაძე, ირმა მანჯავიძე

**სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან
დაკავშირებული სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები**

რეზიუმე

მოცემულ თემაში ავტორები განიხილავენ არასრულწლოვანი დამნაშავეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს. საქართველოს კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იკლებს 14 წლიდან 12 წლამდე. თემაში განხილულია ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები და საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა. გარდა სუფთა იურიდიული საკითხებისა, თემაში ასევე გამოკვლეულია პრობლემის სამედიცინო ასპექტები. თემის მასალები გამოყენებულ იქნა და შევიდა საქართველოს სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში.

Марина Квачадзе, Ирма Манджавидзе

**Правовые и медицинские аспекты связанные с минимальным возрастом
уголовной ответственности**

Резюме

В данной теме авторы рассматривают вопросы уголовной ответственности несовершеннолетних преступников. В законодательство Грузии снижается возраст уголовной ответственности с 14 лет до 12. В статье рассмотрены международные стандарты действующие в этой области и практика зарубежных стран. Кроме чисто правовых вопросов в работе исследованы медицинские аспекты проблемы. Материалы статьи были использованы и вошли в годовой отчет 2006 года Народного Защитника Грузии.

Marina Kvachadze, Irma Manjavidze

Legal and Medical aspects of Minimum Age of Criminal Liability

The Summary

In the following article the authors review criminal liability of juveniles. The Georgian legislation considers reducing the criminal liability of juveniles from 14 to 12 years in. The article reviews international standards and world best practice in this field. In addition to the legal issues medical aspects of the problem are also analysed. Material of the article was used in the annual report of 2006 of the Public Defender of Georgia.

არასრულწლოვანთა დანაშაული და პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურად დგას კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის საკითხი. ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ 15 წლის მანძილზე შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია ასულგაზრდებში კრიმინალური მენტალიტეტის ჩამოყალიბება.

საკმაოდ გაზრდილია აგრესიის ფონი: სულ უბრალო მიზეზის გამო შესაძლოა არასრულწლოვანმა დაჭრას ან მოკლას თანატოლი – ეს ჩვენი მწარე რეალობაა.

ძალიან ხშირია მოზარდებს შორის ქუჩური გარჩევები, რომლებიც სავალალო შედეგებით მთავრდება. ეს გარემოება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა, რომელიც ჯერჯერობით მოუგვარებელი რჩება.

პრობლემის მოგვარებაში კი ვგულისხმობ დამნაშავე მოზარდის არა ციხეში ჩასმას, არამედ მასში ამგვარი მენტალიტეტის აღმოფხვრას... ეს კი იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ამ საკითხისადმი სულ სხვა კუთხითაა საჭირო მიდგომა.

ამისათვის კი მთავარია გავარკვიოთ ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ზემოაღნიშნული სიტუაციის ჩამოყალიბება.

ჩემი აზრით, არასრულწლოვნებში მწვავე კრიმინალური ფონის გამომწვევ უმთავრეს მიზეზთაგან შეგვიძლია დავასახელოთ ორი ძირითადი ფაქტორი:

აგრესიის ფონის ზრდა და თავისუფალი დროის არამიზნობრივი ხარჯვა

საქართველოს განათლების სამინისტრომ სულ ახლახან წარუდგინა საზოგადოებას პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“. საერთოდ, ძნელია ისაუბრო ისეთ პროგრამაზე, რომელიც ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია და შესაბამისად ხელთ არ გვაქვს საბოლოო რეზულტატი. აქედან გამომდინარე სრულფასოვნად ვერ ჩამოვაყალიბებთ მის პოზიტიურ თუ ნეგატიურ მხარეებს; თუმცა შევეცდებით ჩვენი აზრი მაინც გამოვთქვათ მისი მიმდინარეობის შესახებ.

რათქმაუნდა მისასაღებელია, როდესაც განათლების სამინისტრო ზრუნავს სკოლაში კრიმინალური ატმოსფეროს გაჯანსაღებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“ ძირითად აქცენტს აკეთებს მოზარდებში აქტიური მეთვალყურეობის დანერგვაზე. (ვიდეოკონტროლი, მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნა, მათი სკოლის ვებ-გვერდზე განთავსება და ა.შ). რათქმაუნდა, მოსწავლეებზე ინტენსიური მეთვალყურეობა აუცილებელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფორმებს, რომლებიც განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა გამოიქვანოს; რათა პროგრამამ უარყოფითი გავლენა არ იქონიოს მოსწავლეთა მეგობრულ ურთიერთობებზე.

მთავარია ისიც, რომ მოსწავლე-მოსწავლეებელთა ურთიერთობა აიგოს არა შიშზე, არამედ ურთიერთპატივისცემაზე. როცა ურთიერთობები დამყარებულია შიშზე, მოზარდის ექმნება ფსიქოლოგიური პრობლემები და ხდება აგრესიული. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ პროგრამაში საკმაოდ აქტიურად ჩაებან ბავშვთა ფსიქოლოგები. საინტერესოა ისიც, თუ როგორ შეეგუებიან ჩემი თანატოლები სკოლის პერიოდში მუდმივ ვიდეოკონტროლს.

მისასაღმებელია მოსწავლეთა დოსიეების შედგენა და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსება, რაც საშუალებას აძლევს მშობლებს ყოველდღიურად ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ თავიანთი შვილების სასკოლო მოღვაწეობის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადგან „უსაფრთხო სკოლა“ ახალი პროგრამაა და ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია, შედეგების არქონის გამო სრულად ვერ ჩამოვყალიბებთ მის დადებით თუ უარყოფით მხარეებს, თუმცა, ვიმედოვნოთ, რომ ხარვეზები აღმოიფხვრება და მალე მივალწვეთ მიზანს, როდესაც საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში ისწავლის ჯანსაღი სულისკვეთებისა და ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი ფასეულობების მატარებელი მომავალი თაობა.

აქვე მსურს ყურადღება გავამახვილო სასკოლო შინაგანაწესებსა და მოსწავლეთა ახალ ქცევის კოდექსზე, რომლის შექმნაშიც, ჩემი აზრით, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პირველ რიგში სკოლის აღსაზრდელებმა.

ფსიქოლოგები და ექსპერტები აღიარებენ, რომ საქართველოში საკმაოდ მაღალია მოზარდებში აგრესიის ფონი. ჩვენს სოციოლოგიურ გამოკითხვაში, თუ რა იწვევს არასრულწლოვნებს შორის აგრესიას, ძირითადი პასუხები ასეთია:

- გარდამავალი ასაკი
- არასრულწლოვნების კომპლექსი
- ოჯახებში არაჯანსაღი სიტუაცია
- მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა

მძაფრსიუჟეტური კომპიუტერული თამაშები, ფილმები და სიუჟეტები.

გარდამავალი ასაკისთვის, დამეთანხმებით, დამახასიათებელია მრავალი სპეციფიკური სირთულე; ხოლო როცა მას თან ერთვის რომელიმე არასასურველი ფაქტორი, აგრესიის ზრდის ტენდენცია მოსალოდნელიცაა.

აქვე უნდა აღინიშნოს 90-იან წლებში შექმნილი უმძიმესი სიტუაცია, სამოქალაქო ომი, რომელმაც საკმაოდ ღრმა კვალი დაამჩნია მომავალი თაობის ფსიქიკას.

არასრულწლოვნების კომპლექსის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად შეგვიძლია არაჯანსაღი ოჯახური სიტუაცია დავასახელოთ. გახშირებული კონფლიქტები მშობლებთან ან მშობლებს შორის დამთრგუნველად მოქმედებს მოზარდის ცნობიერებაზე. მითუმეტეს, როცა ოჯახის წევრები არ არიან მოწოდებით ჭეშმარიტი მოქალაქეები და თავიანთი საქციელით უარყოფით მაგალითს აძლევენ ბავშვებს (საუბარია ს/ს დამნაშავეებზე, ნარკომანებზე, ალკოჰოლიკებზე, მეძაგებზე და ა.შ.)

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სხვადასხვა მძაფრსიუჟეტური ფილმები და მედიაში, დღის ეთერში გასული ამგვარი სახის სიუჟეტები. ამის გარდა, საყოველთაოდ ცნობილია მძაფრსიუჟეტური კომპიუტერული თამაშების უარყოფითი ზეგავლენა მოზარდის ნერვულ სისტემაზე. მიუხედავად ამისა, საკმაოდ დიდია იმ თანატოლთა რიცხვი, რომელნიც თავიანთი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ამგვარ თამაშებს უთმობენ.

სკოლის მოსწავლეთა შორის მძიმე კრიმინოგენული სიტუაციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად თავისუფალი დროის არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტორი დავასახელოთ.

ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა ჩვენი მომავალი თაობისა. მრავალ თანატოლს არ აქვს ცხოვრებაში დასახული კონკრეტული მიზნის განხორციელების შესაძლებლობა; ბევრმა კი უბრალოდ არ იცის რითი დაკავდეს, რითი გაერთოს.

ამგვარი მდგომარეობის ძირითადი გამომწვევი ფაქტორი სკოლისა და ოჯახის, ამ ორი უდიდესი ინსტიტუტის როლის დაქვეითებაა.

სკოლამ დაკარგა აღმზრდელობითი ფუნქცია. დღეს ის არის მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც პედაგოგი რეალურად ვეღარ ახერხებს აღმზრდელობითი მხარის უზრუნველყოფას.

საკმაოდ გართულებულია ურთიერთობის მექანიზმი ბავშვებსა და პედაგოგებს შორის. დამეთანხმებით, არცერთ პედაგოგს არ სურს მისი მოსწავლის დამნაშავედ ჩამოყალიბება . . . საკმაოდ ხშირია როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა მიერ სკოლის შინაგანაწესის დარღვევის ფაქტებიც.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ოჯახსაც გარკვეულწილად დაუქვეითდა აღმზრდელობითი ფუნქცია. ამის მიზეზი კი ის მძიმე ეკონომიკური ფონია, რომლის გამოც ოჯახის წევრები საკმაოდ დაკავებულნი არიან მატერიალური მხარის მოგვარებით და სულ უფრო მცირე დრო რჩებათ შვილების აღსაზრდელად.

ბევრია ისეთი ბავშვი, რომელსაც სურს თავისუფალი დროის მიზნობრივად გამოყენება; სურვილი აქვს ჩაებას სპორტში; იაროს სხვადასხვა წრეებზე, დაკავდეს სხვა სასარგებლო საქმიანობით . . . ამას ჩვენი თანატოლების ნაწილი ვერ ახერხებს არასაკმარისი ოჯახური ბიუჯეტის გამო.

იმავე მიზეზით ბავშვები იშვიათად დადიან თეატრში, ოპერაში, კინოში, ლაშქრობებზე, ექსკურსიებზე; ამის გამო მათი ბავშვობა ხდება უინტერესო და ერთფეროვანი. ეს კი იწვევს მათ ქუჩაში გასვლას.

რაც შეეხება პრობლემის გადაჭრის გზებს: დამეთანხმებით, ბავშვი არ იბადება დამნაშავედ. დამნაშავე იგი ხდება იმ მიკრო თუ მაკრო გარემოს წყალობით, რომელშიც ყალიბდება მისი ცნობიერება და ფსიქიკა. სწორედ ამიტომ, უნდა ვეცადოთ შევქმნათ ჯანსაღი სიტუაცია, რომელიც სასიცოცხლოდ საჭიროა მომავალი თაობის სწორად განვითარებისთვის.

პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს დროის არამიზნობრივად ხარჯვის პრობლემა. ბავშვებს უნდა მიეცეთ საშუალება საინტერესოდ და შინაარსიანად გაატარონ დრო.

აუცილებელია სკოლებში საკლუბო მუშაობის აღორძინება; სკოლა აღარ უნდა იყოს ისეთი დაწესებულება, რომლის ფუნქცია ამოწურულად ითვლება გაკვეთილების დასრულების შემდეგ. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები შეინიშნება, რადგან უკვე ხშირად ვხვდებით სასკოლო თეატრებს, მხიარულთა და საზრიანთა ჯგუფებს და ა.შ

კარგი წამოწყება იქნებოდა უფასო ექსკურსიების, ლაშქრობებისა და გასვლების მოწყობა. ამ დროს ძალიან იკვრება და ახლოვდება კოლექტივი და მერწმუნეთ, ამგვარი აქციების შემდგომ გაცილებით უფრო სასიკეთოდ შეიცვლება მოზარდებს შორის ურთიერთობები.

ძალიან დასაფასებელია, როცა თბილისის (და არა მარტო თბილისის) თითქმის ყველა უბანში გაკეთდა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები. ეს კარგ მანსს აძლევს ახალგაზრდობას ჩამოიყალიბოს ცხოვრების ჯანსაღი წესი.

აგრეთვე მისასაღმებელია ახალგაზრდული ბანაკებისა და სხვა სახის გასართობი ცენტრების ამოქმედება. ეს ყველაფერი მიმართულია ერთისკენ – წახალისოს და სტიმული მისცეს მომავალ თაობას. რასაკვირველია, განსაკუთრებით უნდა წახალისდნენ ის ბავშვები, რომლებიც თავს გამოიჩინენ კარგი სწავლითა და აკადემიური მოსწრებით, სპორტსა და ხელოვნებაში მიღწეული წარმატებებით, რათა ყველამ დაინახოს, რომ ახალგაზრდების შრომას აფასებენ და შემდგომ უკვე თავად გააკეთონ არჩევანი, თუ როგორი წესით სურთ ცხოვრება.

რაც შეეხება ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა კატეგორიას: მიზანშეწონილად მიმაჩნია სპეციალიზირებული საპრევენციო – სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსება, სადაც განსაკუთრებული მეთოდებითა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აპრობირებული სასწავლო პროგრამებით წარიმართება მუშაობა;

ხოლო ჩვეულებრივ სკოლებში კი მოსწავლეთა ჩამოსაყალიბებლად, უფრო შედეგის მომტანად მივიჩნევდი, მაღალ კლასებში ფსიქოლოგთა და სამართალმცოდნეთა მუშაობის გააქტიურებას.

აუცილებელია მძაფრსიუჟეტიანი ფილმებისა და მასმედის მიერ გაშუქებული საზარელი ფაქტების დღის ეთერს აცილება. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვნად და ეფექტურად ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოში **კანონის უზენაესობა** მიმაჩნია. ეს არის ის უმთავრესი ქვაკუთხედი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ჩვენი მომავალი. კანონის უზენაესობა ერთადერთი გზაა სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისა.

კვლევა

მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სამართალმცოდნეობის კაბინეტის აღსაზრდელებმა ამ სასწავლო წელს ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა ჩვენს თანატოლებში. ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო შედეგები მივიღეთ 260 რესპოდენტისაგან.


260 გამოკითხულიდან (148 მამრ./ 112 მდედრ.სქ.) 97 ფრიადოსანია, დანარჩენი სწავლობს საშუალოდ (მათივე თქმით).

სისტემატიურად კითხულობს 60, ზოგჯერ 143.


99 თვლის, რომ მოზარდები ნარკოტიკებს ეტანებიან ინტერესით, 64 – სუსტი ნებისყოფით, 60 – თვითდამკვიდრებით.

ნარკომანიას ავადმყოფობად თვლის 170, დანარჩენი დანაშაულად. მხოლოდ 76-მა იცის რა ასაკიდან მოეთხოვება პასუხი ს/ს დანაშაულისთვის. თავისუფლება წარმოუდგენიათ შემდეგნაირად:

როდესაც არსად არაფერს გზღუდავს; თავისუფლად გამოთქვამ შენს აზრს; როცა გაქვს ფული (!);




და ცხოვრობ მარტო (!) როგორც გსურს . გამოკითხულთა მშობლები



მეცადინეობაში ხელს უშლის

- | | |
|---------------------|---------------------------------|
| I სიზარმაცე | V პედაგოგ. უარყ. დამოკიდებულება |
| II ქუჩა | VI საცხოვრებლის სიმცირე |
| III ტელევიზორი | VII სხვა |
| IV ოჯახური სიტუაცია | |



ოთარ კახიძე
ქ. თბილისის ბავშვთა საკრებულოს დეკუტატი.
ქ. თბილისის 50-ე სახაზო სკოლის 10-ე კლასის მოსწავლე

არასრულწლოვანთა დანაშაული და პროგრამა “უსაფრთხო სკოლა”

რეზიუმე

თემა ეხება კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის საკითხს, რომელიც ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალურად დგას საქართველოში. ავტორი მიგვანიშნებს იმ მიზეზებზე რომლებმაც გამოიწვია მისი აზრით, არასრულწლოვანებში კრიმინალური ფონის გამწვავება. თემაში განხილულია პროგრამა “უსაფრთხო სკოლა” და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თემაში მოცემულია პრობლემას გადაჭრის გზები, პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს დროის არამიზნობრივად ხარჯვის პრობლემა, მისასაღმებელი იქნებოდა უფასო ექსკურსიებისა და ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული ბანაკებისა და გასართობი ცენტრების შექმნა – რაც მიმართული იქნება მომავალი თაობის წახალისებისკენ და სტიმულს მისცემს მას.

ოთარ კახიძე

Преступность среди несовершеннолетних и программа “Безопасная школа”

Резюме

Тема касается вопроса борьбы с криминальным миром, который стал особенно актуальным в Грузии в последние годы. Автор указывает на причины, которые, по его мнению привели к обострению криминального фона среди несовершеннолетних. Здесь же рассмотрена программа “Безопасная школа”.

В теме изложены пути решения проблемы. В первую очередь, надо решить проблему о бесцельной трате времени. Для поощрения будущего поколения необходимо организовать бесплатные экскурсии, молодежные лагеря и развлекательные центры.

Otar Kakhidze

Criminal offence among minors and the program”Safe School”

The Summary

The work is about the question of combating the criminal world, which has become especially topical in recent years in Georgia. The author refers to the reasons that, in his opinion have led to criminal behaviour among minors. The program «Safe school» and its advantages and disadvantage are reviewed in the paper.

The work states solutions to the problem. First of all, it is necessary to address the problem of youngsters spending time in an unpurposeful manner. For the purpose of encouraging young generation to positive engagements, it would be desirable to arrange free outings, youth camps and entertaining centers.

**აბრეშია, როგორც არასრულწლოვნებში დანაშაულის
ბამომწვევი მიზეზი**

აგრესიის პრობლემებით შორეული წარსულიდანვე დაინტერესებულნი არიან ფილოსოფოსები, სახელმწიფო მოღვაწეები, ფსიქოლოგები, მოგვიანებით სოციოლოგები და კრიმინოლოგები.

გასული საუკუნის დიდ მოაზროვნეს ალბერტ აინშტაინს 1932 წელს ერთა ლიგამ სთხოვა, აერჩია ვინმე გამოჩენილი პიროვნება და გაემართა მასთან დიალოგი თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე. ფიზიკოსი დათანხმდა და ფსიქონალიზის ფუძემდებელს ზიგმუნდ ფროიდს შეეკითხა: ადამიანებს ხომ არ გააჩნიათ ნგრევის შინაგანი სურვილი და შესაძლებელია თუ არა, რომ ეს ფარული მისწრაფება სწრაფად გადავივდეს და გადაიზარდოს კოლექტიურ ფსიქოზში? ფროიდმა უპასუხა: დიახ, ადამიანების სულის სიღრმეში რეალურად არსებობს ზიზღის და ნგრევის აქტიური ინსტიქტი.¹² ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღეს დღეისობით მოზარდებში.

აგრესია არის ემოციის შედეგად გამოწვეული ქცევის ფორმა სხვა ადამიანებისათვის რაიმე ზიანის (ფიზიკური, სულიერი, საზოგადოებრივი, მატერიალური და ა.შ.) მისაყენებლად. საამისო ფსიქოსოციალური, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზით ან ამის გარეშე.³

აგრესია და არასრულწლოვანთა დანაშაული სადღეისოდ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად განიხილება. ეს საკითხი აქტუალურად არის მიჩნეული როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე მასმედიისა და სხვა სოციალური სტრუქტურების მიერ. აგრესია და ძალადობა ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული ნორმების დარღვევითაც მთავრდება და დანაშაულის სახეს იძენს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2001 წლიდან მოყოლებული რეგისტრირებულ დანაშაულთა სიხშირე მკვეთრად მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2006 წელს პიკს აღწევს (იხ. სტატისტიკური დანართი)

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტორებსაც, რომ აგრესია და ძალადობა ყოველთვის არ იღებს დანაშაულის სახეს, ხოლო არარეგისტრირებულ დანაშაულთა მაჩვენებელი ჩვენთვის უცნობია, მოზარდთა მიერ აგრესიისა და ძალადობის გამოვლენის ფაქტები, სავარაუდოდ ბევრად მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე ოფიციალურად რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი.

ექსპერტთა წინასწარი შეფასებით, დღეისათვის საქართველოში მოზარდთა აგრესია და ძალადობა მწვავე სოციალური პრობლემაა, რომელიც მთელ ჩვენ საზოგადოებას გლობალურ საფრთხეს უქმნის, როდესაც საქმე არასრულწლოვანებს ეხება, აგრესიისა და ძალადობის ყოველი შემთხვევა საგანგებო ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს.

წელს ალბათ ყველაზე მეტი იყო არასრულწლოვანთა მკვლელობის, დაჭრის არასრულწლოვნებს შორის, უფრო აგრესიული და დაუნდობელი გახდა მოზარდი, არ ერიდება არაფერს იარაღს სროლასაც კი. ეს ყველაფერი და სხვა დანაშაულის ფაქტები, ყველა ვხედავთ რომ გახშირდა ძალადობა დაუყოვნებლივ საჭიროებს რეაგირებას, უნდა ვეცადოთ ვიპოვოთ გამოსავალი ამ სიტუაციიდან.

¹ ს. ცაგარელი – „სოციოლოგია“
² რ.ნათაძე – „ზოგადი ფსიქოლოგია“

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა შესწორებები ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის 14წლიდან 12 წლამდე დაწევას ითვალისწინებს. 2008 წლიდან არასრულწლოვანები 12 წლის ასაკიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის კანონი სრული სიმკაცრით დაისჯებიან. საზოგადოებაში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს არასრულწლოვანთა შორის აგრესიის მიზეზებზე.

ამჟამად ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრიის უდიდეს პრობლემად ქცევის დარღვევა მიიჩნევა. პრობლემის აქტუალურობას არა მარტო მისი გახშირება, არამედ უდიდესი სოციალური მნიშვნელობაც განაპირობებს. ამის გამოა, რომ ქცევის მოშლას დიდი პრაქტიკული დატვირთვა აქვს არა მარტო მოზარდთა ფსიქიატრებისთვის, არამედ სოციოლოგებისთვის, პედაგოგებისა და რა გასაკვირიც არ უნდა იყოს კრიმინოლოგებისთვისაც კი. აქვე დავურთავ, რომ ფსიქიკურად დაავადებული მოზარდები ბევრად უფრო ნაკლებ დანაშაულს ჩადიან ვიდრე ის მოზარდები ვისაც აკლიათ ოჯახური სიტბო, მზრუნველობა და თანაგრძნობა. ერთნი საკუთარ თავში იკეტებიან, გულჩათხრობილები, გაუბედავები, უსუსურები ხდებიან, გამუდმებით შინაგანი განგაშის განცდა, ცუდის მოლოდინი სდევთ თან. მეორენი კი გაღიზიანებულები, აფექტურები, დაბოღმულები, გაბოროტებულები, სასტიკები, კონფლიქტურები არიან, არავის ენდობიან, ორივე შემთხვევაში არასრულწლოვნებს ძალიან უჭირთ გარე სამყაროსთან შეგუება.

ამდენად, მოზარდთა აგრესიულობა ქცევის მოშლის მეტად გავრცელებული ფორმაა. როგორც აღვნიშნეთ, მას უდიდესი სოციალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ასეთი მოზარდები ხშირად სწადიან კანონსაწინააღმდეგო, დანაშაულებრივ ქმედებებს. უდავოა, ასეთი ქცევების აღმოცენებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთ-ერთი ან ორივე მშობლის პიროვნული ანომალიის ნიშნებს. მათ ნევრულ დაძაბულობას, კონლიქტურ განწყობას, მუდმივად უკმაყოფილო ტონს, ემოციურ სიცივეს და რაც მთავარია შემწყნარებლობის, სიბრალულის, თანაგრძნობის უქონლობას ერთმანეთისა და შვილების მიმართ, როდესაც საკუთარ ოჯახში ბავშვი უფრო მეტად ძალადობას ხედავს ვიდრე, სიტბოს. აღერსს, სიყვარულს და გაღიმებულ და მშვიდ სახეებს, ეს.

ცხადია, მასში აგრესიას ბადებს. ასეთ გარემოში აღზრდილი ბავშვი მცირე ასაკიდანვე ავი და ნერვიულია, თამაშის დროს, დაძმებთან, თანატოლებთან ურთიერთობისას.¹ მშობლებმა საკუთარ თავზე უნდა იმუშაონ, რომ ბავშვი აღზრდა სწორად განახორციელონ.

მიზეზები მრავალია. მათ შორისაა სოციალური ფაქტორები-ძალადობა ოჯახში და აღზრდის დეფიციტი (არსებობს სხვადასხვა კვლევები, რომლის მიხედვიდაჩ ზრდასრულ დამნაშავეთ 70% ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო), დაბალი განათლება, ძალადობა და ღირსების შემლახველი დამოკიდებულება სასწავლო დაწესებულებებში, სასკოლო აღზრდის

დეფიციტი. სოციალური დიფერენციაცია, სოლარიბე, უმუშევრობა, ე.წ. ქურდული მენტალიტეტი, მასობრივი კულტურა (მასმედია) თავისი "მხატვრი რეალური ძალადობითა და სისასტიკით. თანამედროვე ახალგაზრდების მენტალიტეტი "დამახინჯებულია", ძველი ღირებულებები გაუფასურდა, ინტერესთა სფერო შეიცვალა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის რომ მოზარდები, რომლებიც ამ საზოგადოებას მოძალადეებად მოეგვინენ, დაბადებულნი არიან სამოქალაქო ომის პერიოდში. მათ ბავშვობა გაატარეს შემზარავ გარემოში, იმ პერიოდში რომელსაც განუკითხაობის პერიოდი ერქ-

¹ თ. აფანასიევა – „ოჯახი“

ვა. ეს, რა თქმა უნდა დადს ასვავს ბავშვის ფსიქიკას, რომელიც მაშინ ყალიბდება. ფსიქოლოგიაში ავიარებული ფაქტია, რომ ბავშვი (ეხება მას ძალადობა თუ არა) თუ ის შემსწრეა ძალადობის, ფსიქოლოგიურად როგორც მსხვერპლი ისე განიხილება. ძალადობის მსხვერპლი კი შემდგომში, როგორც წესი, იქცევა მოძალადედ, ის იმეორებს იმას რაც ნახა. ეს ყველაფერი ილექება არასრულწლოვანის გონებაში წვეთ წვეთად და შემდეგ ფეთქდება.

უდიდესი როლი არასრულწლოვანის სწორად აღზრდაში მიუძღვის სკოლას. სკოლა განაპირობებს მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბებას. სკოლაში სწავლა იწყება ცხრა საათზე და როდესაც ცხრა საათზე მასწავლებელი სკოლაში შედის, მან ყველა თავისი პრობლემა სკოლის გარეთ უნდა დატოვოს. ის სკოლის კედლებში უნდა იყოს კეთილი თბილი მოზარდებისთვის საინტერესო და უნდა დაიხარჯოს ბოლომდე, მაგრამ დღესდღეისობით ეს ასე არ არის, საჭიროა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. უმეტეს დროს არასრულწლოვანი ატარებს ქუჩაში ან ტელევიზორის წინ. ქუჩა სასტიკია. ტელევიზორშიც მხოლოდ აგრესიას ხედავს, დამეთანხმებით, რომ მაგნე გავლენას ახდენს ტელევიზიით ძალადობის შემცველი ფილმების დემონსტრირება, რაც გამოკვლევების მიხედვით არასრულწლოვანთა დანაშაულის მატებას იწვევს. ასევე ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს კომპიუტერული თამაშები სადაც ბევრი აგრესიაა. ზემოთ ავნიშნული ფაქტები მოზარდთა ქცევის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით ნეგატიურ როლს ასრულებს. ქუჩის უარყოფითი გავლენა მოზარდებზე ძალიან დიდია. ე/წ “ქურდულმა მენტალიტეტმა” დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი თაობის მოზარდებზე. ქუჩა პირველი გადადგმული ნაბიჯია დანაშაულისკენ. ამიტომ საჭიროა არასრულწლოვანის დროის მიზნობრივად განაწილება, რომ ქუჩაში დგომისთვის მოზარდს ნაკლები დრო დარჩეს.

მოზარდთა აგრესიულობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია მოზარდის პრობლემის დროული და სწორი იდენტიფიკაცია (ქცევითი აშლილობების, დეპრესიის და სხვა ფსიქიკური დარღვევების, ძალადობის და უგულვებელყოფის ნიშნების ამოცნობა და სწორი რეაგირება);¹ სკოლის ფსიქოლოგთა გაძლიერება. მოზარდთა შორის ძალადობრივი ქცევის პროფილაქტიკის პროგრამის დანერგვა (ისწავლონ რელაქსაცია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრა, საკუთარი აგრესიული

იმპულსების მართვა, შიშის შფოთვის მოხსნა, აითვისონ სხვადასხვა სიტუაციებში ადეკვატური ქცევის უნარები.) სკოლებში სოციალურ-ფსიქოლოგიური მუშაობა (მაგ. საინტერესო კონკურსების, ვიქტორინების ჩატარება) მოსწავლეთა ჩართვა პროფესიული სწავლების პროგრამებში, სხვადასხვა სპორტული სექციებისა და წრეებში.

აუცილებელია მოზარდთა ფსიქიკური დახმარების ცენტრების და ცხელი ხაზების არსებობა და მათი მოხმარების კულტურის ამაღლება. განსაკუთრებულია სოციალური დაცვის სექტორი-კერძოდ ბავშვთა კეთილდღეობის დაცვის სისტემის ჩამოყალიბება.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ახლად ამოქმედებული პროგრამა “უსაფრთხო სკოლა” ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში დისციპლინის განმტკიცებას, მოსწავლეთა კანონმორჩილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას და ფსევდო ფასეულობების (მაგ. “ქუჩის რომანტიზმი”) გავლენის შემცირებას. ეს პროექტი ნაწილია მოზარდთა შორის ძალადობის აღმოფხვრის საქართველოს მთავრობის კომპლექსური მიდგომისა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღცევას ემსახურება.² მე ვეთანხმები ამ პროექტს და

¹ რ. ნათაძე – „ზოგადი ფსიქოლოგია

² . www.mes.gov.ge

ვთვლი, რომ ეს პროგრამა ხელს შეუწყობს ჩვენი თაობის მოზარდთა მობილიზაციას და გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა პირადი საქმეების ელექტრონული ვერსია არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისათვის და მხოლოდ კონპეტენტურ პირებს უნდა შეეძლოს მათი წარმოება.

საქართველოს მომავლისთვის აუცილებელია ჯანსაღ ფასეულობებზე აღზრდილი თაობა. საქართველოს მთავრობამ, საზოგადოებამ მასმედიაში ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდების სწორ განვითარებას, ვეცადოთ გავითავისოთ ერთმანეთის პრობლემები და ერთად მოვძებნოთ გადაწყვეტის გზები. ჩვენი ახალგაზრდების ვალია ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, მივუთითოდ ერთმანეთს შეცდომებზე და ყოველგვარი აგრესიის ძალადობის და დანაშაულის გარეშე ვიპოვოთ გამოსავალი რთული სიტუაციიდან.

*ანი ჩხიკვაძე
თბილისის ბავშვთა საკრებულოს დეპუტატი
176-ე საჯარო სკოლის 11-ე კლასის
მოსწავლე*

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები მოზარდთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე (*6)

დასახელება		დანაშაულის რაოდენობა	
		2005 წელი	2006 წელი
სულ დანაშაული		760	997
მათ შორის	მძიმე	240	331
	განსაკუთრებით მძიმე	300	325
განზრახ მკვლელობა		5	10
მკვლელობის მცდელობა		7	14
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება		11	10
გაუპატიურება ან მცდელობა		6	2
ადამიანის გატაცება		2	1
ქურდობა		407	588
მათ შორის	ბინებიდან	95	151
ძარცვა		47	57
ყაჩაღობა		60	55
ტრანსპორტის დაუფლება		11	6
ხულიგნობა		26	29
ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა		21	24
იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ტარება, შენახვა და სხვა		22	29
მომძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა		1	6
მათ შორის	სასიკვდილო შედეგით	1	1

დასახელება		დანაშაულის რაოდენობა	
		2006 წლის 4 თვე	2007 წლის 4 თვე
სულ დანაშაული		397	273
მათ შორის	მძიმე	117	101
	განსაკუთრებით მძიმე	170	56
განზრახ მკვლელობა		6	3
მკვლელობის მცდელობა		5	3
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება		3	1
გაუპატიურება ან მცდელობა		2	–
ადამიანის გატაცება		1	–
ქურდობა		229	155
მათ შორის	ბინებიდან	64	27
ძარცვა		20	24
ყაჩაღობა		20	16
ტრანსპორტის დაუფლება		–	2
ხულიგნობა		15	8
ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა		5	–
იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, ტარება, შენახვა და სხვა		15	11
მომძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა		1	–
მათ შორის	სასიკვდილო შედეგით	–	–

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. ცაგარელი – „სოციოლოგია“
2. რ. ნათაძე – „ზოგადი ფსიქოლოგია“
3. თ. აფანასიევა – „ოჯახი“
4. www.mes.gov.ge
5. www.statistics.ge

ანი ჩხიკვაძე

აბრეშია, როგორც არასრულწლოვნებში დანაშაულის გამომწვევი მიზეზი

რეზიუმე

ნაშრომი ეხება აგრესიას, როგორც დანაშაულის გამომწვევ მიზეზს. აგრესია და არასრულწლოვანთა დანაშაული დღეისათვის ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად განიხილება. ყველა ვხედავთ, რომ გახშირდა ძალადობა მოზარდებს შორის. ამის მიზეზები მრავალია: აღზრდის დეფიციტი, ძალადობა ოჯახში, დაბალი განათლება, სიღარიბე, უმუშევრობა, ე.წ. „ქურდული მენტალიტეტი“, ძალადობის შემცველი ფილმების დემონსტრირება და ა.შ.

მოზარდთა აგრესიულობის და ძალადობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ძალადობრივი ქცევის პროფილაქტიკის პროგრამის დანერგვა, სკოლებში სოციალურ-ფსიქოლოგიური მუშაობის გაძლიერება, მოსწავლეთა ჩართვა საინტერესო კონკურსებში, ვიქტორინებში, სექციებსა და წრეებში.¹ აუცილებელია ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრების და ცხელი ხაზების არსებობა.

მთავრობამ, საზოგადოებამ, მასმედია, ყველამ ერთად უნდა მოვქმენოთ გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან. ჩვენი ახალგაზრდების ვალია შევძლოთ ერთმანეთის დახმარებით პრობლემების მოგვარება აგრესიის და ძალადობის გარეშე.

Анни Чхиквадзе

Агрессия в качестве причины преступления среди несовершеннолетних

Резюме

Данная работа касается агрессии, вызывающей причины преступления среди несовершеннолетних. Агрессия и преступления несовершеннолетних рассматривается как одна из самых острых проблем нашего общества. Мы все видим, что участилось насилие среди подростков. Причиной этого можно считать: дефицит воспитания, насилие в семье, низкий уровень образования, нищета, безработица, т.н. "воровской менталитет", демонстрация фильмов содержащих кадры насилия т.д.

¹ . www.statistics.ge

Для устранения агрессии и насилия среди подростков, необходимо внедрить программы профилактики насильственного поведения, усилить социально-психологическую работу в школах, включить подростков в интересные мероприятия: конкурсы, викторины, секции, кружки и т.д. Необходимы центры психологической помощи и горячие линии. Правительство, общество, и СМИ вместе должны найти выход из этой сложной ситуации. Долг молодежи состоит в том, чтоб мы могли помогая друг другу решать проблемы без агрессии и насилия.

Ani Chkhikvadze

Aggression, as a cause to crime among the youth

Summary

This paper is about aggression, as a cause of crime among the youth. Aggression and juvenile offending presents an acute problem of our society nowadays. All of us can see that violence among teenagers has increased. There are many reasons for this: deficiency in upbringing, violence in families, low quality of education, poverty, unemployment, so-called “criminal mentality”, demonstration of films of violence and so on. In order to prevent aggression and violence among the youth, it is necessary to work out programmes addressing violent behaviour, to enhance social and psychological work at schools, to engage students in interesting competitions, in quizzes, in different leisure activities and circles. It is very important to have psychological aid centres and hotlines for adolescents.

Government, society, mass media, all of us are to find a way out of this difficult situation together. We, the youth ought to support each other and solve our problems without any aggression and violence.

არასრულწლოვანთა ნარკოტიკის მოხმარების
მიზეზები და შედეგები

„ნარკომანია საუკუნის ერთ-ერთ ჭირად მონათლული სენია. ნარკომანია სამ-შობლოსა და ოჯახის დაღაცია. ნებისმიერი ნარკოტიკის გამოყენება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ნარკომანთა შვილებს და შვილიშვილებს გენეტიკური დაავადებები ემუქრებათ. საქართველოში აღრიცხულ შიდსის ვირუსით ინფიცირებულთა შორის 35% ნარკომან ა. ნარკოტიკი ახალგაზრდას ძალაუნებურად აკავშირებს კრიმინალურ სამყაროსთან. ნარკოტიკებით მოვაჭრენი დამნაშავენი არიან, ისინი უდიდეს ცოდვას სჩადიან. ნარკომანი დაავადებული ადამიანია, მას დახმარება სჭირდება. ეკლესიაში მოსული მრავალი ადამიანი ამ სენისგან სრულიად განიკურნა.“ ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ნარკომანია ქართულში რუსული ენიდან არის შემოტანილი, საერთაშორისო სამეცნიერო და სალიტერატურო ენაში არ იხმარება. მის მაგივრად ხმარობენ გამოთქმას—წამლდამოკიდებულება, ან დამოკიდებულება. ფსიქოტროპიული ნივთიერებები ე.ი. ნარკოტიკები, ძირითადად ზემოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნარკოტიკული ნივთიერებების მოქმედების მექანიზმი განპირობებულია იმით, რომ ორგანიზმში შეყვანისას ისინი რიგ შემთხვევაში ენაცვლებიან ბუნებრივ მედიატორებს და ყალბ ინფორმაციას აწვდიან თავის ტვინის ცენტრებს. ზოგჯერ ფსიქოტროპული ნივთიერებები მედიატორების წარმოშობა დაშლაზე ახდენენ ზეგავლენას და ამ გზით ათასგზის აძლიერებენ ან ასუსტებენ თავის ტვინის ზოგიერთი უბნის აქტივობას. საქმეს ის გარემოც ართულებს, რომ თავის ტვინი შედგება სხვადასხვა ნერვული ბირთვებისაგან და ცალკეული ბირთვები სპეციალურ ფუნქციებს განაგებენ. მაგალითად: სისხლის წნევას, გულის მუშაობის სიხშირეს, ცრემლდენას, სუნთქვას, წყურვილს, შიშს, რისხვის, სიამოვნების განცდას და ა.შ. ხელოვნური ფსიქოტროპიული ნივთიერებები ხვდებიან რა თავის ტვინში, ერთდროულად ზეგავლენას ახდენენ თავის ტვინის ყველა იმ უჯრედსა და ბირთვზე რომლებიც ამ ფსიქოტროპიული ნივთიერებების მსგავსი ქიმიური მედიატორის საშუალებით მოქმედებენ.

ტოლერანტობა არის ცნობილი მოვლენა, როცა ორგანიზმში შემდეგი მოხვედრისას წამლის მოქმედების ეფექტურობა ან მთლიანად კლებულობს ან ნაწილობრივ. ტოლერანტობა ნარკოტიკების მიმართ ძალიან სწრაფად ვრცელდება, ანუ მომხმარებლის ორგანიზმში სწრაფად, 1-2 თვეში ეგუება უკვე მიღებულ დოზას და იგი აღარ ყოფნის სიამოვნების გამოსაწვევად, ამიტომ მომხმარებელი იძულებულია თანდათან, (3-5 ჯერ) გაზარდოს მისაღები დოზა, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მწვავე მოწამვლის რისკთან და სიკვდილთანაც. საქმე, უფო სწორედ კი, უბედურება იმაშია, რომ ტოლერანტობის განვითარება არ არის უსაზღვრო პროცესი, დგება მომენტი, როდესაც დოზის მომატება უკვე აღარ იწვევს ეფექტს. თუ ამ დროს ნარკომანს კონტროლი დაკარგული აქვს, შესაძლოა იმდენი ნარკოტიკი მიიღოს, რომ გამოიწვიოს სუნთქვის დათრგუნვა, ფილტვების შეშუპება, გულის არითმია, რაც არცთუ იშვიათად სიკვდილს იწვევს. ნარკოტიკების ხმარების დაწყებიდან, რამოდენიმე თვეში ადამიანის სხეული იწყებს გამოფიტვას, იგი მკვეთრად იკლებს წონაში, გამოიყურება თავის ასაკზე უფროსად, ნაადრევად ჭადარავნდება და მელოტდება, ემსხვრევა კბილები და ბოლოს უმტკივნეულოდ სცვივა, ის კარგავს მეხსიერების სიზუსტეს, უქვეითდება გონებრივი შრომის ნაყოფიერება, ადვილად იღლება, უჭირს ყურადღების კონცენტრირე-

ბა... ირღვევა სრულყოფილი ცხოვრების რიტმი...

საქართველოში მეტნაკლებად გავრცელებულია ნარკომანიის სხვადასხვა სახე, ამიტომ მნიშვნელოვანი ამოცანაა ნარკომანიის “რისკის ჯგუფის” დროული გამოვლენა ახალგაზრდებში, რადგან ეს უმძიმესი სენი ძირითადად ახალგაზრდობას შეეხო და მისი მკვეთრი მატების ტენდენციაც აშკარად გამოიკვეთა, ხოლო მშობლებისა და პედაგოგების უმრავლესობას მკაფიო წარმოდგენა არა აქვს ნარკომანიის წარმოშობასა და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე, ან უბრალოდ არ დაფიქრებულან ამაზე.

მოზარდობისა და ყრმობის ასაკში განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი, თვით დამკვიდრების, თვით გამოორკვევის, დამოუკიდებლობების გზებისა და საშუალებების ძიება. ამ პერიოდში ხდება მოთხოვნილებათა საბოლოო ინტეგრაცია, რაც განსაზღვრავს პიროვნების სტრუქტურას. მაგრამ ისმება კითხვა: შეუძლია თუ არა მოზარდს დაიმკვიდროს შინაარსიანი, სოციალურად აუცილებელი და მიმზიდველი ყოფა? აქვს მას დაიკმაყოფილოს დამოუკიდებლობის მოთხოვნილება? სამწუხაროდ, ხშირად მოზარდი ამას ვერ ახერხებს, ამიტომ მისი ასაკობრივი შესაძლებლობები და მოთხოვნილებები ხშირად ეჯახება რეალურ შესაძლებლობათა “სიღარიბეს.” მოზარდს აღარ ძალუძს განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების აზრი, რაც თავისებურ ვაკუუმს ქმნის მის სულში. ეს სიაცრიე თუ არ შეივსო, მისი ინტერესი თანდათან გადაინაცვლებს “იოლი” ცხოვრების, ანუ უსაქმურობის სფეროში, რაც მისთვის თანდათან, სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების არეალად იქცევა. ასე ყალიბდება საქციელი, რომელსაც არავითარი მიზანი, პასუხისმგებლობა, პრინციპი არ გააჩნია, გარდა გრძნობადი სიამოვნებისა. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში მოზარდის სულიერი სამყარო მახინჯდება და დადის პრიმიტიულ იმპულსებზე, ხშირად სწორედ ეს ქმნის ნარკოტიკებით და არა მარტო ნარკოტიკებით დაინტერესების ნოყიერ ნიადაგს.

მოზარდებში ნარკომანიის წარმოშობის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორებია ბავშვის არასწორი აღზრდა; ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური გადახრა; “ზემზრუნველობის”, ანუ მშობლების მცდელობა, დაიფარონ შვილები ყოველგვარი სიძნელებისაგან და დაუკმაყოფილონ ყველა მოთხოვნა, ბავშვი მიჰყავს უსუსურობამდე. ასეთი ბავშვები ელოდებიან გარშემომყოფთაგან ყველა სურვილის შესრულებას. წარმოქმნილი დისკომფორტის მოხსნის ცდა არასრულწლოვნებში აღძრავს ფსიქოტრამეულ რეაქციას, რაც ბოლოვდება ნარკოტიკების მიღებით. რატქმაუნდა, ფსიქოტრამეული სიტუაციის მიზეზი შეიძლება იყოს პირიქით, ბავშვებისადმი გულგრილი, უზრუნველი, უსიყვარულო დამოკიდებულება. ასეთი ბავშვები გაცილებით ადრე ეძებენ ემოციური დაძაბულობის მოხსნის საშუალებას.

დ ა ს კ ვ ნ ა:

მდგომარეობა საქართველოში მართლაც საგანგაშოა, 2006 წლის მონაცემებით ნარკომანთა რიცხვი მოსახლეობის 5% პროცენტს აღწევს, ასევე ამავე წელს 26 არასრულწლოვანი გასამართლდა ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის, ეს საქართველოსთვის, მისნაირი პატარა ქვეყნისთვის, მოახლოებული კატასტროფაა.

ნარკომანია ის საყოველთაო სენია, რომელიც ჩვენ ყველას გვემუქრება, ჩვენ ვაღდებულები ვართ მას დაუნდობელი ომი გამოვუცხადოთ! ნარკომანია “კაი ტიპობა” კი არაა, არამედ სირცხვილი და თვითმკვლელობაა, ნარკომანია

სხეულთან ერთად სულსაც ვნებს და საერთოდ, ადამიანს პიროვნულად ანადგურებს! ეს ყველამ უნდა გავითავისოთ, ყველა ქალაქში, ყველა უბანში, თუ საჭირო გახდება ყველა ოჯახში უნდა შევიტანოთ და დავნერგოთ სიმართლე ნარკომანიის მავნებლობის შესახებ. ანტინარკოტიკულ პროპაგანდაში უფრო აქტიურად უნდა ჩაებას მასმედია, სკოლა, სახელმწიფო, თითოეული ჩვენგანი, რატომ? იმიტომ რომ მომავალი თაობები, ჩვენი შვილები ვიხსნათ ამ უბედურებისგან. რაც მთავარია, ნარკომანებზე ბევრად უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ ნარკოტიკების გამსაღებლები და გადამზიდველები.

ასე რომ, დროა ყველამ ერთად ვუთხრაოთ ნარკომანიას არა!!!!

ალექსანდრე კაკიაშვილი
ქ. თბილისის ბავშვთა საკრებულოს დეპუტატი,
ქ. თბილისის 54-ე საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ნარკომანიის რისკის ჯგუფის ადრეული გამოვლენა მოზარდებში. საქ. ჯანდაცვის სამინისტრო. ბროშურა. ვ. გოცაძე. 1997წ
2. ნარკომანია-საზოგადოება "სასოებას" ყოველთვიური გაზეთი. 1998წ
3. რა უნდა ვიცოდეთ ნარკოტიკების შესახებ. დ. გამყრელიძე. ნ. ნიკოლაიშვილი. გ. ტიბუა. თბილისი, 2007წ
4. ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა საქართველოში. საწყისი სიახლეები, ნარკომანია. ყ. ფაღავე. (www.acnet.ge) 2005წ
5. საადდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II. 2006წ

ალექსანდრე კაკიაშვილი

არასრულწლოვანთა მიერ ნარკოტიკის მოხმარების მიზეზები და შედეგები

რეზიუმე

ამ თემაში აღწერილია არასრულწლოვანთა მიერ ნარკოტიკის მოხმარების მიზეზები და შედეგები სამედიცინო განხრით. ნარკომანია ყველას ემუქრება, განურჩევლად ასაკის, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა.

თემაში აგრეთვე ნათქვამია თუ რა ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს წამალ-დამოკიდებულება, ასევე აღწერილია იმ სავალალო შედეგების შესახებ რაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ყოველივე ამას. ვიმედოვნებთ, რომ დადგება დრო, როდესაც ნარკომანია აღარ იქნება კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, ამას ჩვენ ყველამ ერთად უნდა მივაღწიოთ.

**Причины и Последствия употребления наркотиков
несовершеннолетними**

Резюме

В этой теме описаны причины и последствия употребления наркотиков несовершеннолетними с медицинской точки зрения.

Наркомания грозит всем, в независимости от пола и возраста и социального положения.

В теме указаны те психологические факты, которые могут способствовать зависимости от лекарства. Также описаны негативные последствия приёма наркотиков для здоровья человека. Надеемся, что настанет время когда наркомания не будет одной из главных проблем человечества. Поэтому мы должны направить все усилия на борьбу с наркоманией

Alexander Papiashvili

Causes of Drug Addiction among Teenagers

The Summary

This work describes causes and consequences of drug use by teenagers all over the world from medical perspective. This problem can affect anybody notwithstanding age, gender and social conditions.

The paper also refers to psychological factors, which may be the causes of drug addiction. And also those deplorable consequences to health, which it might lead to, are described.

We hope that there will come the time, when drug use will not be one of the main problems for the mankind. We must make our joint efforts to address this problem.

ჩემი აზრი არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესახებ

მოზარდებში აგრესიისა და დამნაშავეობის პრობლემა ბოლო დროს მომხდარმა ფაქტებმა მეტად აქტუალური გახადა. განსაკუთრებით გაახალგაზრდავდა მოძალადეთა და ზოგადად დამნაშავეთა ასაკი. ფაქტმა, რომ მოსწავლეები ერთმანეთს ასახიჩრებენ ან უკიდურეს შემთხვევაში კლავენ კიდევ საზოგადოების შემფოთება გამოიწვია.

ამის მაგალითები კი დღევანდელ საქართველოში სამწუხაროდ უამრავია. თუნდაც ავიღოთ ყველაზე გახმაურებული გიორგი ზერეკიძის მიერ ჩადენილი დანაშაული გასულ 2006 წლის 6 იანვარს. მან სასიკვდილოდ გაიმეტა მოქალაქე. საბედნიეროდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ ამ სიტუაციაში მთავარი ეს არ არის. მთავარი ის არის რომ, სკოლის მოსწავლემ, 14 წლის ბიჭმა სასიკვდილოდ გაიმეტა ადამიანი და საკუთარ თავს ვერ გაუწია კონტროლი. თუ მოზარდი ასეთ რამეს აკეთებს ერთხელ, სრულიად ლოგიკურია რომ მან ეს ქმედება მსგავს სიტუაციაში კვლავ გაიმეოროს. ზერეკიძე მკაცრად იქნა დასჯილი, მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამ ფაქტმა უამრავ ადამიანში გამოიწვია პროტესტის გრძნობა. ეს რატომღაც გასაგებია, რადგან მოზარდი თავის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს გაატარებს ციხეში და იქიდან მინიმუმ ორჯერ დამახინჯებული და დათრგუნული სულიერი მდგომარეობით გამოვა. ამ მდგომარეობაში უკეთესი და აუცილებელია რომ მასთან და საერთოდ სხვა არასრულწლოვან დამნაშავეებთან იმუშაოს აღმზრდელობითმა ჯგუფმა.

ამის მიუხედავად, სადამსჯელო ღონისძიებამ ყველას თვალნათლივ დაანახა ნულოვანი ტოლერანტობის არსი. მოზარდებმა დაინახეს, თუ როგორ დაისჯებიან მსგავსი დანაშაულისათვის. შედეგმაც ნამდვილად არ დააყოვნა. ამის შემდეგ საქართველოში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვმა იკლო. სახელმწიფოს ეს პოზიცია უშედეგო არ აღმოჩნდა. ასეთი დანაშაულებების გამომწვევი მიზეზების პრევენციისათვის ბრძოლა კი გრძელდება.

ამ საკითხზე იმართება უამრავი დისკუსიები, მოზრდილები ცდილობენ იპოვონ ალტერნატიული გამოსავალი.

მოზარდებში აგრესიის გაზრდის გამო, პასუხისმგებლობა ნაწილდება ოჯახზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, მასმედიაზე და სამართალდამცავ ორგანოებზე. ფსიქოლოგები და ექსპერტები კი აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არაფორმალური ერთობების გავლენას (უბანი, სამეგობრო წრე, თანაკლასელები და ა. შ.) ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აქედან ოჯახს ეკისრება, რადგან სკოლაში მისულ ბავშვს უკვე აქვს ჩამოყალიბებული ქცევის გარკვეული ნორმები, რაც რაღათქმაუნდა ოჯახში უყალიბდება. მოზარდებთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ყურადღების დეფიციტი, მშობელთა ნაკლები პედაგოგიზაცია და სასკოლო ცხოვრებაში არასაკმარისი ჩართვა. ამ შემთხვევაში ეს ვრცელდება როგორც მატერიალურად უზრუნველყოფილ ასევე ღარიბ ოჯახებზეც. არის შემთხვევები, როცა მოზარდის აგრესიულ ქცევებს განაპირობებს მშობელთა არაადეკვატური, ასაკთან შეუსაბამო მოთხოვნები და მათი დამოკიდებულებანი ზოგადად აღზრდის პრობლემების მიმართ.

ოჯახის შემდგომ პასუხისმგებლობა სკოლას ეკისრება. ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება სასწავლო პროგრამის ხარისხი, მატერიალური რესურსების ნაკლებობა და ამ ყველაფერის შეუსაბამობა განათლების ახალ პროგრამასთან. ამის მიუხედავად სკოლა ცდილობს პირნათლად შეასრულოს

თავისი მოვალეობები. ის მოსწავლეებს არა მხოლოდ ცოდნას აძლევს, არამედ ცდილობს თითოეული მათგანი აღზარდოს უპირველეს ყოვლისა ღირსეულ მოქალაქედ.

2005-2006 სასწავლო წლისთვის შემოდებულ იქნა წესი, რომელსაც უნდა დაემორჩილოს აბსოლუტურად ყველა მოსწავლე. წესის ერთი ნაწილი იმ საგნების შესახებაა, რომლების სკოლის ტერიტორიაზე შეტანაც აკრძალულია. ასეთებია: ნარკოტიკული ნივთიერებანი, ყოველგვარი ცივი იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებანი და მობილური ტელეფონი. ეს ემსახურება სკოლებში წესრიგის დამყარებას. არასრულწლოვანებში დანაშაულის რიცხვის გაზრდის გამო სკოლის დირექციამ საგანგებო ვითარებაში დაიწყო მუშაობა. გამკაცრდა კონტროლი მოსწავლეებზე და მათ ქმედებაზე. ამან კი საგრძნობლად შეამცირა სკოლებში კრიმინალური მდგომარეობა.

ერთ-ერთ სასწავლო საგნად შემოიღეს სამოქალაქო განათლება, რისი მეშვეობითაც მოსწავლე უკეთესად ეცნობა თავის უფლებებს, მოვალეობებს, ზღვარს ავლებს მათ შორის და ეცნობა ზოგადად სახელმწიფოს მოთხოვნებს მის მიმართ. სკოლას ახლა უფრო მეტი წვლილი შეაქვს მოზარდის ნორმალურ აღზრდაში. დაეკისრა უფრო მეტი პასუხისმგებლობა, რამაც შესაბამისად სკოლის მხრიდანაც უფრო მეტი ყურადღება მოითხოვა. სასწავლებლებში გააქტიურდა ფსიქოლოგების ინსტიტუტიც. ის მუშაობს თითქმის ყველა სკოლაში ისეთ ბავშვებთანაც ვინც ამ დროიათვის უკვე არის პოტენციური დამნაშავე. ფსიქოლოგს უწევს უამრავი ტრენინგის ჩატარება რაც მიმართულია მოზარდის გონების გაწონასწორებისა და ჩამოყალიბებისაკენ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი ერთ-ერთი ძლიერი საწინდარია იმისა, რომ მოზარდებში დანაშაულის რიცხვი მინიმუმამდე დავა.

იმისათვის რომ ახალგაზრდებმა შეწყვიტონ ასეთი აგრესიის გამოვლენა მნიშვნელოვანია მათი ენერჯის სწორად განაწილება, მართვა და კონფლიქტურ სიტუაციათა კონტროლი. აუცილებელია, რომ დამნაშავე დასჯილ იქნეს ობიექტურად, თუმცა ამავე დროულად მისი ასაკისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. საზოგადოება და სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან ებრძოდნენ არა მხოლოდ დამნაშავეებს არამედ ამ დანაშაულებების გამომწვევ მიზეზებს. რადგან უშუალოდ მათგან უფრო მეტ აგრესიის გამოვლინებას გამოიწვევს. კარგი იქნება თუ მოზარდი დაკავდება საგანმანათლებლო ან სპორტული საქმიანობით, ამით მას ნაკლები დრო დარჩება დანაშაულისათვის და ასევე გათავისუფლდება მოზღვავებული ენერჯისგან.

დადგენილია, რომ დანაშაულთა უმრავლესობა მოზარდის გარდატეხის ასაკში ხდება. ეს გამოწვეულია პიროვნების თვითდამკვიდრებასა და ჩამოყალიბებასთან. როგორც წესი ამ დროს ბავშვებში აგრესია მატულობს. ზრდის ამ ეტაპზე მისთვის მშობელთა აზრის წინ დგას თანატოლთა და მეგობართა წრის შეხედულებები. სწორედ ისინი აყალიბებენ ხშირად მოზარდისგან დამნაშავეს. ყველას სურს ლიდერობა, ლიდერი კი ხშირად ხელგონურად გაყოფილი პიროვნებაა. საზოგადოების ეს დამახინჯებული აზრი კიდევ ერთი გამომწვევი მიზეზია, იმისა რომ თინეიჯერები ირჩევენ ცხოვრების არასწორ სტილს. თუ “ყოყონობა”, დამნაშავეობა, უბანში უსაქმურად დროის ფლანგვა არ ჩაითვლება საამაყო საქმიანობად, მაშინ აღარავინ მონდომებს გააკეთოს ესენი. მოზარდი წარმოადგენს საზოგადოების სახეს, ის ხომ თიხაა რომლისგანაც უნდა გამოიძერწოს პიროვნება. უფორმო თიხას კი ვინ როგორ სახეს მისცემს ეს ხშირად თიხაზე არაა დამოკიდებული.

დანაშაულობების აღმოსაფხვრელად საჭიროა მოზარდი დაკავებული იყოს მისთვის სასარგებლო საქმიანობებით. მნიშვნელოვანია, რომ მშობლები მომზადებულნი შეხვდნენ შვილის დაბადებას. გაიაზრონ, რომ ბავშვის ძალადო-

ბრივი აღზრდა გამოიწვევს მისგანაც ასეთ დამოკიდებულებას შემდგომში. აუცილებელია ყოველ ადამიანში თავიდანვე ჩაიდოს სიყვარულის და სიბოძის კოდი. მოზარდი დაბადებიდანვე თავის ირგვლივ არ უნდა ხედავდეს ძალადობას, თორემ ის მიეჩვენება რომ ეს ნორმალურია და შემდეგ თვითონ დაიწყებს იმის გამეორებას რასაც მოზრდილ ადამიანისგან დაინახავს. თუ ადამიანის აღზრდა იქნება სწორი თავიდანვე, მაშინ მისგან აუცილებლად დადგება გაწონასწორებული მოქალაქე და პიროვნება.

ამ მიზნის ირგვლივ კი უნდა გაერთიანდეს მთლიანი საზოგადოება, სწორედ ამის შემდეგ ექნება გატარებულ ღონისძიებებს შედეგი. მთავარია, ზრდასრულმა ხალხმა მხედველობაში მიიღოს რომ არ არის საჭირო ბრძოლა დამნაშავესთან ძალადობით, რადგან ის მხოლოდ იმ საზოგადოების სახეა, რომელშიც ცხოვრობს.

ანა მათიაშვილი
ქ. თბილისის 77-ე საჯარო სკოლის
11-ე კლასის მოსწავლე

ანა მათიაშვილი

ჩემი აზრი არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესახებ

რეზიუმე

თემა ეხება მოზარდებში აგრესიისა და დამნაშავეობის პრობლემას, რომელიც ბოლო დროს მომხდარმა ფაქტებმა მეტად აქტუალური გახადა. მოზარდებში აგრესიის გაზრდის გამო, პასუხისმგებლობა ნაწილდება ოჯახზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, მასმედიაზე და სამართალდამცავ ორგანოებზე.

დანაშაულობების აღმოსაფხვრელად საჭიროა მოზარდი დაკავებული იყოს მისთვის სასარგებლო საქმიანობებით. ამ მიზნის ირგვლივ კი უნდა გაერთიანდეს მთლიანი საზოგადოება, სწორედ ამის შემდეგ ექნება გატარებულ ღონისძიებებს შედეგი.

Ана Матиашвили

Мое мнение о преступности среди несовершеннолетних

Резюме

Тема касается проблемы агрессии и преступности среди несовершеннолетних. Данная проблема стала более актуальной после фактов случившихся в последнее время. За рост агрессии среди несовершеннолетних ответственность распределяется на семью, образовательные учреждения, масмедию и на правоохранительные учреждения.

Для искоренения преступности надо вовлечь подростков в полезные занятия. Для этой цели вся общественность должна объединиться и только после этого, у проведенных мероприятий будет результат.

My opinion about the crime among minors

The Summary

The presented work is about the problem of aggression and criminality among minors. This problem became more outstanding after the facts having taken place recently. Responsibility for the growth of aggression among minors is to be shared between family, educational institution, masmedia and law- enforcement agencies.

In order to address criminality it is necessary for teenagers and young adolescents to be engaged in purposeful activities. To achieve this purpose the entire public should unite efforts and only thereafter, action taken can lead to results.

ადგილობრივი ხელისუფლების როლი განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების პრობლემების მოგვარებაში

ბავშვთა პრობლემებსა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე საქართველოში აკრედიტირებული ყველა საერთაშორისო ფონდის, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ვითარების მონიტორინგის მიზნით ჩამოსული ყველა საერთაშორისო ექსპერტის შეხედულებით ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ბავშვთა უფლებადამცავი ორგანიზაციების წარმატებული საქმიანობა მინეუელია ჩვენს სახელმწიფოში დემოკრატიზაციის ხარისხის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად. რეალური ვითარების შესწავლამ ცხადყო, რომ სწორედ ამ თვალსაზრისით არსებობს სერიოზული ხარვეზები, რომლებსაც სწორ შემთხვევაში გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ.

ბავშვის უფლებათა კონვენციამ ყველა ბავშვისათვის თანაბრად უნდა იმუშაოს. კონვენციის განხორციელება სერიოზული და საკმაოდ რთული საკითხია ყველა მინაწილე სახელმწიფოსათვის. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. სიტუაციის კვლევის შედეგად თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ექსპერტთა ჯგუფმა დაწერა განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების დახმარების სადედაქალაქო პროგრამა, რომლის მიზანია შემუშავდეს შესაბამისი წინადადებები თბილისში ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში სიტუაციის გამოსასწორებლად. პრიორიტეტად განისაზღვრა განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების დახმარების პროგრამის შექმნა. ამ ტიპის პროგრამის ამოქმედება საჭიროა, რათა:

- ბავშვთა საკითხებს სამთავრობო სტრუქტურებში მიექცეს სათანადო ყურადღება.
- მოხდეს კოორდინაცია სხვადასხვა უწყებას შორის.
- გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის განსაკუთრებით მწვავეა ბავშვთა უფლებების დაცვის პრობლემა, ეკონომიკური სიძნელეები ქმნის ბავშვთა სრულიად ახალ ფენას საზოგადოებაში – მაწანწალა, მათხოვარ და უსახლკარო ბავშვებს. მათი მოვლა სახელმწიფოს მივალეობაა, მეორე მხრივ ეკონომიკური სიძნელეები ხელს უშლის სახელმწიფოს ამ მოვალეობის შესრულებაში. არსებული ვითარების გამო ეს საკითხი დედაქალაქის ხელისუფლებამ პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს.
- შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად საქართველოში არსებობს დევნილ ბავშვთა ფენა, რომელთა დიდი ნაწილი თავმოყრილია თბილისში. მათი პრობლემების გადაჭრა დედაქალაქისათვის პრიორიტეტად უნდა იქცეს.
- არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდა პრობლემად ექცა დედაქალაქს. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს მოვალეობაა პრევენციული ღონისძიებების გატარება, რათა მაქსიმალურად ავიცილოთ ბავშვთა საპატიმრო ადგილებში მოხვედრა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს თავისუფლებაადკვეთილი ბავშვებისათვის მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური გარემოს შექმნა და აღზრდის ჰუმანური პრინციპების დამკვიდრება.
- განათლების საყოველთაობა, რაც უახლოეს წარსულში მოგვარებულ საკითხად ითვლებოდა, არსებულ ვითარებაში დედაქალაქისათვის მოსაგვარებელ პრობლემათა ნუსხაში მოექცა.
- სახელმწიფოში არსებული სიდუხჭირე განსაკუთრებულ მდგომარეობას ქმნის დედაქალაქში. იქმნება ადამიანთა ახალი სოციალური კატეგორიები, რომელთა პრობლემების მოგვარებას სპეციფიკური სოციალური პროგრამების შექმნა სჭირდება. ამ პროგრამის ფარგლებში, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა გადაწყდეს ბავშვიანი უმწეო ოჯახების დახმარების საკითხი.

- ბავშვთა ჯანმრთელ განვითარებას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი საზოგადოების ჯანმრთელი მომავლისათვის. საჭიროა შეიქმნას ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
- განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების ფიზიკურ განვითარებასა და მასობრივ სპორტში ჩართვის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა საჭიროებს რადიკალურ ცვლილებებს.
- სერიოზული პრობლემები არსებობს ბავშვთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში მათი გამოსწორების ან მათი უფლებების დაცვის სამართლებრივი სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით. არსებული სიტუაციის პუმანიზაცია შეიძლება დაიწყოს სადედაქალაქო საცდელი პროგრამებით.
- ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა ბავშვთა დაავადებები თითქმის ყველა ძირითადი ჯგუფების მიხედვით, იზრდება ინვალიდ და ქრონიკულად დაავადებულ მოზარდთა რაოდენობა, რაც გამოწვეულია ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების ფონზე არადამაკმაყოფილებელი სამედიცინო მომსახურებითა და პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უზუსტობის გამო, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების არაკორდინირებული საქმიანობით, ერთობლივი, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების არ არსებობით, განათლების სფეროში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების პირობების უქონლობით. მიგვაჩნია, დედაქალაქის ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს არსებული პრობლემების გადასაჭრელად.
- მისაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრებში, ბავშვთა სახლებში და სხვა ტიპის ინსტიტუციურ დაწესებულებებში განთავსებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, უდემამო, დენილი, ყოფილი მაწანწალა, ე.წ. “ქუჩის” ბავშვი, ასევე ბავშვები უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებიდან. ამ ტიპის დაწესებულებებში აღსაზრდელთა ყოფნის ასაკი განისაზღვრება 3-14 წლამდე. აღნიშნული ტიპის დაწესებულებებს აქვთ მატერიალური, ფინანსური და სასწავლო-მეთოდური ხასიათის პრობლემები. ზოგადად მთელი სისტემა საჭიროებს ოპტიმიზაციას. საჭიროა გადაიჭრას პირველი რიგის პრობლემები და დაისაზღვროს მათი ოპტიმიზაციის ქმედითი გზები. ამ თვალსაზრისით დედაქალაქის მასშტაბით შესამუშავებელი და განსახორციელებელია ერთიანი პოლიტიკა.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების დახმარების პროგრამა:

- ეფუძნება ბავშვის უფლებათა კონვენციას;
- პროგრამის შემუშავება კოორდინებული და შეთანხმებული უნდა იყოს დედაქალაქის განვითარების ზოგადი პოლიტიკისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესთან;
- პროგრამა შეიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს და შესრულების ვადებს;
- პროგრამა მოიცავს განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ყველა ბავშვის ინტერესებს;
- პროგრამის წარმდგენი ორგანიზაცია თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების დახმარების პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ვფიქრობთ, საჭიროა:

- საკრებულოში შეიქმნას ლობისტური ჯგუფი ლობიზმის შესახებ არსებული კანონის ფარგლებში, რომელიც ლობირებას გაუწევს ბავშვთა საკითხებს;

- უნდა მოხდეს პროგრამის მაქსიმალური საჯაროობის უზრუნველყოფა და იქცეს ფართო განხილვის საგნად.
- განისაზღვროს ერთი ბავშვისათვის აუცილებელი დანახარჯის მინიმუმი ინსტიტუციებში, სარეაბილიტაციო თავშესაფრებსა და საადმინისტრაციო დაწესებულებებში მყოფი ბავშვებისათვის;
- განისაზღვროს ბავშვთა საჭიროებები და მოთხოვნები;
- ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციით მოხდეს ბიუჯეტში ბავშვებისათვის სპეციალური დანახარჯების შეტანა;
- ბიუჯეტის განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ოჯახში და ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების მოთხოვნილებანი;

დოკუმენტის ზოგადი პრინციპებია:

- ღონისძიებათა გრძელვადიანობა და მდგრადობა;
- საზოგადოების ინფორმირებულობა და ჩართულობა;
- მონიტორინგის მუდმივმოქმედი სისტემის ჩამოყალიბება;
- თანამონაწილეობის პრინციპის დაცვა;
- ბენეფიციართა თვითუზრუნველყოფის პრინციპის დამკვიდრება;
- რესურსების ოპტიმიზაცია;
- არასამთავრობო, სამთავრობო და ბიზნეს სექტორების თანამშრომლობა.

პროგრამის განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება იქცეს:

- ფინანსური სიძნედეები;
- შესაბამისი კანონმდებლობის არქონა;
- იდეოლოგიის არქონა – არაადეკვატური დამოკიდებულება პრობლემების მქონე ბავშვთა მიმართ;
- საზოგადოების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი;
- მოსახლეობის არასათანადო ინფორმირებულობა;
- სპეციალური ინსტიტუტების, მექანიზმების, კადრების (სოციალური მუშაკი, ბავშვის ადვოკატი, არასრულწლოვანთა სასამართლოების) არარსებობა;
- ბავშვთა პრობლემებზე შექმნილი პროგრამების დაბალი ხარისხი;

ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ პროგრამის ამუშავების შემთხვევაში დედაქალაქში საგრძნობლად გაუმჯობესდება პირობები განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისათვის. პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა არსებობდეს დედაქალაქის მთავრობის კეთილი ნება. ვფიქრობთ, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება თბილისის მთავრობას გაუადვილდება, რადგან უკვე არსებობს CRC-ის რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის, რომელშიც ნათქვამია:

- *„პოლიტიკურ დღის წესრიგში ბავშვების უფლებების დაცვა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს“.* CRC-ის სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციას სახელმწიფომ სოციალური და ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგში პრიორიტეტი ბავშვების საჭიროებებსა და უფლებებს მიანიჭოს.
- *ადგილობრივი მთავრობისათვის უფრო მეტი უფლებამოსილების დელეგირება ბავშვებზე ზრუნვის საკითხებთან დაკავშირებით, ბავშვზე ზრუნვის სისტემის სრულყოფის ერთადერთი და ეფექტური გზაა.* საქართველოში ბავშვებზე ზრუნვის სისტემა ძალიან ცენტრალიზებულია. საქართველოში

ველოს რაიონების ადგილობრივი ხელისუფლება არ არის უფლებამოსილი თავად იზრუნოს ბავშვების საჭიროებებზე. აუცილებელია, უფრო მეტი უფლებამოსილების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებისათვის. ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს იმ არაერთი საკითხის მოგვარებას, რომელიც ასე აწუხებთ საქართველოს ბავშვებს.“

ბელა სარია

*თბილისის ბავშვთა უფლებების დაცვის
საქალაქო ცენტრის ხელმძღვანელი*

ბელა სარია

**ადგილობრივი ხელისუფლების როლი განსაკუთრებულ
მდგომარეობაში მყოფი ბავშვების პრობლემების მოგვარებაში**

რეზიუმე

თემა ეხება თბილისში ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში სიტუაციის გამოსასწორებლად, განსაზღვრულ, განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების დახმარების პროგრამის შექმნას. პოლიტიკურ დღის წესრიგში ბავშვების უფლებების დაცვა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს. ადგილობრივი მთავრობისათვის უფრო მეტი უფლებამოსილების დელეგირება ბავშვებზე ზრუნვის საკითხებთან დაკავშირებით, ბავშვზე ზრუნვის სისტემის სრულყოფის ერთადერთი და ეფექტური გზაა.

**Роль местных властей по урегулированию проблем детей находящихся в
особенном положении**

Резюме

В теме изложены те приоритеты, которые важны для улучшения ситуации по защите прав детей в Тбилиси. Предложено, разработать программу помощи детей, которые находятся в особенном положении. Для властей местного управления защита прав детей должна стать главным приоритетом. Делегирование еще больше прав местным властям единственный эффективный путь совершенствованию системы заботы о детях..

Role of local authorities in addressing problems facing children at risk

The Summary

The paper stated those priorities which are important for improvement of the protection the rights of children in Tbilisi. It is proposed to develop the program to help children who are in special position. For local government the protection of the rights of children should become a main priority. Delegation of even more rights to local authorities would be unique and effective way of perfection of system of care of children.

**არასრულწლოვანთა დანაშაული, როგორც საზოგადოებაში
ისტორიულად ჩამოყალიბებული,
ბანკოტარებადი და არსებული მოვლენა**

ბოლო წლებში საქართველოში ყველაზე აქტიური და მტკივნეული თემაა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული. რაც გამოწვეული არის არასრულწლოვანთა ქცევებში ახალი თავისებურებების ჩამოყალიბებით.

პრობლემის მნიშვნელობაზე მიუთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უშუალო მონაწილეობა მოზარდთა შორის იარაღის ტარების ფაქტების გამოვლენისათვის განხორციელებულ აქციებში.

ჩვენი კვლევა დაფუძნებულია მთლიანად საქართველოს მმართველობის ორგანოებსა და სტრუქტურული ერთეულების კვლევის შედეგებზე, აგრეთვე სტატისტიკაზე რომელიც მოიცავს დანაშაულთა განვითარების ტენდენციებს 2001-2006 წლებში. ჩვენ ამ თემაში განვიხილავთ არასრულწლოვანთა დანაშაულს სოციალურ სამართლებრივი კუთხით. შევეცადეთ განგვესაზღვრა ამ დანაშაულთა გამომწვევი მიზეზები დღევანდელ საზოგადოებაში. განვიხილეთ როგორი იყო სხვადასხვა ქვეყნებში ბრძოლის მეთოდები და ხერხები, ასეთი ტიპის დანაშაულის წინააღმდეგ. განვიხილეთ როგორი ტენდენციებით ხასიათდებოდა ამ ქვეყნებში არასრულწლოვანთა დანაშაულები და მათი პრაქტიკიდან გამომდინარე გავარკვიეთ აპრობირებული მეთოდებიდან რომელმა გამოიწვია დადებითი შედეგები, ვეცადეთ ეს მეთოდები გადმოგვეტანა ჩვენს საზოგადოებაში და მოგვერგო ჩვენი რეალობისათვის.

დანაშაულობა, როგორც ასეთი შეიძლება განვიხილოთ მასობრივ-სისხლის სამართლებრივ მოვლენად, რომელიც წარმოიშობა ისტორიულად და არსებობს საზოგადოებაში¹. დანაშაულობის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს დანაშაული, რომელიც სსკ-ს თანახმად არის პირის მიერ ჩადენილი მართლ-საწინააღმდეგო, ბრალეული და შესაბამისად დასჯადი ქმედება.²

სხვადასხვა დანაშაული საზოგადოებაში წარმოიშობა იმის მიხედვით თუ რა არის მისი გამომწვევი მიზეზი და განვითარების რა საფეხურზეა სახელმწიფო. დანაშაული შეიძლება იყოს სხვადასხვა კატეგორიის და სხვადასხვა პირის თუ პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედება. ჩადენილი დანაშაულებიდან აღსანიშნავია არასრულწლოვანთა დანაშაულობები. თუ გავითვალისწინებთ ასეთი კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ პიროვნებათა ასაკობრივ მდგომარეობას ნათელი გახდება, რაოდენ დიდი მნიშვნელობის არის ეს პრობლემა, საზოგადოებისათვის და მთლიანად სახელმწიფოსათვის. იმისათვის რომ გავიგოთ თუ რა სტადიაზე არის დღეს არასრულწლოვანთა დანაშაულობები უნდა მოვახდინოთ მისი დინამიკის განსაზღვრა და ისტორიული განვითარების საფეხურებზე, თანმდევი თავისებურებების შესწავლა. თუ გადავაგვლებთ თვალს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას სხვადასხვა ქვეყნებში დავინახავთ რომ არასრულწლოვნები დიდი რაოდენობით ჩადიან დანაშაულს. განვიხილოთ მაგალითისათვის რუსეთში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები.

“რეკინის” (საინფორმაციო ბაზა) ინფორმაციით დიდა 16-17 წლის არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულთა რაოდენობა. სტატისტიკის მიხედვით ამ ასაკის კრიმინალთა მიერ ჩადენილია 1000 დანაშაული, ხოლო 14-15 წლის არასრულწლოვანთა მიერ მხოლოდ 450.

¹ მალხაზ ბაბაძეს ლექციების კურსი კრიმინოლოგიაში.
² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ბოლო ნახევარ წელიწადში მოსკოვში პატარა კრიმინალებმა ჩაიდინეს 500 ქურდობა, 350 ძარცვა, 127 თავდასხმა. უმეტეს შემთხვევაში, არასრულწლოვანები ქურდობენ ან იტაცებენ მობილურ ტელეფონებს, რომლებსაც ყიდიან და ფულს სათამაშო ავტომატებით სათამაშოდ იყენებენ.

„რეპკინის“ განცხადებით, დანაშაულს ყველაზე ხშირად გოგონები სჩადიან. ნახევარი წლის მანძილზე მათ ჩაიდინეს 200-ზე მეტი დანაშაული. არასრულწლოვანი გოგონების საყვარელი გატაცებაა კოსმეტიკური საშუალებებისა და ტანსაცმლის ქურდობა.

სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს არასრულწლოვანებმა ჩაიდინეს 154 ათასი დანაშაული, მათ შორის, ათასზე მეტი მკვლელობა, 3 ათასი ყაჩაღური თავდასხმა და 18 ათასი ქურდობა.

ბავშვთა ფსიქოლოგიის სპეციალისტები არასრულწლოვანთა ამგვარ სისასტიკეს ღრმა სოციალური ფაქტორებით ხსნიან. მათი განცხადებით, ახალთაობას ღირებულებების ორიენტაციის სერიოზული პრობლემები აქვს.

სამართალდამცველთა განცხადებით, არასრულწლოვანის მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ბოლო შოკისმომგვრელი დანაშაული 2006 წლის 8 აგვისტოს მოხდა. ალტაის მხარეში, სოფელ ტუეკტაში 16 წლის არასრულწლოვანმა მოკლა ომსკის ჟურნალის მთავარი რედაქტორი ალექსანდრ პეტროვი, მისი ცოლი და ორი ბავშვი, იმის გამო, რომ პეტროვის უცხოური მანქანით გასეირნება უნდოდა.

19 მაისს სასამართლომ ოთხ არასრულწლოვანს ექვსიდან ათ წლამდე პატიმრობა მიუსაჯა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ძარცვისა და გაუპატიურებისათვის.

მანამდე ოთხ არასრულწლოვანს უკვე ჩადენილი ჰქონდათ 10 განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული.

რამდენიმე დღის წინ ძალაში შევიდა მოსკოვის სასამართლოს განაჩენი. საქმე ისაა, რომ არასრულწლოვანთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში გოგოც შედიოდა, თანატოლი სასტიკად დასაჯეს – მთელი ღამე აწამებდნენ, მანამდე სანამ მსხვერპლი არ გარდაიცვალა. რუსი სამართალდამცველები არსებული სტატისტიკის გამო შეშფოთებული არიან, უფრო ზუსტად, იმის გამო, რომ კატასტროფულად იზრდება არასრულწლოვან დანაშაულთა რიცხვი, რომელთა შორის კრიმინალი გოგონები ლიდერობენ. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მოსკოვის პოლიციამ მიიღო გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა საქმეებზე კვალიფიცირებული უბნის ინსპექტორის ინსტიტუტის გაძლიერების თაობაზე.

საქართველოში არსებულ მდგომარეობას რაც შეეხება; თუ განვიხილავთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებათა სტატისტიკას 2001 წლიდან 2006 წლამდე, დავინახავთ როგორ და რა სისწრაფით ვითარდებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულებები საზოგადოებაში.

2001 წელს რეგისტრირებული 15662 დანაშაულიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იყო 662 დანაშაული;

2002 წელს რეგისტრირებული 16658 დანაშაულიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იყო 674;

2003 წელს რეგისტრირებული 17397 დანაშაულიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იყო 617 დანაშაული;

2004 წელს რეგისტრირებული 24856 დანაშაულიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იყო 557 დანაშაული;

2005 წელს რეგისტრირებული 43266 დანაშაულიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იყო 755 დანაშაული;

2006 წელს რეგისტრირებული 62283 დანაშაულიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იყო 997 დანაშაული.


სტატისტიკიდან ნათლად ჩანს როგორ იცვლება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული 2001-2006 წლების პერიოდში.

უფრო ნათლად დავინახავთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების განვითარების ტენდენციებს დიაგრამაზე.

რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა 2001-2006 წლებში



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულის მიხედვით



წყარო: უზენაესი სასამართლო

ბოლო წლებში, როგორც დიაგრამიდან ჩანს აღინიშნება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მკვეთრი ზრდა და სწორედ ამიტომაც დღეს მეტად აქტუალური და პრობლემური საკითხი გახდა ჩვენი საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, ასეთი პრობლემის აღმოჩენა და დანახვა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება დგება საფრთხის წინაშე, დღეს სწორედ რომ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე. არასრულწლოვანთა დანაშაულის მასიურმა ზრდამ წინ წამოსწია ასეთ დანაშაულთა პრობლემა სახელმწიფოში.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს განვიხილავთ ორ ასპექტში:

- 1) საერთაშორისო კონვენციები და დოკუმენტები, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს
- 2) არასრულწლოვანთა დანაშაული როგორც კრიმინოლოგიური მოვლენა.

განვიხილოთ საერთაშორისო კონვენციები და დოკუმენტები არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით.

გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების მინიმალური სტანდარტული წესები, ე.წ. პეკინის წესები, 1985 წ. (United Nations' Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice - the "Beijing Rules").

პეკინის წესებით არ არის დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი, მაგრამ რეკომენდებულია ბავშვის ემოციური, მენტალური და ინტელექტუალური თავისებურებების გათვალისწინებით ეს ზღვარი არ იყოს მეტისმეტად დაბალი (მუხ. 4).

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, 1989 წ. (United Nations Convention on the Rights of the Child – UNCR), რომელსაც საერთაშორისო სამართლის თანახმად მავალდებულებელი ძალა აქვს მონაწილე სახელმწიფოებისათვის. კონვენციის მიხედვით „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიან-

ნი, თუ არსებული კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღ-
წევს სრულწლოვანებას” (მუხ. 1).

საზღვარგარეთის ქვეყნებში შეურაცხაობის ასაკობრივი ზღვარი, ანუ ასაკი, რომლის დადგომის შემდეგაც პირს ბრამად შეურაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ყველგან იდენტური არ არის (იხ. ცხრილი №1) და დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყანაში დამკვიდრებულ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებზე. დღესდღეობით ბრალის შეურაცხაობის ასაკი ქვეყნების მიხედვით 7-დან 18 წლამდე მერყეობს; **ევროპის უმეტეს ქვეყნებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია.**

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ XIX ს-ის შუა ხანებიდან, მას შემდეგ, რაც 1854 წ. გაერთიანებულ სამეფოში მიიღეს პირველი კანონი არასრულწლოვან დამნაშავეთა სასჯელადსრულების დაწესებულების შესახებ (Reformatory School Act), მრავალი ცვლილება განიცადა და აღსანიშნავია, რომ სადაც რეფორმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს შეეხო, განსაკუთრებით, XX საუკუნეში, თითქმის ყველგან მისი მინიმალური ასაკის აწვეის ტენდენცია გამოიკვეთა. ამ ტენდენციას უჭერს მხარს გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის რეკომენდაციებიც; თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ეს თვალსაზრისი ერთგვარი სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული. ერთ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდები და მიღებული შედეგები სისტემური მიდგომისა და სიღრმისეული ანალიზის გარეშე არ უნდა გახდეს სხვა ქვეყანაში ცვლილებების დაწესების მიზეზი, განსაკუთრებით, სამართლის ისეთ სფეროში, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ასახავს კონკრეტულ ქვეყანაში დამკვიდრებულ სოციალურ-კულტურულ ფასეულობებს.

ამავე დროს, რეალურად, ვერც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის დაწესებული მაღალი მინიმალური ასაკობრივი ზღვარი ჩაითვლება ბავშვთა უფლებების დაცვის ავტომატურ ინდიკატორად. შოტლანდიაში, სადაც შეურაცხაობის ასაკი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში (8 წელი), მართლმსაჯულება 16 წლამდე ასაკის და ხშირ შემთხვევაში 16 და 17 წლის ასაკის პირებსაც (თუ ჩადენილი არ აქვთ მძიმე დანაშაული) არიღებს ოფიციალურ სასამართლო სისტემას – ატარებს ე.წ. „ბავშვთა მოსმენებს” (Children’s Hearing) - მართლმსაჯულება ორიენტირებულია ისეთი გადაწყვეტილებებისაკენ, რომელიც არ გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას. იმ ქვეყნებში, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი უფრო დიდია, ბავშვი შეიძლება წარდგეს სასამართლოს წინაშე და მიესაჯოს პატიმრობა.

ამ საკითხის შედარებით ანალიზს ართულებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის შესახებ გაეროცვლებული განსაზღვრების სხვადასხვაგვარობა. სხვადასხვა ქვეყანაში შეურაცხაობის ასაკი განიხილება როგორც: ა) ასაკი, რომლის ქვემოთაც, ბავშვს არ შესწევს უნარი, ჩაიდინოს დანაშაული (doli incapax); ბ) თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ასაკი; გ) ასაკი, რომელზეც ვრცელდება „უფლებაუნარიანობის გასაბათილებელი პრეზუმფცია” (reputable presumption of capacity) და ამ ასაკის განსასჯელი არასრულწლოვანის უფლებაუნარიანობის მტკიცების ტვირთი პროკურორს ეკისრება (ირლანდია, სამხ. აფრიკა, საფრანგეთი, ჰონკონგი).

ასევე არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრისას, რომლის ჩადენაზეც პასუხს აგებს არასრულწლოვანი – ის მოიცავს დანაშაულთა ფართო სპექტრს: მკვლელობიდან ბოროტგანზრახვით ჩადენილ ხულიგნობამდე და მსუბუქ ავტოსაგზაო დანაშაულებამდე, რაც კიდევ უფრო ართულებს საკითხის ერთიან ჭრილში განხილვას.

თანამედროვე მიდგომამ უნდა განსაზღვროს, შეუძლია თუ არა ბავშვს იმოქმედოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მორალური და ფსიქოლოგიური კომპონენტების შესაბამისად, ანუ შეიძლება თუ არა, მცირეწლოვანს ინდივიდუალური აღქმისა და შეგნების საფუძველზე, დაეკისროს პასუხისმგებლობა ანტისოციალური ქცევისათვის; სახეზეა თუ არა ამ ასაკის პირის მიერ სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დანაშაულის ჩადენისას როგორც განზრახვის, ასევე გაუფრთხილებლობის ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტები. თუ შერაცხადობის ასაკი ძალიან დაბალია (ან განსაზღვრული არ არის), სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ცნება მნიშვნელობას კარგავს.

არასრულწლოვანთათვის დაწესებული სხვადასხვა უფლებებით სარგებლობის ასაკობრივი ზღვარი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ზოგადად, მიჩნეულია, რომ მჭიდრო კავშირი არსებობს სამართალდარღვევასა თუ კრიმინალური ქცევისათვის დაწესებულ პასუხისმგებლობასა და სხვა სოციალურ უფლებებსა და მოვალეობებს შორის, როგორცაა, მაგალითად, ქორწინების, დასაქმების, სრულწლოვანების ასაკი და სხვ. (იხ. ცხრილი №2).

საშუალო განათლების დაწყების, ქორწინების, დასაქმების, ასევე სასამართლოს წინაშე წარდგომის ან/და თავისუფლების აღკვეთის ასაკს სხვადასხვა კანონი არეგულირებს და ხშირად ისინი წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. ბევრგან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი და სავალდებულო დაწყებითი განათლების მიღების ასაკი ერთმანეთს ემთხვევა, ანუ კანონმდებელი მიიჩნევს, რომ მცირეწლოვანი საკმარისად არის მომწიფებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გასაცნობიერებლად მაშინ, როცა ახალი დაწყებული აქვს სავალდებულო დაწყებითი განათლების მიღება. მართალია, სისხლის, სამოქალაქო თუ ადამინისტრაციულ სამართალში ასაკობრივი ზღვარის დაფიქსირებას განსხვავებული მიზანი და მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სასურველია მკვეთრი განსხვავებები თავიდან იქნეს აცილებული.

არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემა. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მხილებული არასრულწლოვანი პირის გასამართლება ხდება არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოში: **ინგლისსა და უელსში** ეს არის ახალგაზრდობის საქმეების სასამართლო, სადაც განიხილავენ 18 წლამდე ასაკის დამნაშავეთა საქმეებს; **საფრანგეთში** მოქმედებს ბავშვთა საქმეების სასამართლო, სადაც განიხილება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაულები და სამართალდარღვევები და არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო (Assize Court for Minors) – მძიმე დანაშაულებითვის; **გერმანიაში** – არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო 14-დან 21 წლამდე დამნაშავეებისათვის; **ირლანდიაში** – ბავშვთა საქმეების სასამართლო; **იტალიაში** – ახალგაზრდობის საქმეების სასამართლო, 14-დან 18 წლამდე დამნაშავეებისათვის, ასევე ახალგაზრდობის საქმეთა სააპელაციო სასამართლო; **მალტაში** – ახალგაზრდობის საქმეების სასამართლო, სადაც პასუხს აგებენ 16 წლამდე ასაკის პირები. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო არ არის დანიასა და ნიდერლანდებში.

როგორც არაერთმა გამოკვლევამ ცხადყო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან, მაგრამ ნამდვილ პრობლემას წარმოადგენს არა თვით ეს სისტემა ან მეთოდების შერჩევა მის დასახვეწად, არამედ ის სოციალური თუ ეკონომიკური პირობები, რომლებიც სამართალდარღვევებს წარმოქმნიან და, შესაბამისად – ამ ძირეული მიზეზების გამოვლენა და აღმოფხვრა.

ცხრილი N 1

ასაკი	ქვეყანა
7	ბანგლადეში, ბელიზი, ბრუნეი, გამბია, განა, გრენადა, ეგვიპტე, ინდოეთი, კვიპროსი, კუვეიტი, მალავი, ნიგერია, პაპუა-ახალი გვინეა, სამხ. აფრიკა, სინგაპირი, ჰონკონგი
8	ზამბია, კაიმანის კუნძულები, კენია, ინდონეზია, შოტლანდია, შრი-ლანკა
9	ეთიოპია, მალტა, ომანი
10	ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინგლისი, კამერუნი, მალაიზია, მენის კუნძულები, საუდის არაბეთი, სიერა-ლეონე, სურინამი, უელსი, ფიჯი, ჩრდ.
11	თურქეთი
12	არუბა, გვატემალა, დომინიკის რესპუბლიკა, ერიტრეა, იამაიკა, ისრაელი, კატარი, კანადა, კორეა, მაროკო, მექსიკა, ნიდერ-ლანდები, სან-მარინო, უგანდა, ჰონდურასი
14	ბურკინა-ფასო, ბურუნდი, ესტონეთი, ავსტრია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, გერმანია, იაპონია, იტალია, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვენია, უნგრეთი, ტაივანი, ჩინეთი, ხორვატია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი
15	დანია, ისლანდია, ლაოსი, ნორვეგია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი
16	ანდორა, ბელგია, ესპანეთი, ლუქსემბურგი, მოზამბიკი, პორტუგალია, ჩილე
18	გვინეა, ეკვატორი, ვენესუელა, კოლუმბია

მინიმალური ასაკობრივი ზღვარი

ქვეყანა	სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის	საშუალო სკოლის დამთავრების	ქორწინების გოგონები/ვაჟები	დასაქმების
მალტა	9	16	16	16
ინგლისი, უელსი	10	16	16	16
თურქეთი	11	14	14/15	13
ნიდერლანდები	12	16	16	16
სან-მარინო	12	16	16	16
საფრანგეთი	13	16	18	16
საბერძნეთი	13	15	18	15
ესტონეთი	13	15	15	15
ავსტრია	14	15	15/18	15
გერმანია	14	15	16	15
უნგრეთი	14	16	16	16
იტალია	14	14	16	15
ლატვია	14	15	16	15
რუმინეთი	14	14	15/18	15
სლოვენია	14	15	18	15
ჩეხეთი	15	15	15	16
დანია	15	16	15	15
პოლონეთი	15	18	16	15
შვედეთი	15	16	18	16
პორტუგალია	16	15	16	15
ესპანეთი	16	16	14	16
ლუქსემბურგი	16	15	16/18	15

განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია 18 წლის ასაკზე ქვემოთაც, მაგრამ ქვედა ზღვარი. რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების კრიმინოლოგიურ ასპექტში განხილვას ის მთლიანად გამოიხატება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მიზეზებისა და პირობების გამოვლენაში, მისი სახეობების და ჯგუფების არსებობაში.

ჩადენილი დანაშაულობები სხვადასხვა დროის პერიოდში, წარსულსა თუ აწმყოში განსხვავდება იმის მიხედვით თუ რა მიზეზები განაპირობებს მას. დღესდღეობით არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობების მიზეზები შეიძლება იყოს ეკონომიკური, სოციალური ან პოლიტიკური. სანამ გადავიდოდეთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამომწვევი მიზეზების განხილვაზე მანამდე უნდა მოვახდინოთ, დანაშაულის განხილვის დროს მისი სუბიექტური და ობიექტური მხარეების გამოყოფა, ვინაიდან როდესაც გვაინტერესებს მიზეზი სამართალდარღვევისა უნდა გავითვალისწინოთ არამარტო ის თუ რა არის ესა და არამედ რა იყო წინააღმდეგობა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზაციის პროცესს პიროვნების ჩამოყალიბებაში ანუ რა განაპირობებს მაგალითად: არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულს. «თანამედროვე ბავშვები შეიცვალნენ და მათი სისასტიკის მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ ატმოსფეროში, სადაც იზრდებიან და ცხოვრობენ» - აცხადებენ ფსიქოლოგები.

ეს მართლაც ასეა, რადგან დღეს თუ დავაკვირდებით არასრულწლოვანთა მდგომარეობას, ჩვენთვის ნათელი გახდება თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დამნაშავედ ჩამოყალიბება. არასრულწლოვანის ჩამოყალიბება და აღზრდა იწყება ოჯახიდან, ამიტომაც ოჯახის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში ძალიან დიდია. ოჯახის განსაკუთრებული დანიშნულება გამომდინარეობს მისი ფუნქციიდან რომელსაც იგი ასრულებს უფრო ფართო საზოგადოების ფარგლებში. ეს არის კულტურული მემკვიდრეობის მთავარ ნიშანთვისებათა გადაცემა, მაგრამ უნდა ითქვას რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღზრდის როლი ოჯახში პიროვნების ძირითადი ელემენტების ჩამოყალიბებისათვის.¹ დღევანდელი სიტუაციით საქართველოში ოჯახების უმრავლესობა ინგრევა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რაც გამოწვეულია სახელმწიფოს განვითარების გარდამავალი პერიოდით. დედების უმრავლესობას ოჯახის სარჩენად საზღვარგარეთ უწევს «გადაკარგვა».

არასრულწლოვანთა დამნაშავეთ ჩამოყალიბებაზე ბევრი ფაქტორები ახდენენ გავლენას. ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩავთვალოთ ის გარემო, რომელშიდაც არასრულწლოვანი ხვდება ოჯახიდან გასვლის შემდეგ. ეს არის სკოლა. დღესდღეობით სკოლების უმრავლესობა ფუნქციონირებს უკმარისად აუცილებელია პიროვნების განვითარების ამ ეტაპზე. სკოლაში უნდა არსებობდეს სწავლების ისეთი მეთოდი რომელიც დააინტერესებს მოზარდს და თუ ის დაკავდება შემოქმედებით თუ სხვა საგანმანათლებლო საქმიანობით მას აღარ ექნება იმის დრო და საშუალება, რომ იფიქროს დანაშაულის ჩადენაზე.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია განათლების სამინისტროს 2007 წელს მიღებული აქტი რომელიც ითვალისწინებს პროგრამის, “უსაფრთხო სკოლის” განხორციელებას. ამ დოკუმენტის საფუძველზე ხდება სწავლების მექანიზმის შეცვლა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს უწევთ გარკვეული ქცევის კოდექსის ფარგლებში, მოქმედება. პროექტის მიზანია აგრეთვე გარკვეული კულტურული ღონისძიებებით, სასწავლო-შემეცნებითი წრეებით მოსწავლეთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენება და მათი მოწყვეტა ე.წ. “ქუჩის ინსტიტუტს”.

არასრულწლოვანთა დანაშაული რა თქმა უნდა არსებობდა საზოგადოებაში ყოველთვის მცირე თუ დიდი ოდენობით, ამკარად თუ ფარულად, მაგრამ მაინც იყო. თუ გადავახედებთ თვალს უახლოეს საუკუნეებს დავინახავთ რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობები არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი, რადგან იმდენად იშვიათად ხდებოდა, რომ საზოგადოების ყურადღებას არ იწვევდა. ისმება კითხვა: რატომ არ იყო არასრულწლოვანთა დანაშაული აქტუალური ადრე და რატომ არის დღეს? მას ერთი მარტივი პასუხი აქვს: იმიტომ რომ ადრე პიროვნების აღზრდა სხვაგვარი მეთოდებით ხორციელდებოდა და დღეს ეს მეთოდები მკვეთრად შეიცვალა. ადრე მოზარდს არ ჰქონდა ისეთი უფლებები რაც აქვს დღეს. უფლებების გაზრდამ გამოიწვია არასრულწლოვანთა ზღვარგადასული ქმედებები და მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტები. არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენას ხელს უწყობს აგრეთვე სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები მაგალითად როგორც არის კომპიუტერი. დღევანდელი ახალგაზრდების უმრავლესობა დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერული თამაშების, თამაშში ატარებენ. არსი ისეთი კომპიუტერული თამაშები, რომლებიც ვირტუალურად ასახავენ ადამიანთა მკვლელობებს და მოთამაშეს გამარჯვების მისაღწევად ადამიანთა მოკვლა უწევს.

¹ იან შჩეპანსკი

ჩემი აზრით, როდესაც მოზარდი არასრულწლოვანი სისტემატურად თამაშობს ასეთ თამაშებს მასში თანდათან ხდება გარკვეული პროცესების წარმართვა. არასრულწლოვანთა უმეტესობას ეს თამაშები რეალობაში გადმოაქვს და მათთვის კაცის მოკვლა არაფერს წარმოადგენს. ის კი, დამეთანხმებით ძალიან ცუდია და ზიანის მომტანია საზოგადოებისთვის. დანაშაულობები ხდება მაშინ არა როდესაც ჩავდივართ ცუდს არამედ როდესაც ბოროტად ვიყენებთ კარგს. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობები გამოწვეულია აგრეთვე საზოგადოებაში რელიგიური რწმენის გაქრობის გზაზე დადგომაში. ეკლესია, რომელიც ადრე დიდი როლს თამაშობდა არასრულწლოვანის აღზრდაში და ფაქტიურად ერთ-ერთი წვლილის შემტანი იყოს მის პიროვნებად. ჩამოყალიბებაში დღეს მას უკვე ეს ფუნქცია ფაქტობრივად წაერთვა. ახალგაზრდები დასცილდნენ ეკლესიას, ეკლესიური აღზრდის მეთოდებს. ეკლესიური წესებით აღზრდა ყოველთვის იწვევდა პიროვნებაში ნამდვილი ადამიანის ჩამოყალიბებას და არა მის დამნაშავედ გაზრდას. თუმცა დღესდღეობით საბედნიეროდ, შეინიშნება საპირისპირო ტენდენციები და ახალგაზრდა თაობის სწრაფვა ეკლესიისაკენ.

არასრულწლოვნებზე აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული სიახლეები. კულტურული ფასეულობათა გადაფასების გზაზე დადგომაში გამოიწვია ის, რომ არასრულწლოვნებმა მოახდინეს იმ სიახლეების ათვისება რომელიც მათთვის საზიანო და ცუდის მომტანია, რაც თავისთავად გლობალიზაციის შედეგია. ქუჩური ცხოვრების პოპულარიზაციამ მიიზიდა არასრულწლოვნები და უმეტესობა მისი მსხვერპლი გახდა. დანგრეულმა ოჯახმა, სკოლის არასწორმა აღზრდამ განაპირობა არასრულწლოვნების ქუჩაში გასვლა და მათი იქ დამნაშავე პიროვნებად ჩამოყალიბება. ყველაზე ცუდი კი ის არის რომ დღესდღეობით ქუჩური ცხოვრება «პოპულარულია» ახალგაზრდებში და დიდ მოწონებას იმსახურებს. ესეც თავისთავად არასწორად განვითარების შედეგია.


არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევ პოლიტიკურ მიზეზებს რაც შეეხება უნდა ითქვას რომ ის ძირითადად გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულთა არასწორად აღკვეთის გზების განსაზღვრაში. ეს ნიშნავს იმას რომ არ ხდება დანაშაულსა და სასჯელს შორის ზღვარის დაცვა. არ შეიძლება უკანონობას ებრძოლო უკანონობით, მას უნდა ებრძოლო სამართლიანი სამართლით, რადგან არ მოხდეს პიროვნების კრიმინალად ჩამოყალიბება და ხელის შეწყობა მის დამნაშავედ განვითარებაში.

იგივე აზრს იზიარებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ათამდე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები რომლებიც თვლიან რომ: «ჩვენი მიზანი არა მოზარდის დასჯა, არამედ გამოსწორება უნდა იყოს.»

არასრულწლოვანთა პრობლემასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ გააკეთა შემდეგი განცხადება: **“ბავშვთა დანაშაული ის თემაა, რომელზეც ჩვენ ერთად უნდა ავტეხოთ განგაში და საგანგებო მსჯელობის საგნად ვაქციოთ. ამ საკითხს მარტო კანონით ვერ დავარეგულირებთ, ჩვენ ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ – სკოლა, პედაგოგები, მშობლები, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები და კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ, რათა მობილიზირებული ბრძოლა გამოვუცხადოთ იმ საშიშ ტენდენციებს, რომლებმაც ასე ფართოდ იჩინა თავი ახალგაზრდებს შორის ამ ბოლო პერიოდში”**

არასრულწლოვანთა დანაშაულობების ფონზე თუ განვიხილავთ დამნაშავეის პიროვნებას, ყურადღების გამახვილება მოგვიწევს მათ მოთხოვნილებათა სისტემაზე თუ არასრულწლოვანი პირის მოთხოვნები ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს მაშინ მისი ქმედება შეფასდება როგორც ანტი-

საზოგადოებრივი ქცევა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში უნდა გამოვიკვლიოთ ღირებულებათა სისტემა და ინტერესები მოთხოვნილებებთან ერთად.



აღსანიშნავია რომ კანონსაწინააღმდეგო აზროვნების ჩამოყალიბებაზე მოქმედებს ტიპი ტემპერამენტისა და ხასიათი. დანაშაულებრივი ქცევის განხილვის დროს მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: სოციალური და ბიოლოგიური.

სოციალურში შედის – გარემო სადაც ინდივიდი იზრდება, აღზრდა და სწავლება.

ბიოლოგიურში – შედის ნერვული სისტემის ტიპი და ტემპერამენტი.

მთლიანობაში კრიმინალური ქცევა სოციალურ წრესთან კავშირში უნდა განიხილებოდეს. დანაშაულებრივი ქმედების ანალიზის დროს უნდა ვიცოდეთ იმაზე მეტი ვიდრე რეალური ფაქტებით არის მოცემული. კვლევისა და ანალიზის დროს აუცილებელია წარმოდგენა გვექონდეს მოტივზე (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) და ემოციურ ნებით სფეროზე(შერაცხადი და შეურაცხადი).

ხშირად არასულწლოვნებში დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს საზოგადოების არასწორი ქმედება მის მიმართ. ეს შეიძლება გამოიხატოს ბიოლოგიურ მიდგომაში, როდესაც დამნაშავეს აქვს თანდაყოლილი ნიშნები რითაც განსხვავდება სხვისგან და ასეთ დროს ხდება საზოგადოების მიერ მისი უარყოფა, ეს იწვევს პიროვნებაში დამნაშავის ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება მის ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში. ამიტომ როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან მაქსიმალურად უნდა მოვახერხოთ მასზე ისეთი ზეგავლენის მოხდენა რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მასში დამნაშავე პიროვნების ჩამოყალიბებას.

ვინ არის არასრულწლოვანი დამნაშავე – პოტენციური დამნაშავე თუ მსხვერპლი?

ამაზე შეიძლება მხოლოდ შემდეგნაირად უპასუხოთ: არასრულწლოვანი დამნაშავის პიროვნება ეს არის მსხვერპლი იმ საზოგადოებისა და გარემოში რომელშიც ცხოვრობს და რომელი მსხვერპლიდანაც შემდგომში ყალიბდება პოტენციური დამნაშავე.

არასრულწლოვანი პიროვნების მიერ ჩადენილ დანაშაულზე როგორც ზემოთ ავლინებთ დიდ გავლენას ახდენს, არასრულწლოვანთა დანაშაულობების არასწორი პრევენცია, მისი არასწორი პროფილაქტიკა. არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ათასგვარი მეთოდია აპრობირებული: - სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება და ამ პროცესში ეკლესიის ჩართვა, კანონის გამკაცრება და სხვა. მაგრამ, როგორც მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, ყველაზე ნაკლებად ეფექტური კანონის გამკაცრება აღმოჩნდა. ჟერ კიდევ XVII საუკუნეში მიხვდნენ ინგლისელები რომ შიშზე დამყარებული კანონიერება შედეგს ვერ მოიტანდა. როდესაც ლონდონში ტაუერის მოედანზე ჯიბის ქურდებს საჯაროდ მარჯვენა ხელს აჭრიდნენ ყველაზე მეტი ადამიანი მაშინ იძარცვებოდა, დასჯის ცერემონიალის ყურებით გართულ ლონდონელებს

ქურდები ქისებს აჭრიდნენ. 20 წელი დასჭირდათ ინგლისელებს იმის მისახვედრად რომ შიში ადამიანს კანონმორჩილად ვერ აქცევს. ეს რა თქმა უნდა ასეა არ შეიძლება გამკაცრებული მეთოდებით მოხვედეს დანაშაულობათა აღკვეთა მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია და შეიძლება არასწორმა ქმედებამ მას დამნაშავედ ჩამოყალიბებაში უბიძგოს. ამიტომ მისაღებია და გასათვალისწინებელია შემდეგი: «უმჯობესია გაფრთხილდეს დანაშაული ვიდრე დაისაჯოს, აი ამაშია მთავარი მიზანი ყოველი კარგი კანონმდებლობისა.»

სოციალური გამოკითხვის შედეგები კითხვაზე: **რა ვიღონოთ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული შემცირდეს???**

რა ვიღონოთ?

გამკაცრდეს უსაფრთხოების ზომები სკოლებში	[27]	[13.57%]
აიკრძალოს ცივი იარაღის გაყიდვა	[32]	[16.08%]
დაწესდეს მკაცრი ჯარიმები ცივი იარაღის ტარებაზე	[32]	[16.08%]
გამკაცრდეს სს კოდექსი არასრულწლოვანთა მიმართ	[25]	[12.56%]
გაიმართოს საჯარო დებატები ამ თემაზე	[16]	[8.04%]
შეიცვალოს სოციალური მიდგომა	[60]	[30.15%]
თითოეულმა მივწეროთ წერილი განათლების სამინისტროში და პარლამენტში	[4]	[2.01%]
Total Votes: 196		

საბოლოოდ შევაჯამოთ ის მოვლენები რომელიც არსებობს მსოფლიოში თუ ჩვენ სახელმწიფოში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის განვიტარების ტენდენციებთან დაკავშირებით:

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები:

1. ახალგაზრდების მიერ ხდება სხვა ქვეყნების მაგალითების გადმოღება;
2. განსაკუთრებით ხშირია მკვლელობები;
3. დამნაშავეთა ასაკი მერყეობს 11-15 წლები.

სისხლისსამართლებრივი მიზეზები:

1. შელაპარაკება;
2. შურისძიება;
3. დანაშაულის აღკვეთის არასწორი მეთოდების გამოყენება;

სოციალური მიზეზები:

1. ოჯახის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა;
2. არასწორი აღზრდა;
3. ეკლესიის როლის შესუსტება პიროვნების ჩამოყალიბებაში;
4. კომპიუტერული თამაშები;
5. ქუჩური ცხოვრება.
- 6.

პრევენციის, პროფილაქტიკის მეთოდები:

1. სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, რაც შეიძლება გამოიხატოს სკოლის მოსწავლეთა მიმართ ისეთ ღონისძიებების განხორციელებაში რომელიც დააინტერესებთ მათ და აქტიურად ჩაებმებიან მასში; (განათლების სამინისტროს დოკუმენტი 2007 წელი)
2. კომპიუტერულ თამაშებზე გარკვეული სანქციების გაცემა.
3. სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში ეკლესიის ჩაბმა.
4. ოჯახმა არ უნდა მიაწოდოს ბავშვს ზედმეტი უფლებები წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოხდეს მშობლებზე პასუხისმგებლობის დაკისრება.
5. სკოლების და უნივერსიტეტების მიერ უნდა მოხდეს პრევენციული ღონისძიებების გატარება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. (გ.რობაქიძის უნივერსიტეტის ბრძანება. №1-11/195 -16.03.07)

აქვე უნდა აღინიშნოს მედიის როლი არასრულწლოვანთა დანაშაულის აქტუალობაზე საზოგადოებაში. არასრულწლოვანთა დანაშაულს მას შემდეგ მიექცა ყურადღება, როდესაც ამის შესახებ გაშუქდა მასმედიით, რამაც შეიძლება მისი პოპულარიზაცია მოახდინა. მაგრამ მიუხედავად ამისა აუცილებელი იყო საზოგადოებას ესაუბრა ამ პრობლემებზე და დაეწყო მისი გადაჭრის გზების ძიება. 2007 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებს თუ შევადარებთ 2006 წლის ბოლო ოთხი თვის მონაცემებს აშკარად დავინახავთ, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობები თანდათან იკლებს.

*ნინო ენდელაძე, ნანა ჯაყელი
გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
2. მერაბ ტურავა, სსსკ-ს ზოგადი ნაწილის კომენტარი. სპეც.გამოშვება 2006წ.
3. პეტრე დაუთაშვილი, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი) თბილისი 2003წ.
4. ავტორთა კოლექტივი, კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა, ა.შ.შ და საქართველო; გამომცემლობა: ა.შ.შ-ს საელჩოს დემოკრატიული კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა. თბილისი 2003წ.
5. შინაგან საქმეთა სამინისტრო – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
6. იუსტიციის სამინისტრო – www.justice.gov.ge

7. სტატისტიკის დეპარტამენტი – www.statistics.ge
8. უზენაესი სასამართლო – www.supremecourt.ge
9. გაზეთი “24 საათი”, 30/09/06 სათაური: არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები
10. გაზეთი “რეზონანსი”, ინტერვიუ, ტირაჟი №36, 15/02/06
11. იან შჩეპანსკი – „სოციოლოგიის შესავალი“
12. მალხაზ ბაძაღვა – ლექციების კურსი კრიმინოლოგიაში

ნინო ენდელაძე, ნანა ჯაყელი

არასრულწლოვანთა დანაშაული, როგორც საზოგადოებაში ისტორიულად ჩამოყალიბებული, განვითარებადი და არსებული მოვლენა

რეზიუმე

2006-2007 წლებში მეტად პრობლემატური საკითხი გახლდათ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, ჩვენი თემა ეხება მთლიანად ამ პრობლემას და მის სოციალურ, კრიმინოლოგიურ და სისხლისამართლებრივი მნიშვნელობის განსაზღვრის გზებს; საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე როგორცაა: გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების მინიმალური სტანდარტული წესები, რომლითაც ხდება საერთაშორისო სტანდარტების დადგენა, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით.

ნინო ენდელაძე, ნანა ჯაყელი

Преступления несовершеннолетних как в обществе исторически развитые, развивающиеся и действующие явления

Резюме

Проблематическим вопросом 2006-2007 годов был преступления совершенные несовершеннолетними. Наша тема касается полностью этой проблемы и путей определения её социального, криминального и уголовного значения. На основе международных документов: Минимальные стандартные правила ООН по администрированию правосудия несовершеннолетних, на основе которого проводится установление международных стандартов, в связи с возрастом ответственности несовершеннолетних.

Nino Endeladze, Nana Jakheli

Juvenile Delinquency as a historically emerging, developing and existing phenomenon

The Summary

One of the key areas of concern in 2006-2007 years was offending behaviour of minors and our essay is dedicated fully to this problem and ways of defining its social, criminological and criminal value. On the basis of the international documents: the UN Minimum Standard Rules on administration of Juvenile Justice, based on which the international standards related to the minimum age of criminal responsibility are defined.

**ენდო და ებზოგენური ფაქტორების გავლენა ნარკომანიაზე
არასრულწლოვნებში და მისი პრევენცია**

ნარკომანია აღიარებულია საერთაშორისო პრობლემად. მსოფლიოში შეინიშნება ნარკომანიის სწრაფი ზრდა. მას უწოდებენ კაცობრიობის მესამე საშიშროებას – ბირთვული იარაღის და გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის შემდეგ. ნარკომანია იწვევს მორალურ-ზნეობრივ, ემოციურ კულტურულ და ეკონომიკურ დონის დაქვეითებას.

ბოლო პერიოდში ნარკომანია მოიცავს უფრო ახალგაზრდა ასაკს, მათ შორის დიდი პროცენტი მოდის არასრულწლოვანებზე. ნარკომანიამ მკვეთრად მოიმატა საქართველოშიც. 1992 წლიდან 2005 წლამდე ოფიციალურად აღრიცხულ პირთა რიცხვი 6 ჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც მათი რეგისტრაცია და სამკურნალოდ მიზიდვა ხდება მძიმე, შორსწასულ შემთხვევებში. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მზარდი კონტაქტები ქვეყნებთან, სადაც გავრცელებულია ნარკომანია და ის მზარდი ინფორმაციული ნაკადი, რომელიც იწვევს არაჯანსაღ ინტერესს, გაველენას ახდენს მოზარდს მსომხედველობის ფორმირებაზე და ცხოვრების წესზე, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს საზოგადოების სრულ დეგრადაციამდე. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნარკოტიკის მოსაპოვებლად ჩადენილ დანაშაულის – ქურდობა, ძარცვა, გაუპატიურება, მძიმე ზიანის მიყენება და მკვლელობათა რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს. ეს განპირობებულია იმით, რომ ნარკომანი უკან არ იხევს არაფრის წინაშე ოღონდ მიიღოს სასურველი ნივთიერება.

14-18 წლის ასაკის პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ითვლება სოციალურად და ფსიქიკურად მოუმწიფებლად. არასრულწლოვანს არ შეუძლია სრულყოფილად გააცნობიეროს კანონები საზოგადოებრივი ქცევის წესები, არ გააჩნია საკუთარი საქციელის ადეკვატური პროგნოზირების უნარი. ა.ე.ლიხომ და ბ.ე. ბიტენსკიმ 1991 წ. ჩატარებული კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი ემოციური და ფსიქოლოგიური უმწიფარობა და კონტროლის დეფიციტი. ზოგ შემთხვევაში ეს არის უბრალო ცნობისმოყვარეობა, სურვილი არ ჩამორჩეს სხვებს, გამოცადოს განუცდელი შეგრძნება, გამოჩდეს განსხვავებულ ადამიანად. ნარკომანია (narke – ძილი, mania – სიგიჟე, ლტოლვა) მედიცინის თვალსაზრისით დაავადებაა რომლის განვითარების დროს ორგანიზმის ცხოველყოფელობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების მუდმივად მიღების პირობებში, რასაც მოსდევს ორგანიზმის ფსიქიკური და ფიზიკური ფუნქციების გამოფიტვა.

ნარკომანიის ერთ-ერთი გამომწვევი ენდოგენური ფაქტორია მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა და პიროვნული თავისებურებები – ფსიქოპათია, ინტერესთა სიღარიბე, ერთფეროვნება, ცხოვრებისადმი ნეგატიური განწყობა.

მნიშვნელოვანია ცხოვრების მძიმე პირობები და ნეგატიური მიკროსოციალური გარემო – მწვავე და ქრონიკული სტრესი. სტრესის გამოსავალი დამოკიდებულია სტრესის ძალასა და ხანგრძლივობაზე. აგრეთვე ორგანიზმის დაცვითი ძალების პოტენციურ შესაძლებლობებზე და ჩამოყალიბებაზე (“სტრესი სიცოცხლეა და სიცოცხლე სტრესი” – ჰ.სელიე).

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე არასრულწლოვანის ოჯახურ გარემოცვას, რომელიც უშლის მოზარდთა პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. ხშირად

ოჯახის წევრები ვერ ქმნიან აღზრდისათვის სასურველ პირობებს, ზოგჯერ მნიშვნელოვანია ასოციალური აღზრდა და გამოცდილი ნარკომანების ნეგატიური ზემოქმედებაც. ერთ ნარკომანს მრავალი მონაცემის თანახმად, შეუძლია “ჩაითრიოს” 3-5 პიროვნება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სუსტია მშობლების, სკოლების და სხვა დაწესებულების აღმზრდელობითი გავლენა.

ადამიანის თავის ტვინში გამომუშავდება ნივთიერებები “ენდორფინები და ენკეფალინები” (შინაგანი მორფინები), რომლებიც სიამოვნების განცდაზე არიან პასუხისმგებელნი. ენდომორფინები ჭარბად გამოიყოფა და შესაბამისად სიამოვნების განცდა აღინიშნება მაშინ, როდესაც ადამიანი სიცოცხლის მნიშვნელოვან მოთხოვნილებას იკმაყოფილებს – წარმატების მიღწევა, სიყვარულის განცდა, მეგობრობა და სხვა. ფსიქიკურად და ფიზიკურად ჩამოუყალიბებელი არასრულწლოვანი ცდილობს პრობლემების გადაწყვეტის ნაცვლად ნარკოტიკების საშუალებით ხელოვნურად გამოიწვიოს სიამოვნების გრძნობა, რომელიც “დაუმსახურებელია”. მიღების შეწყვეტა კი იწვევს სასიამოვნო შეგრძნებების დეფიციტს და ნარკოტიკის მოთხოვნილებას. შემდგომ ნარკოტიკის სისტემატიური გამოყენება იწვევს ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მძიმე დარღვევებს, დიდ ზიანს აყენებს როგორც თვით ნარკომანს, ისე მის ირგვლივ მყოფ პირებს და მთელ საზოგადოებას. იცვლება პიროვნული თვისებები, ქრება ინტერესი საზოგადოებრივი ცხოვრების და შრომის მიმართ, ისინი ხდებიან უხეშები, ეგოისტურები. პირველ ხანებში ახერხებენ ახლობლების და ნაცნობების მოტყუებას, შემდგომში უგულოყოფენ ქცევის ყველა ნორმებს, არღვევენ კანონს.

ნარკოტიკებს მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება სამედიცინო პრაქტიკაში ფართო მასშტაბით სპეციფიკური ზემოქმედებისათვის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, და იურიდიულად არიან აღიარებული ნარკოტიკულ ნივთიერებად ჯანმრთელობის დაცვის სისტემის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. თუ ნივთიერება არ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გამოიყენებოდეს ეიფორიული ეფექტის მისაღებად და იწვევს დაავადების განვითარებას ნარკოტიკად არ ითვლება. პათოლოგიას, რომელსაც იწვევს ეს ნივთიერება ტოქსომანია ეწოდება. ნარკომანიის სახეებია: კოკაინიზმი, ოპიოდური, ნივთიერებებით და გალუცინოგენებით გამოწვეული ნარკომანია, კანაბიზმი. ხშირია პოლინარკომანია.

განვიხილოთ ერთ-ერთი გავრცელებული ნარკოტიკის ზეგავლენა ორგანიზმზე. ჰაშიშის პირველად გასინჯვა ხშირია 14-16 წლის ასაკში. ხშირად ინიციატორები არიან უფროსი ასაკის ნარკომანები და ეპიზოდური მომხმარებლები.

ნარკოტიკის მიღების შემთხვევაში ვითარდება თრობის სურათი: მხიარულების, ბედნიერების გრძნობა, ძალის მოზღვაება, სექსუალური აგზნება, ზოგჯერ სასიამოვნო თავბრუს გრძნობა, ზმანების განცდა, ოცნებები, მთელ სხეულში სიმჩატის გრძნობა.

მომხმარებელი ეპიზოდური მიღებიდან გადადის ნარკოტიკის სისტემატიურ მოხმარებაზე (ეწევა 5-8 სიგარეტს დღეში). ვითარდება ნარკოტიკის მიმართ ფსიქიკური დამოკიდებულება – გადაულახავი სურვილი კიდევ განიცადოს შეცვლილი მდგომარეობა. აბსტინენტური სინდრომი (abstinentia შეკავება) – “ნარკოტიკული შიმშილის მდგომარეობა” რომლის დროსაც აღინიშნება ორგანიზმის, ორგანოების და სისტემების ფუნქციის მძიმე დარღვევები: გაღიზიანება, ემოციური ლაბირობა, ყველაფრის მიმართ განურჩევლობა, მოშლილია ძილი და მადა, აღინიშნება ცუდი თვითშეგრძნება, სიმძიმის შეგრძნება თავის არეში, თავის ტკივილი, გულის ფრიალი უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, თითების კანკალი, კუნთების დაჭიმულობა. ვითარდება ნარკოტიკების მიმართ ფიზიკური დამოკიდებულება. შემდეგ ნარკოტიკის მოქმედებას ეფექტ

ტურობა ქვეითდება, რაც იწვევს ჩვეული ეფექტის მიღწევის მიზნით დოზის გაზრდას – მომატებული ტოლერანტობა (მაშინვეს ღებულობენ 10 ჯერ ან გადადიან უფრო ძლიერ ნარკოტიკზე). აღარ აღინიშნება ბედნიერების, სიხარულის გრძობა, ძალთა მოზღვაება. ნარკომანებს უჩდებად მარტო ყოფნის სურვილი, “გენიალური აზრები”, “ფიქრებში წასვლა”. ბოლო სტადიაში ნარკოტიკის მიღება აღარ იწვევს გუნებ-განწყობის აწევას, აღინიშნება პიროვნების დეგრადაცია, ვითარდება სხვადასხვა ორგანოების და სისტემების დაავადებები.

დგება “უამი არჩევანისა” – ნარკოტიკის მომხმარებელი დაფიქრდეს თუ როგორ ცხოვრობს, გაითავისოს, რომ არ არის გვიან შეცვალოს ცხოვრების წესი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, დაიწყოს სვლა ახალი მიმართულებით.

ძალიან ხშირად ნარკომანიის პრობლემას მიმართ საზოგადოება და ცალკეული პიროვნებები უიმედობას გამოხატავენ “ნარკოტიკებთან ბრძოლა წაგებულა”, “მე ჯერ არ მინახავს გამოჯანმრთელებელი ნარკომანი”. ხელების აწევა ყველაზე იოლია. ნარკომანიის პრობლემა რთულია, მაგრამ დაძლევადი. უნდა გაიმიჯნოს ნარკომანების მკურნალობის, პროფილაქტიკის და პრევენციის პრობლემები. ნარკომანიის მკურნალობა პირობითად სამ კომპონენტად შეიძლება დაიყოს: 1. ნარკოტიკულ საშუალებებზე ფიზიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება, რასაც ერთ თვემდე მკურნალობის კურსი ესაჭიროება; 2. ფსიქოლოგიური დამოკიდებულების დაძლევაზე მიმართული ფსიქოთერაპია (სტრესთან გამკლავება და ნარკომანის ცხოვრების დაგეგმვა, პრობლემების გადაჭრის დახმარება); 3. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია – სოციალური მუშაკის მეთვალყურეობა, დასაქმება, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა (თერაპიული კომუნა, ჯგუფური ფსიქოთერაპია, თვითდახმარების გაერთიანებანი). სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ქვეყანაში მკურნალობის აღწერილი კომპონენტებიდან მხოლოდ დეტოქსიკაციის ეტაპი ტარდება ჯეროვნად. ბევრად ეფექტურია ნარკომანიის პრევენცია: აღმზრდელობითი საქმიანობა, რომელიც უნდა გაწიონ მშობლებმა, მასწავლებლებმა, მოძღვრებმა. ახალგაზრდას უნდა გამოუმუშავდეს ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა კომუნიკაცია, კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება, არასასურველ შეთავაზებაზე უარის თქმა. აუცილებელია მუშაობა მოზარდებთან, რომლებსაც აქვთ გარკვეული მიდრეკილება ნარკოტიკებისადმი და იმ პირებთან რომლებიც ოჯახური, ეკონომიკური თუ სხვა რთული პირობების გამო ექმნებად შთაბეჭდილება, რომ პრობლემების გადაჭრის ერთადერთი გზა ნარკოტიკია. მნიშვნელოვანია ამ პროცესში სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის ან მოძღვრის ჩართვა. ამ შემთხვევაში როდესაც ნარკომანი განთავისუფლდა ნარკოტიკებზე ფიზიკურ დამოკიდებულებისაგან, მაგრამ რჩება ფსიქოლოგიურად დამოკიდებული და ემუქრება ნარკოტიკების მიღების განმეორების შემთხვევები. ეფექტურია სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამები, თვითდახმარების ჯგუფები და ეკლესია. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდები კარგად ექვემდებარებიან პრევენციას და მკურნალობას. არ კმარა მხოლოდ მოწოდებები. აუცილებელია ვაჩვენოთ მოზარდებს, რომ ნარკომანია თავისუფლების დაკარგვაა, სისუსტესთან და უბედურებასთან არის ასოცირებული, ამ დროს არ შეიძლება დაითესოს აგრესია ნარკომანიით დაავადებულთა მიმართ. ამავე დროს უნდა მოვაქციოთ ყურადღება იმას რომ ანტინარკოტიკული პროპაგანდა არ იქცეს ნარკოტიკების პროპაგანდად, თავი უნდა ავარიდოთ ყურმეჩვეულ, მომაბერეზებელ ჭკუის დამრიგებელ მიმართვებს. აუცილებელია მშობლების, ექიმების, ფსიქოლოგების, პედაგოგების, სოციალური მუშაკების, სამართალდამცავების, კანონმდებლების კოორდინირებული მუშაობა, ერთობლივი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, ერთიან საკოორდინაციო ცენტრის შექმნა. ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დანერგვა. სანამ მოზარდი პირველად გასინჯავს ნარკოტიკს მან უნდა იცოდეს, რომ აკეთებს არჩევანს თავისუფლების, ჯანმრთელობის და

კარგვის და სიამოვნების უამრავი საშუალებების – ბუნებით და ხელოვნების ნიმუშებით ტკობის, სპორტში, მორალურ გადაწყვეტილებებში გამარჯვების, სიყვარულის და მეგობრობის შორის.

*მარინა შაქარაშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის
სრული პროფესორი*

*ალექსანდრე გობაძე
გრ. რობაქიძის სახ.უნივერსიტეტის
მედიცინო ფაკულტეტის
სტუდენტი*

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ნარკოლოგია ნ.სავანელი “განათლება” თბილისი, 1987.
2. ც.სამსონაძე, გ.ნანიშვილი, ზ.ზურაბაშვილი და სხვ. სასამართლო ფსიქიატრია. (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია). თბილისი, 2006.
3. მარინა შაქარაშვილი. პათოფიზიოლოგია. “უნივერსალი”. თბილისი, 2007.
4. Ткаченко А.А. Судебная психиатрия. «Погос» 2004.
5. Яспекс «Общая психопатология» Москва, 1997.

მარინა შაქარაშვილი, ალექსანდრე გობაძე

ენდო და ეზოგენური ფაქტორების გავლენა ნარკომანიაზე არასრულწლოვნებში და მისი პრევენცია

რეზიუმე

მსოფლიოში შეინიშნება ნარკომანიის სწრაფი ზრდა. ბოლო პერიოდში ნარკომანია მოიცავს უფრო ახალგაზრდა ასაკს, მათ შორის დიდი პროცენტი მოდის არასრულწლოვანებზე.

ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მათი ემოციური და ფსიქოლოგიური უმწიფარობა და კონტროლის დეფიციტი, ნეგატიური მიკროსოციალური სამყარო, სოციალური აღზრდა. ნარკოტიკი გავლენას ახდენს მოზარდის მსოფმხედველობის ფორმირებაზე და ცხოვრების წესზე, რითაც შეიძლება საზოგადოება მიგვიყვანოს სრულ დეგრადაციამდე. ნარკოტიკის მოსაპოვებლად ჩადენილ დანაშაულის წლიდან წლამდე მატულობს – ქურდობა, ძარცვა, გაუპატიურება, მძიმე ზიანის მიყენება, მკვლელობათა რიცხვი, ვინაიდან ნარკომანი უკან არ იხევს არაფრის წინაშე ოღონდ მიიღოს სასურველი ნივთიერებები.

ნარკომანიის პრობლემა რთულია მაგრამ დაძლევადი. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები კარგად ექვემდებარებიან პრევენციას და მკურნალობას.

აუცილებელია მშობლების, ექიმების, ფსიქოლოგების, პედაგოგების, სოციალური მუშაკების, სამართალდამცავების, კანონმდებლების და ეკლესიის კოორდინირებული მუშაობა, ერთობლივი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება ერთიან საკოორდინაციო ცენტრის შექმნა, ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დანერგვა.

Марина Шакарашвили, Александр Гогодзе

Воздействие эндо и экзогенических факторов на наркоманию среди несовершеннолетних и ее превенция

Резюме

В последнее время наркомания быстро растет во всем мире. Она больше вовлекает молодежь, в том числе большой процент приходится на несовершеннолетних.

Из года в год растет преступность связанная с приобретением наркотиков – помимо грабежа, изнасилования, убийства, так как наркоман не останавливается ни перед чем лишь бы получить желаемое вещество.

Наркомания сложная проблема но, значения имеет тот факт что молодежь хорошо поддается превенцию и лечению. Большое значение имеет координированная работа родителей, врачей, психологов, провooхронительей, законодателей и церкви. Разработка совместной тактики и стратегии, создание координационного центра, координация и внедрение здорового образа жизни.

Marina Shakarashvili, Alexander Gogadze

The influence of Endo- and Egzogenic factors on drug-addiction among teenagers and its prevention

The Summary

One of key factors leading to drug use among youth is emotional and psychological immaturity and lack of control, and also negative micro-social environment and social upbringing. Drugs affect the formation of a teenager's world outlook, health and a lifestyle. The number of drug-related crimes (theft, robbery, rape, grievous bodily harm, homicide) has been increasing every year, because a drug addict will not back down before anything in his craving for the substance. The problem of drug use is difficult but resolvable. It is noteworthy that teenagers are receptive to both prevention and cure. There is an acute need for coordinated efforts, among parents, doctors, psychologists, pedagogue s, social workers, law- enforcement officials, legislators and the church to develop a mutual strategy, establish a single coordination centre, and promote and instill a healthy way of living.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩაღენის პრევენცია საქართველოს სამართალში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს ბევრი არსებითი უფლება აქვთ. ევროპაში ბავშვების ძირითადი უფლებები დამატებით დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ევროპის სოციალური ქარტიით. ამ უფლებათა მაგალითებია: სიცოცხლის უფლება, უფლება, მათ მიმართ არ იქნეს გამოყენებული არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა, იძულებითი შრომის ან მონობისაგან დაცვის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, საფრთხისგან დაცვის უფლება და განათლების უფლება.

ბავშვები მრავალგვარი ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. მათ იყენებენ მონებად, ჯარისკაცებად, მოსამსახურეებად. ხშირია ბავშვების უგულვებელყოფა, შეურაცხყოფა, დასახინჩრება, მკვლელობა. ეს ხდება ქუჩაში, სკოლებში, საავადმყოფოებში, ინტერნეტში, დაკავების ცენტრებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ოჯახში და იმ ადგილებში, სადაც იგულისხმება, რომ ბავშვები უსაფრთხო პირობებში უნდა იყვნენ.

განსახილველი საკითხების კომპლექსურობა და მნიშვნელობა, აგრეთვე, ამ საკითხებთან დაკავშირებით მოქმედ პირთა რაოდენობა სტრატეგიული მიდგომის არსებობას საჭიროებს. ქვეყნებმა უნდა დასახონ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანები, გადასინჯონ თავ-თავიანთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზები და წამოიწყონ მონაწილეობაზე დაფუძნებული პროცესები, რომლებშიც ყველა დაინტერესებული მხარე მიიღებს მონაწილეობას და მოხდება ყველა მისაწვდომი რესურსის მობილიზება.

ხელისუფლების ყველა ორგანომ და დაწესებულებამ გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ბავშვთა უფლებები. ყველა პროფესიონალმა, განსაკუთრებით მათ, ვინც ყოველდღიურ კონტაქტშია ბავშვებთან (მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალურმა მუშაკებმა, მასწავლებლებმა, იურისტებმა, მოსამართლეებმა, ჟურნალისტებმა და პოლიციელებმა), კერძო პირებმა (სახელდობრ, მშობლებმა) და ბიზნესის სექტორმა უნდა გაიზიარონ პასუხისმგებლობა ბავშვების კეთილდღეობაზე. აღიარებული უნდა იყოს დამოუკიდებელი დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ამ საქმეში და ამ როლის შესრულებას ხელი უნდა შეეწყოს.

მაშ ასე, განვიხილოთ საქართველოს სამართლებრივი აქტები და შემდგომში მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. პირველი, უმნიშვნელოვანესი აქტია “ბავშვთა უფლებათა დეკლარაცია”. იგი მიღებულია 1959 წელს, გაეროს მიერ და ძირითადად განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების ნორმებს.

დეკლარაციის თანახმად, ბავშვი დაცული უნდა იყოს ყველა ფორმის გაუფრთხილებელი დამოკიდებულებისაგან, უსულგულობისა და ექსპლოატაციისაგან. იგი არ უნდა იქცეს ვაჭრობის ობიექტად. ბავშვს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაევალოს და არც ნება დაერთოს შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც საზიანო იქნება მისი ჯანმრთელობის ან განათლებისათვის, ანდა შეაფერხოს მისი ფიზიკური, გონებრივი ან ზნეობრივი განვითარება.

საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით ყველაფერი კეთდება ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებისათვის. მაგრამ ამ დარგში მაინც ბევრი პრობლემა და გადაუწყვეტი საკითხია.

1. უზრუნველყონ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი შეადგენდეს 15 წელს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვები დასაქმებული არიან კანონით გათვალისწინებულ მსუბუქ სამუშაოებზე, რომლებიც ზიანს არ აყენებენ მათ ჯანმრთელობას, ფსიქიურ მდგომარეობას ან განათლებას;
2. მოითხოვონ ჯანმრთელობისათვის სახიფათო და მავნე ზოგიერთ სპეციალობაზე სამუშაოდ მისაღები მინიმალური ასაკის გაზრდა;
3. აღიარონ ახალგაზრდა მუშების და შეგირდების მიერ სამართლიანი ანაზღაურების ან სხვა შესაბამისი დამატებების მიღების უფლება;
4. მიაღწიონ, რომ ეროვნული კანონებით ან დებულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე დასაქმებულმა 18 წლამდე ასაკის პირებმა გაიარონ რეგულარული სამედიცინო შემოწმება.
5. უზრუნველყონ სპეციალური დაცვა ფიზიკური და მორალური ზარალისაგან, რომლის მსხვერპლიც შეიძლება გახდეს ბავშვი და მოზარდი, კერძოდ კი იმ საშიშროებისაგან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული მათ სამუშაოსთან.

ძალიან საინტერესოა სპეციალური წესები, რომლებიც შეეხება არასრულწლოვანთა საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებას. ისინი მოცემულია საერთაშორისო დოკუმენტში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ („პეკინის წესები“).

“პეკინის წესებში” ნათქვამია, რომ უმრავლესი ქვეყნის არსებული ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა შესაძლოა, მოითხოვდეს გადსინჯვას და შეცვლას მოცემულ წესებში მითითებული ნორმების გათვალისწინებით და გასაგებიცაა, რომ არსებული, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების გამო, ეს ნორმები ძნელად განსახორციელებელი იქნება მათთვის, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი უნდა განხორციელდეს პროგრამა მინიმუმის სახით. ”პეკინის წესების” ძირითადი მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს რამდენიმე პუნქტად: წევრი – სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ :

- თავიანთი ზოგადი ინტერესების შესაბამისად, ხელი შეუწყონ არასრულწლოვანის და მისი ოჯახის კეთილდღეობას;
- სათანადო ყურადღება მიაქციონ პოზიტიური ზომების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ყველა შესაძლო რესურსის მობილიზებას ოჯახის, მოსახლეობის და საზოგადოების სხვა ჯგუფების, სკოლების და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩათვლით, რათა ხელი შეუწყონ მოზარდის კეთილდღეობას კანონის მხრივ ჩარევის აუცილებლობის შესამცირებლად და ეფექტიანად, სამართლიანად და ჰუმანურად მოეპყრონ მოზარდს, რომელიც კანონთან კონფლიქტშია.

გარდა ამისა კონვენცია მოითხოვს, რომ მუდმივად ხდებოდეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სამსახურის სისტემატური განვითარება და კოორდინირება, რათა ამაღლდეს და საჭირო დონეზე შენარჩუნებული იქნეს ამ სფეროში დაკავებული პერსონალის კვალიფიკაცია.

კონვენცია საჭიროდ თვლის რათა სახელმწიფოთა მიერ მიღებული იქნეს კანონების, წესებისა და დებულების კომპლექსი უშუალოდ არასრულწლოვანი სამართალდარღვევების და მათ მიმართ მართლმსაჯულების აღმასრულებელი დაწესებულებების და ორგანოების შესახებ. ამ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ინტერესებია:

1. დაკმაყოფილონ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სხვადასხვა მოთხოვნილებანი, ამასთან, დაიცვან მათი ძირითადი უფლებები;

2. დააკმაყოფილონ საზოგადოების მოთხოვნები;
3. მოცემული წესები გაატარონ ცხოვრებაში მტკიცედ და მიუკერძოებლად.

“პეკინის წესებში” განსაზღვრულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკი. მასში აღნიშნულია: “სამართლებრივ სისტემაში, რომლებიც აღიარებენ არასრულწლოვანთათვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკის არსებობას, ამგვარი ასაკის ქვედა ზღვარი ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური მომწიფების ასპექტების გათვალისწინებით, არ უნდა იყოს ძალზე დაბალი.”

სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარი საკმაოდ განსხვავებულია ისტორიული, კულტურული და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე. თანამედროვე მდგომა იმაში გამოიხატება, რომ განისაზღვროს შეუძლია თუ არა ბავშვს გადაიტანოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მორალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. საჭიროა განისაზღვროს ბავშვის სამართალში მიცემის შესაძლებლობა. იგი უნდა გამოდინარეობდეს არასრულწლოვანის ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან: აღიქვას და შეიგნოს პასუხისმგებლობა ჩადენილი აშკარა ანტისაზოგადოებრივი ქმედებისათვის, თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი ძალზე დაბალია ან საერთოდ არ არის დაწესებული, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება აზრს კარგავს. ამიტომ, “პეკინური წესები”, საჭიროდ მიიჩნევა, რათა საერთაშორისო მასშტაბით დაწესდეს მისაღები ქვედა ასაკობრივი ზღვარი.

არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების მიზნებია:

1. არასრულწლოვანის კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა;
2. იმის უზრუნველყოფა, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებზე ზემოქმედების ყოველგვარი ღონისძიება შეესატყვისებოდეს როგორც პიროვნების თავისებურებებს, ისე სამართალდარღვევის გარემოებებს.

კონვენციაში ასევე ნაჩვენებია სასამართლომდე დაპატიმრების პირობები:

1. სასამართლომდე დაპატიმრება წარმოადგენს უკიდურეს ზომას და ხორციელდება ხანმოკლე დროით;
2. სასამართლომდე დაპატიმრება შესაძლებლობის მიხედვით იცვლება სხვა ალტერნატიული ზომით: მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი მუშაობა, ან მოთავსება ოჯახში, აღმზრდელობით დაწესებულებაში ან სახლში;
3. სასამართლომდე დაპატიმრებული არასრულწლოვანები თავსდებიან მოზარდთაგან განცალკევებით, სპეციალურ დაწესებულებაში ან ამგვარი დაწესებულის სპეციალურ განყოფილებაში, რომელიც არ იმყოფებიან უფროსები;
4. დაპატიმრებული არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოვლით, დაცვით და ყველა აუცილებელი ინდივიდუალური დახმარებით, სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, ასევე დახმარებით განათლების და პროფესიული მომზადების სფეროში, რომელიც შეიძლება მათ დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო დოკუმენტებმა ბავშვთა უფლებების შესახებ უზარმაზარი გავლენა მოახდინეს მსოფლიოს მასშტაბით არასრულწლოვანთა უფლებების დაცვაზე, მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დადებითია პროგრამებიც, მაგრამ პრობლემები ძალზე ბევრია, მწვავე და გადასაწყვეტი. მთელ რიგ ქვეყნებში ირღვევა ბავშვთა და მოზარდთა უფლებები, აი ზოგიერთი 2006 წლის მონაცემი:

1. განვითარებად ქვეყნებში 5-დან 14 წლამდე ასაკის 158 მილიონზე მეტი ბავშვი მუშაობს, თითქმის ყოველი მესამე ; ბევრი მათგანი განიცდის სასტიკ ექსპლოატაციას.
2. მრავალმილიონიან არალეგალურ სექსუალურ ბაზარზე ყოველწლიურად შემოდის 1 მილიონი ბავშვი, მათი უმრავლესობა აზიის ქვეყნებიდანაა.

საჭიროდ არ ვთვლი კომენტარების გაკეთებას. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ბავშვთა უფლებების დეკლარაცია და კონვენცია ბევრ ქვეყანაში არ ხორციელდება, ანდა დღემდე არ ამოქმედებულა მთელი მასშტაბით.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ჩვენს მიერ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების განხილვა წარმოადგენდა საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, არასრულწლოვანებთან მიმართებაში არსებული ხარვეზების გაანალიზება და მათი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

პირველი პრობლემა რაც აშკარად ჩანს ჩვენს კანონმდებლობაში არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი. სსსკ-ის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვანად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ე.ი. არასრულწლოვან დამნაშავედ ჩაითვლება არა ის პირი, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის შეუსრულდა 14 წელი, არამედ ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე გახდა 14 წლის. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ძალაში შევა კანონი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი დანაშაულისთვის (მაგ. მკვლელობა) პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრება 12 წლიდან. მოცემული საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას მსოფლიო კრიმინოლოგიაში. პასუხისმგებლობის ზღვრული ასაკის შემცირება უკავშირდება უფრო მეტი ბავშვის ნასამართლობასა და დაპატიმრებას, რაც მტკივნეულია ნებისმიერი ნორმალური საზოგადოებისათვის. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ინტერესის სფეროს ისეთი ორგანიზაციებისათვის, როგორებიცაა: ევროკავშირი, ევროპის საბჭო, გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი, გაეროს ბავშვთა ფონდი და სხვა.

ამისდა მიუხედავად, კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ მის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ არცერთ საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებასა და ექსპერტებს. ეს მომენტი უკვე კანონპროექტის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან კომპეტენტური ექსპერტების კრიმინოლოგების, ფსიქოლოგების, პედაგოგებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე ამ საკითხის ინიცირება გაუმართლებელია. ასევე, საინტერესოა ის ფაქტი რომ განმარტებით ბარათში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დავწიოთ ქვეყანაში პასუხისმგებლობის ასაკი 12 წლამდე. სანამ ხელისუფლება გადადგამს რაიმე ნაბიჯს, რომელიც შეეხება ბავშვთა უფლებრივ და სამართლებრივ მდგომარეობას, აუცილებელია დარწმუნდეს – ხომ არ მიაღება ზიანი ბავშვის ინტერესებს, რომელიც პრიორიტეტულია ნებისმიერი ჯანსაღი საზოგადოებისათვის.

თავიდანვე აღვნიშნე, რომ პეკინის წესებში მითითებულია, რომ არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი დანაშაულებრივი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ცნებასა და სხვა სოციალურ უფლებებსა და ვალდებულებებს შორის (ისეთის როგორიცაა ქორწინების საკითხი, სამოქალაქო ქმედუნარიანობა და ა.შ.), შესაბამისად, თუ ჩვენი კანონმდებლობით განვსაზღვრავთ, რომ ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში 16 წლიდან (საწარმოს მართვა, ქორწინების უფლების მინიჭება), ეს მიაწინებს, რომ მანამდე ბავშვს არა აქვს უნარი - გაანალიზოს გარკვეული ქმედებები, განჭვრიტოს შესაძლო შედეგები თუ რისკები და სხვ. ლოგიკუ-

რად, პასუხისმგებლობის ასაკი არ უნდა იყოს მკვეთრად განსხვავებული ზემოხსენებული ასაკისაგან, ვინაიდან მათი განსაზღვრის კრიტერიუმები ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან.

საინტერესო იქნება გავეცნოთ, თუ როგორია პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი სხვადასხვა ქვეყნებში

- 8 წელი – შოტლანდია
- 10 წელი – ინგლისი, უელსი
- 12 წელი – კანადა, საბერძნეთი, ჰოლანდია
- 13 წელი – საფრანგეთი, პოლონეთი
- 14 წელი – ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, იაპონია, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვენია
- 15 წელი – ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, ნორვეგია, სლოვაკეთი, შვედეთი
- 16 წელი – პორტუგალია, ესპანეთი
- 18 წელი – ბელგია

არათუ 12 წლის ასაკში, არამედ ზრდასრულ ადამიანსაც უჭირს გააცნობიეროს კანონის სიმკაცრე და დანაშაული არ ჩაიდინოს. მოვიყვან ისტორიულ მაგალითს, საფრანგეთში ყველაზე მეტი ქურდობა იმ დროს და იმ მოედანზე ხდებოდა, სადაც გილიოტინით ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ. ანუ მოზარდი დანაშაულს იმიტომ კი არ სჩადის, რომ სასჯელი არა აქვს გააზრებული, უბრალოდ, მას თავისი ქცევის მართვა არ შეუძლია, მისი ნებელობითი ქცევის თანაფარდობაა ასეთი.

1998 წლის რეზოლუციაში, რომელსაც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ორმოცდათხუთმეტმა პროფესორმა და კრიმინოლოგმა მოაწერა ხელი, ნათქვამია: „სიმაკაცრე, როგორც პასუხი, სავარაუდოდ, უშედეგოა!“ სპეციალისტები კი აცხადებენ: თავისუფლების ხშირი და გრძელვადიანი აღკვეთით მხოლოდ უარყოფით შედეგებს მივიღებთ. ამ საკითხზე 1997 წელს გერმანიის ფედერაციული რეპუბლიკის მთავრობის პოზიცია ასეთი იყო: კონფლიქტურ სიტუაციებში არასრულწლოვნები არა გონისმიერად, არამედ გრძნობებით მოქმედებენ. ისინი მოსალოდნელ სასჯელზე არ ფიქრობენ. მოზარდების დაშინება მხოლოდ მათი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაკავების შემთხვევების გაზრდით შეიძლება. უპირველესად კი პრევენციაა საჭირო.

კონვენციისა და დეკლარაციის განხილვისას წამოიჭრა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ის რომ არასრულწლოვანთა სასამართლოები უბრალოდ არ არსებობს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს მართლმსაჯულების განხორციელებას მხოლოდ საერთო სასამართლოების მიერ და კრძალავს სპეციალური სასამართლოების შექმნას (მუხლი 83, პარ. 2 და 4). ამიტომ საქართველოში არასრულწლოვანთა საქმეებისათვის ცალკე სასამართლოს შექმნა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან, რომელსაც ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებების (შეთანხმებების) მიმართ გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა.

ისტორია, რომელიც 14 წლის გიორგი ზერეკიძეს ეხება, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უჭირს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას საქართველოში.

ამ შეცდომებს სავალალო შედეგები მოყვება თან, სწორედ ამიტომ ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია მოითხოვს „არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელებული რეაქცია ყოველთვის სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის გარშემო არსებული კონკრეტული სიტუაციის ადეკვატური უნდა იყოს.“ “გიორგის ათწლიანი პატიმრობა

მიესაჯა მკვლელობის მცდელობის, შეიარაღებული ძარცვისა და ხულიგნობისათვის. ამგვარი სასჯელი 14 წლის ასაკისათვის მაქსიმუმს წარმოადგენს. ამგვარი რამ ლოგიკას არ ექვემდებარება. გიორგის 3 კაცი რომ მოეკლა, მაინც 10 წელს მიუსჯიდნენ” – აღნიშნავს ქ. თბილისის მერიის ბავშვთა უფლების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ქ-ნი ბელა სარია.

დასაწყისშიც აღინიშნა, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, პატიმრობის გარდა, დაკავების ალტერნატიულ მეთოდებსაც განიხილავს. ესენია: ახლო ზედამხედველობა, ინტენსიური კონტროლი, შინაპატიმრობა, სპეციალურ საგანმანათლებლო სასაწავლებელში გადაყვანა და სხვა.

ამ შემთხვევაში კი მკვეთრი შეუსაბამობაა არასრულწლოვანთა სასჯელის აღსრულების საერთაშორისო რეკომენდაციებთან, რომელიც მცირეწლოვანი განსასჯელის სწორ აღზრდასა და გამოსწორებას ითვალისწინებს.

სამწუხაროდ, ზერეკიდის საქმე ნათლად ადასტურებს, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის სისტემაში, სავარაუდოდ, ბევრი დარღვევა ხდება.

აუცილებელია ორგანიზებულ იქნეს და წახალისდეს აუცილებელი საკვლევი სამუშაოები, რომლებიც პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვის და შემუშავების საფუძველია. “პეკინის წესების” თანახმად, საჭიროა ძალისხმევა, რათა პერიოდულად მიმოხილული და შეფასებული იქნეს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების და დანაშაულებათა ტენდენციები, პრობლემები და მიზეზები, ასევე დაპატიმრებულ არასრულწლოვანთა სხვადასხვა სახის კონკრეტული საჭიროებანი.

გარდა აღნიშნულისა, საჭიროა შეიქმნას რეგულარული, შეფასებული გამოკვლევების მექანიზმი არსრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სისტემაში და მოხდეს შესაბამისი მონაცემების და ინფორმაციის შეკრება და ანალიზი მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის რეფორმის შემდგომი დახვეწისა და შეფასებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის პროცესში ფსიქოლოგების ჩართვას. ამერიკის მაგალითი გვიჩვენებს, რომ, იმ შტატებში, სადაც პოლიციური რეჟიმის სკოლები ჭარბობს, ბავშვთა დანაშაული მეტია, იქ კი, სადაც ფსიქოლოგებისა და კონფლიქტოლოგების გამოცდილებას გონივრულად იყენებენ, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა.

დამნაშავედ ცნობილ ბავშვს პირველ რიგში ესაჭიროება ზრუნვა, რათა მოხდეს მისი რეინტეგრაცია. აქ მოიაზრება ყველა რელევანტური სერვისი, რომლის შეთავაზებაც შეუძლია ამა თუ იმ საზოგადოებას. *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუკეთესო სისტემა არის ქვეყანაში, სადაც ბავშვის კონტაქტი პოლიციას, სასამართლოსა და საპატიმროსთან არის მინიმალური.* ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენციის 39-ე მუხლი მოუწოდებს ქვეყნებს, რომ ყველა ზომა მიიღონ არასრულწლოვანთა რეინტეგრაციისათვის, ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც არიან განვითარების პროცესში, ჩვენი მიზანი უნდა იყოს არა მათი დასჯა, არამედ გამოსწორება - დახმარება იმის გააზრებაში, თუ რა ჩაიდინეს.

ცხადია ერთი რამ – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა დადგა მსოფლიოს დღის წესრიგში და ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს მიერ 2003 წელს მომზადდა პუბლიკაცია “არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია”, სადაც ექსპერტთა მიერ გაანალიზებული ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, საერთაშორისო დოკუმენტებისა და ქართული კანონმდებლობის ურთიერთკავშირი, შემოთავაზებულია კონკრეტული

რეკომენდაციები ყოველ დასმულ პრობლემასთან მიმართებით. აღნიშნული რეკომენდაციებიდან მრავალი კვლავ შეუსრულებელია, რეფორმირებას საჭიროებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, საჭიროა ყურადღების გაორმაგება ქუჩის ბავშვების საკითხისადმი, მისაღებია რამდენიმე სპეციალური კანონი, ჩამოსაყალიბებელია საზოგადოებრივი სამსახურები, სერიოზული მუშაობაა განსახორციელებელი სკოლებში და მხოლოდ ამ ღონისძიებათა განხორციელების შემდგომ შეიძლება იმაზე ფიქრი, გვჭირდება თუ არა “პრევენციის მიზნით” პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება.

ბოლოს კი, ჩემი პოზიციის დასაფიქსირებლად მინდა მოვიყვანო ერთ-ერთი მკვლევარის სიტყვა: “იდეალურ მსოფლიოში მართლმსაჯულების სისტემა ჰგავს უსაფრთხო ბაღს, რომელიც იტყერს “გზააბნეულ” ბავშვს და იზოლირების ნაცვლად, ეხმარება მათ - რათა უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ საქციელს”.

ლეილა დარასელია
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი

ლეილა დარასელია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენცია საერთაშორისო სამართალში

რეზიუმე

თემაში განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და შემდგომში მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით ყველაფერი კეთდება ბავშვთა უფლებების დეკლარაციის მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებისათვის. კონვენცია მოითხოვს, რომ მუდმივად ხდებოდეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სამსახურის სისტემატური განვითარება და კოორდინირება. საჭიროა შეიქმნას რეგულარული, შეფასებული გამოკვლევების მექანიზმი არსრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სისტემაში და მოხდეს შესაბამისი მონაცემების და ინფორმაციის შეკრება და ანალიზი მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის რეფორმის შემდგომი დახვეწისა და შეფასებისთვის.

Leila Daraselia

Система правосудия о несовершеннолетних и превенция совершения преступления детьми в международном праве

Резюме

Тема в основном рассматривает международные правовые акты о защите прав детей и последующем их соответствии с грузинским законодательством. С усилением международных организаций делается все для проведенные в жизнь требования декларации по защите прав детей. Необходимо создать регулярный механизм для оценки исполнения правосудия над несовершеннолетними и произвести сбор

соответствующих информации и данных для анализа и проведения реформ в системе исполнения правосудия.

Leila daraselia

Juvenile Justice System and Prevention of Juvenile Offending in the international law

The Summary

This work is basically about international legal acts for the protection of the rights of children and their conformity with the Georgian legislation. With efforts of international organisations everything is done to implement requirements of the Declaration on the Rights of the Child. The Convention requires that the juvenile justice services be constantly developed and coordinated in order to raise and maintain high professionalism of personnel involved in this sphere.

It is necessary to create a regular mechanism for enforcement of juvenile justice and to gather relevant information and data for the analysis and carrying out of reforms in system of execution of justice.

**არასრულწლოვანი დანაშაულობის სტატისტიკური
კვლევა კრიმინოლოგიაში**

სტატისტიკის მონაცემები მნიშვნელოვანი მასალაა იურიდიული მეცნიერებისათვის, რომელიც შემდგომ თეორიულად განაზოგადებს მას, გამოიყენებს დანაშაულისა და მისი მიზეზების გამოსაკვლევად. სტატისტიკა, ისევე, როგორც სხვა საზოგადოებრივი მეცნიერება, სწავლობს საზოგადოებრივ მოვლენებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის იკვლევს ამ მოვლენების რაოდენობრივ მხარეს. რამდენადაც ყოველი მოვლენის რაოდენობრიობა მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაშია მის თვისობრიობასთან, ამდენად სტატისტიკის მონაცემები საშუალებას გვაძლევს საზოგადოებრივი მოვლენის რაოდენობრივი შესწავლით ერთგვარად გამოვიკვლიოთ მათი თვისობრივი მხარეც.

სტატისტიკა არ არის მხოლოდ ფაქტების კონსტატაცია, ის დაკავშირებულია აგრეთვე მოვლენების ანალიზთან, რომლის მიზანია მასობრივი პროცესებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების დადგენა, მაგრამ სტატისტიკას არ შეუძლია პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც მოითხოვენ დანაშაულის მიზეზების ყოველმხრივ ახსნას. ეს კრიმინოლოგიის ამოცანაა. სწორედ ფაქტების კრიმინოლოგიური ანალიზი იძლევა საშუალებას დანაშაულის პროგნოზირებისა და პროფილაქტიკისათვის. კრიმინოლოგია თავისი მხრივ სარგებლობს სტატისტიკის მონაცემებით.

სტატისტიკა, მოვლენებს შორის კავშირის ხარისხის დასადგენად იყენებს მრავალ ხერხს, რომელთა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანალიტიკურ დაჯგუფებას. ამ ხერხით შეიძლება გამოვლინდეს კავშირი თვისობრივ და რაოდენობრივ ნიშნებს შორის. ანალიტიკურ დაჯგუფებას შეიძლება ჰქონდეს ატრიბუტალური და ვარიაციული დაჯგუფების ფორმა.

პირველი გამოიყენება ორ ან რამდენიმე მოვლენას შორის ურთიერთკავშირის დასადგენად, მაგალითად, იმის გასარკვევად, თუ რა დამოკიდებულებაშია დამნაშავეთა ასაკი დანაშაულობის რაოდენობასთან, ან მათი სქესი დანაშაულის ხასიათსა და განათლების დონესთან და სხვ. ატრიბუტალური დაჯგუფების საშუალებით ვადგენთ, რომ დანაშაულის რაოდენობა იზრდება დამნაშავეთა ასაკობრივ ზრდასთან, ხოლო შემდეგ კი მცირდება. ატრიბუტალური დაჯგუფების მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე დანაშაულობის რაოდენობისა და დამნაშავეს განათლების დონის ურთიერთდამოკიდებულება.

სტატისტიკურად დადგენილია, რომ განათლების დონე დანაშაულის რაოდენობის უკუპროპორციულია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც გამოსაკვლევია მოვლენის ცვლილება განპირობებულია გარკვეული რაოდენობრივი სიდიდის ცვალებადობით, გამოიყენება ვარიაციული დაჯგუფება. სტატისტიკური დაკვირვების შედეგად მიღებული ერთგვაროვანი მასალა ჯგუფდება ცალკეულ რიგებად სიდიდეების კლების ან მატების ნიშნით, რომელიც გავლენას ახდენს მოცემულ მოვლენაზე. ჯგუფის ცალკეული წევრებისათვის გამოითვლება შესაბამისი მაჩვენებელი, შემდეგ კი ხდება მათი დაპირისპირება და შეფასება.

სტატისტიკური ანალიზის დროს ფართოდ გამოიყენება ურთიერთდაკავშირებული ორი ან მეტი პარალელური ჯგუფის დაპირისპირება, რასაც პარალელურ მწკრივებს უწოდებენ. პარალელურ მწკრივებს იყენებენ წლების მიხედვით დანაშაულის ცალკეულ სახეთა დინამიკის დასადგენად.

მოვლენათა კავშირის დასადგენად გამოიყენება აგრეთვე სტატისტიკური ანალიზის ხერხები: ფუნქციონალური ან კორელაციური კავშირები. ფუნქციონალური კავშირის დროს, როგორც მათემატიკიდანაა ცნობილი, ერთი სიდიდის ცვლას მოსდევს მეორის მკაცრად განსაზღვრული ცვლილებები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვენ თითქმის ვერ ვხვდებით ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, რადგანაც ჩვენთვის საინტერესო მოვლენა ხშირად გამომწვეულია არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით. ასეთი არასრული კავშირის გამოსაკვლევად საჭიროა მოვლენათა დიდი რიცხვი და მათი ერთობლივი განხილვა.

კორელაციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მათემატიკური ხერხების საფუძველზე დადგინდეს რაოდენობრივი გამოსატყულება იმ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს გამოსაკვლევ ნიშნებს შორის, ამასთან მოხდეს აბსტრაგირება ყველა სხვა სახის ნიშნების გამოვლენისგან, რომლებიც ამახინჯებენ საძებნი კავშირების გამოვლენას.

განვიხილოთ მაგალითი ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, როცა გვაინტერესებს დანაშაულობის სტატისტიკა არასრულწლოვან დამნაშავეებში. დავუშვათ, გვაქვს ორი რიგის ციფრები, I რიგი დანაშაულის ჩადენის საათს აღნიშნავს, II- რაოდენობას. თუ დავაღვარებთ მონაცემებს საათების მატების თანმიმდევრობით, ვნახავთ, რომ დანაშაულის რაოდენობა საატების მატებასთან ერთად მატულობს 6-დან 18 საათამდე, ხოლო 18 საათიდან – პირიქით.

I	II	I	II	I	II
დანაშაულის ჩადენის საათი	დანაშაულის რაოდენობა	დანაშაულის ჩადენის საათი	დანაშაულის რაოდენობა	დანაშაულის ჩადენის საათი	დანაშაულის რაოდენობა
6	-	14	15	22	23
7	4	15	16	23	27
8	4	16	17	24	10
9	5	17	19	1	15
10	8	18	35	2	8
11	11	19	22	3	2
12	12	20	23	4	1
13	8	21	21	5	1

მოცემულ ცხრილს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც, მაგალითად დანაშაულის რაოდენობა 12 საათზე მეტია, ვიდრე 13-ზე. ასეთ მდგომარეობას 2 დასკვნამდე მიყვავართ: ან დროსთან დაკავშირებული ფაქტორები არ ახდენს გავლენას დანაშაულის რაოდენობაზე, ან სხვა ფაქტორების გავლენა აბუნდოვნებს საკითხს. სწორედ ასეთ შემთხვევებში მივმართავთ კორელაციის კოეფიციენტს, რომლის გამოანგარიშება იძლევა საშუალებას, დადგინდეს საშუალოდ რა ზომით იცვლება შესასწავლი მოვლენა იმ ფაქტორის ცვლილებასთან ერთად, რომლის ცვლილებაც ჩვენ გვაინტერესებს (პირდაპირპროპორციულად თუ უკუპროპორციულად). თუ კავშირი დანაშაულის ჩადენასა და დანაშაულის რაოდენობას შორის 0-ია, ე.ი მოვლენებს შორის კავშირი არ არის. კორელაციის კოეფიციენტმა შეიძლება მიიღოს მნიშვნელობები -1-სა და +1-ს შორის. ორივე შემთხვევაში ფუნქციონალურ კავშირთან გვაქვს საქმე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი მიუთითებს პირდაპირ კავშირზე, ხოლო მეორე უკუკავშირზე.

კორელაციის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით

$$R = \frac{\sum dxdy}{\sqrt{\sum d^2x^2d^2y^2}}$$

სადაც d ადნიშნავს პირველი I რიცხვების საშუალოდან გადახრას, ხოლო d^2 II რიცხვების საშუალოდან გადახრას. სტატისტიკაში მიღებულია, რომ საშუალო სიდიდე აღინიშნება \bar{X} ან \bar{y} -ით. სტატისტიკაში მიღებულია, რომ საშუალო სიდიდე აღინიშნოს \bar{x} -ით ან \bar{y} -ით, ხოლო \sum ადნიშნავს ჯამს. 6-დან 18 საათამდე დანაშაულის რაოდენობის კორელაციის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება

დანაშ. რაოდ.	დანაშ. ჩადენის საათი	$(x - \bar{x}) = dx$	$(y - \bar{y}) = dy$	$(x - \bar{x})^2 = dx^2$	$(y - \bar{y})^2 = dy^2$	$(x - \bar{x})(y - \bar{y}) = dxdy$
—	6	-11	-6	121	36	66
4	7	-7	-5	49	25	35
4	8	-7	-4	49	16	28
5	9	-6	-3	36	9	18
8	10	-3	-2	9	4	6
11	11	0	-1	0	1	00
12	12	+1	0	1	0	-3
8	13	-3	+1	9	1	8
15	14	+4	+2	16	4	15
16	15	+5	+3	25	9	24
17	6	+6	+4	36	16	40
19	17	+8	+5	64	25	144
35	18	+24	+6	576	36	
$\sum_x = 142$	$\sum_y = 156$			$\sum dx^2 = 991$	$\sum dy^2 = 182$	$\sum dxdy = 387$

საშუალო $(\bar{x}) = \frac{142}{13} \approx 11$

საშუალო $(\bar{y}) = \frac{156}{13} = 12$

$$R = \frac{\sum dxdy}{\sqrt{\sum d^2x^2d^2y^2}} = \frac{387}{\sqrt{991 \cdot 182}} = \frac{387}{\sqrt{180362}} = \frac{387}{425} = 0.9$$

როგორც ვხედავთ, კორელაციური კავშირი საკმაოდ მაღალია 0.9. ანალოგიურად შეგვიძლია გამოვთვალოთ 18-დან 6 საათამდე დროის ფაქტორის გავლენა დანაშაულის რაოდენობაზე.

დანაშ. რაოდ.	დანაშ. ჩადენის საათი	$(x - \bar{x}) = dx$	$(y - \bar{y}) = dy$	$(x - \bar{x})^2 = dx^2$	$(y - \bar{y})^2 = dy^2$	$(x - \bar{x})(y - \bar{y}) = dxdy$
35	18	+21	+5	441	25	105
22	19	+8	+6	64	36	48
23	20	+9	+7	81	49	63
21	21	+7	+8	49	64	56
23	22	+9	+9	81	81	81
27	23	+13	+10	169	100	130
10	24	-4	+11	16	121	-44
15	1	+1	-12	1	144	-12
8	2	-6	-11	36	121	-66
2	3	-12	-10	144	100	120
1	4	-13	-9	169	81	117
1	5	-13	-8	169	64	104
-	6	-14	-7	196	49	98
$\sum_x = 188$	$\sum_y = 168$			$\sum dx^2 = 1616$	$\sum dy^2 = 1035$	$\sum dxdy = 932$

საშუალო $(\bar{x}) = \frac{188}{13} \approx 14$

საშუალო $(\bar{y}) = \frac{168}{13} \approx 13$

$$R = \frac{\sum dxdy}{\sqrt{\sum d^2x^2d^2y^2}} = \frac{932}{\sqrt{1616 \cdot 1035}} = \frac{932}{\sqrt{1162560}} = \frac{932}{1289} = 0.72$$

ამ შემთხვევაში კორელაციური კავშირი 0.72 წინა შემთხვევასთან შედარებით დაბალია, რაც უარყოფითად მოქმედ ფაქტორთა ზეგავლენის გაძლიერებაზე მეტყველებს.

როგორც უკვე ვთქვით, სტატისტიკური ანალიზის ხერხები საშუალებას იძლევა მოვლენათა დიდი რიცხვიდან სხვადასხვა ნიშნით გამოყოფით ცალკეული ჯგუფები, დავადგინოთ გარემო პირობები, რომლებიც მათ ერთმანეთისგან განასხვავებს და რაც მეტ-ნაკლებად ხდება დანაშაულის საფუძველი. ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ 7 საათზე ნაკლები კრიმინოგენული ფაქტორები მოქმედებენ, ვიდრე 18 საათზე და სხვ. იმის დადგენა, რომ 18 საათზე მეტია დანაშაულის რაოდენობა თავის მხრივ ბადებს შეკითხვას: რა ფაქტორები მოქმედებენ 18 საათზე ისეთი, რომლებიც არ არსებობენ 6 საათზე?

სტატისტიკური ანალიზით დგინდება კრიმინოგენული ფაქტორების არსებობა, მათი სიმრავლე და ინტენსივობა, დანაშაული სტრუქტურა და დინამიკა. აღნიშნული მონაცემები საფუძველად უდევს ამ ფაქტორების შემდგომ შესწავლას და ამდენად სტატისტიკური ანალიზი აუცილებელი საფეხურია დანაშაულის მიზეზების დასადგენად.

სამწუხაროდ, სადღეისოდ საქართველოში არ არსებობს არც ერთი სტრუქტურა, რომელიც განახორციელებდა დანაშაულობის კრიმინოლოგიურ ანალიზს არსებული სავალდებულო პარამეტრების გათვალისწინებით. ზოგიერთი სამართალდამცავი ორგანო, როგორც გახლავთ შინაგან საქმეთა ორგანოები, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო აწარმოებენ დანაშაულის სტატისტიკურ აღრიცხვას, მაგრამ მის საფუძველზე განხორციელებული ანალიზი უკიდურესად ზედაპირულია და უფრო აღნიშნულ ორგანოთა ვიწროუწყებრივ ინტერესებს შეესატყვისება, ვიდრე იმას, რომ არსებულ მონა-

ცემებზე დაყრდნობით საქართველოში არსებული დანაშაულობის სერიოზული და ობიექტური სტატისტიკური ანალიზი განხორციელდეს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ უკვე გაჩნდა იდეა და საფუძველი ეყრება სტატისტიკის, როგორც დამოუკიდებელი სფეროს ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს მის დამოუკიდებელ ფუნქციონირებას.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2007 წლის 9 თვის განმავლობაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა მანქვენებელი საგრძნობლად შემცირდა.

სამართალდამცავი უწყების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ყველზე მაღალი მანქვენებელი – 79 შემთხვევა, იანვარში დაფიქსირდა. აპრილში კი აღნიშნული ციფრი 42 ერთულამდე შემცირდა. რაც შეეხება 2007 წლის მე-2 კვარტალს, ამ პერიოდში წინა წელთან შედარებით არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული 23,8 %-ით შემცირდა. არასრულწლოვნებში ყველაზე ხშირია ქურდობის, ყაჩაღობის, ძარცვისა და ხულიგნობის შემთხვევები. პროკურატურის ინფორმაციით, 2007 წლის 9 თვეში სულ საქართველოს მასშტაბით მსჯავრდებული 750 არასრულწლოვანიდან, 213-მა დანაშაული ჩაიდინა 14-15 წლის ასაკში, ხოლო 38 - 16-17 წლის ასაკში. 2007 წლის 9 თვეში თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა 305 არასრულწლოვანის მიმართ, აქედან ქურდობის დანაშაულზე მოდის 39,7 % (121 პირის მიმართ). ქურდობის დანაშაულის შემდეგ პროცენტული თანაფარდობით მეორე ადგილზეა ყაჩაღობა (71 არასრულწლოვანი; 23,3 %), ძარცვა (27 არასრულწლოვანი; 8,9 %).

*ნანა შილაგა
ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ.
უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო
ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი*

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ალანიაა “სტატისტიკური ანალიზის ზოგიერთი ხერხი“.
2. С. С. Остроумов “ветская судебная статистика“
3. www.police.ge
4. www.statistics.ge

ნანა შილაგა

არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკური კვლევა კრიმინოლოგიაში

რეზიუმე

თემა ხაზს უსვამს სტატისტიკური კვლევის მნიშვნელობას იურიდიულ მეცნიერებაში, რაც გამოიყენება დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების გამოსაკვლევად. ის სწავლობს საზოგადოებრივ მოვლენებს და იკვლევს ამ მოვლენების რაოდენობრივ მხარეს. სტატისტიკა არ არის მხოლოდ ფაქტების კონცენტრაცია ის დაკავშირებულია ასევე მოვლენების ანალიზთან. მნიშვნელოვანია ასევე სტატისტიკური კვლევის სტრუქტურების ჩამოყალიბების აუცილებლობა.

Статистическое исследование преступности среди несовершеннолетних в криминологии

Резюме

Тема подчеркивает значение статистического исследования в юридической науке, она используется для исследования преступности и причин ее совершения. Она изучает общественное явление и исследует количественную сторону этих явлений. Статистика не только концентрация фактов а также связана с анализом явления. Особое значение имеет также необходимость создания структур статистического исследования.

Nana Ubilava

Statistical research of crime among minors in criminology

The Summary

The theme emphasizes the significance of statistical research in jurisprudence; it is used for research of criminality and the reasons for offending. It studies the public phenomenon and investigates the quantitative character of these phenomena. Statistics are not mere concentration of facts and but are also connected with the analysis of a phenomenon. It is of importance to create structures of statistical research.

**დანაშაულობა და არასრულწლოვანთა
უფლებები და თავისუფლებები**

ყოველი სახელმწიფო ისწრაფვის შექმნას ისეთი პირობები, რომელიც აშუალებას მისცემს უზრუნველყოს მომავალი თაობის სრულფასოვანი განვითარება. სახელმწიფოს მიზანია, ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარებასა და განათლების მიღების პროცესს, ყველა ზომას იღებს რათა გაატაროს ღონისძიებები არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ მოქმედებებსა და დანაშაულში ჩართვის საწინააღმდეგოდ. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია ამოქმედოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო რესურსი, რათა თავიდან აცილებული იქნას არასრულწლოვანთა დანაშაულობანი. მან უნდა შეიმუშაოს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები და სპეციალური პროგრამები, რომ შესაძლებელი იქნეს ყველა არასრულწლოვან დამნაშავეთა გამოსწორება. სახელმწიფო ვალდებულია დაიცავს არასრულწლოვან დამნაშავეთა უფლება. მთელ რიგ საერთაშორისო აქტებში, როგორცაა გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებთან მოპყრობის წესები (პეკინის წესები) და სხვა, ხაზგასმულია არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის პრიორიტეტი. აღნიშნულია, რომ 18 წლამდე პირები ითვლებიან არასრულწლოვნებად და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი თავისუფლების აღკვეთა, ისიც მათ ინტერესებზე გათვლით, რაც ხელს შეუწყობს ბავშვში საზოგადოების მიმართ ჰუმანური და არაკრიმინოგენული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის¹ მიხედვით აღიარებულია ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან დამნაშავე ბავშვის უფლება ეპყრობოდნენ ისე, რომ ხელი შეუწყონ მასში საკუთარი ღირსების განვითარებას და საზოგადოებაში საკუთარი კონსტრუქციული როლის გააზრებას. ამავე მუხლის მიხედვით არასრულწლოვან პირს გააჩნია შემდეგი უფლებები: ითვლებოდეს უდანაშაულოდ სანამ კანონით არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა, ისარგებლოს კომპეტენტური და მიუკერძოებელი სასამართლოთი, ჰქონდეს დაცვის უფლება, არ აიძულონ მისცეს ჩვენება და სარგებლობდეს მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემით.

ზემოთ ხსენებული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ისეთი კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების შექმნას, რომლებიც სპეციალურად დაკავშირებული არიან ბავშვებთან. ისინი ატარებენ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა უფლებების დაცვას, მაგ: როგორცაა ბავშვთა აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და ინსტიტუციური მზრუნველობის სხვა ალტერნატიული საშუალებები, რომლებიც მიმართულია ბავშვის კეთილდღეობისა და შესაფერისი გარემოს შექმნისაკენ.

ყოველი არასრულწლოვანისათვის ცნობილი უნდა იყოს მათზე დადგენილი და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებები. ამის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ უნდა გაატაროს სხვადასხვა სპეციალური პროგრამები, რომლებიც უნდა მოიცავდეს სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს. ბავშვის განვითარება სკოლამდელი ასაკიდან უნდა იწყებოდეს, ისინი სკოლაშივე უნდა ეცნობოდნენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს. სკოლამდელ დაწესებულებებსა და დაწესებით სასკოლო განათლების დაბალ საფეხურებზე ადამიანის უფლებების სწავლება მიზნად ისახავს საკუთარ თავში რწმენისა და სოციალური მოთმინების ჩამოყალიბებას, ეს თვისებები კი ქმნიან ადამიანის უფლებათა კულტურის საფუძვლებს. ამ კონკრეტული მიზნის რეალიზებისათვის პედაგოგის როლი მთავარ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს,

¹ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია მუხლი 40

მასზე არის დამოკიდებული რამდენად მოახერხებს არასრულწლოვანი პირი მისი უფლებებისა და ვალდებულებების გათვითცნობიერებას.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი აღნიშნავს „გაეროს ბავშვთა კონვენციის მიხედვით ბავშვთა კრიმინალიზაცია აცილებულ უნდა იქნას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ დამნაშავე არასრულწლოვნებს ისე ეპყრობოდნენ, თითქოს მათ პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ, პირიქით არასრულწლოვნები პასუხისმგებლები არიან მათ ქმედებებზე და მათ თვითონ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებაში. არასრულწლოვანთა გასამართლებისას არ უნდა იქნეს დადგენილი სამაგიეროს მიზღვის პრინციპი. მიზანი არის ის, რომ დაწესდეს პასუხისმგებლობა და ამავე დროს ხელი შეუწყოს არასრულწლოვანთა რეინტეგრაციას“

არასრულწლოვანთა დანაშაულობა დღევანდელ საქართველოში და საერთოდ მსოფლიოში ერთ ერთ ყველაზე აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემად ითვლება. როგორც მასობრივი ინფორმაციის წყაროებში, ასევე იურიდიულ ლიტერატურაშიც ხშირად შევხვდებით ინფორმაციას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მომძლავრების თაობაზე, რომლის დასტურია მსჯავრდებულთა და პატიმართა საერთო წლიური სტატისტიკური მონაცემები სადაც ფიქსირებულია არასრულწლოვანთა დანაშაულობის შემდეგი მაჩვენებელი 2000წ – 98 დანაშაული, 2005წ – 115 დანაშაული, 2006წ – 324 დანაშაული.

არასრულწლოვანთა დანაშაულობა შეგვიძლია განვიხილოთ კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით. იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ დანაშაულობა უნდა მოხდეს მისი კრიმინოლოგიური შესწავლა. კერძოდ მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა, თავიდან აცილება აღმოფხვრა და ა.შ. ძალიან ხშირად დანაშაულობების ზრდას ხელს უწყობს სოციალური პირობების გაუარესება. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში სახელმწიფო იყოს ძლიერი, რომელიც მოამზადებს ისეთ მძლავრ სოციალურ ნიადაგს, რომელიც ხელს შეუწყობს დანაშაულობების თავიდან აცილებას. არასრულწლოვანის აღზრდასა და სწორ განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს ის დაწესებულებები, მაგ: სკოლები, სადაც არასრულწლოვანი ატარებს დროს უმეტეს ნაწილს. სკოლებში დისციპლინის დაცვა, მოსწავლეთა მკაცრი კონტროლი, მოსწავლეთა ქცევის კოდექსის ნორმების დაცვა და ა.შ. ხელს შეუწყობს მათ სწორად აღზრდასა და მათში სწორი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას. გარდა სკოლისა და პედაგოგებისა არასრულწლოვანთა აღზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშობლის ინსტიტუტი და ის გარემო პირობები სადაც ხდება მათი აღზრდა.

საქართველოს კანონი „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დაცვას იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია კინო, ვიდეო, ტელევიზიების ჩვენებასა და ნაბეჭდ პროდუქციასთან, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარებასთან და ასევე აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან. მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს სკოლები და საერთოდ ის დაწესებულებები, სადაც არასრულწლოვანი დროს უმეტეს ნაწილს ატარებს, რათა არ მოხდეს მათ მიერ ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის ტარება, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ დანაშაულის ჩადენას 18 წლამდე ასაკის პირს, „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ კანონით იარაღის შეძენა ეკრძალება, აგრეთვე მათ უფლება არა აქვთ ატარონ, შეინახონ ან გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი. მიუხედავად ამისა და კანონით აკრძალვისა დღესდღეობით მაინც იყიდება ნებისმიერი ტიპის ცივი ია-

¹ www.justice.gov.ge

რადი გარე ვაჭრობის ობიექტებში, რაც ჩვენი აზრით მიუღებელია რადგანაც ეს ხელშემწყობი ფაქტორია იმისა, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი იქნას სხვადასხვა ტიპის დანაშაულებანი. როდესაც ლაპარაკია არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობაზე, უპირველეს ყოვლისა ყურადსაღებია, რომ მათ მიმართ გამოყენებული ყველა აღმკვეთი ღონისძიება არ გასცდეს ჰუმანურობისა და კანონიერების ჩარჩოს. როდესაც დგება არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მისი სულიერი მდგომარეობა არ უნდა იქნას დამძიმებული და რაც მთავარია დაცული უნდა იქნას მათი უფლებები და თავისუფლებები.

ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი სრულწლოვანების მიღწევამდე, იმ მოზარდებისათვის რომლებმაც უკვე მიაღწიეს პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, გამოიყენება სპეციალური ნორმები, რომლებიც იმავე დანაშაულისათვის ჩვეულებრივი ნორმებისაგან განსხვავებით ბევრად უფრო მსუბუქ სასჯელის ზომებს ითვალისწინებს. ზოგადად კი არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში ძალიან ცოტაა უშუალოდ სისხლის სამართლებრივი სასჯელის ზომები, უფრო მეტიც 18 წლამდე არასრულწლოვანის მიმართ გამოიყენება არა სასჯელი, არამედ აღმზრდელობითი და დისციპლინური ან გამასწორებელი სამუშაოები, რითაც მიიღწევა ჩვენთვის დასახული მიზანი – მოხდეს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა რესოციალიზაცია. მოვიყვანოთ მაგალითი გერმანიისა და საქართველოს კანონმდებლობას შორის, რომელიც შეეხება არასრულწლოვან დამნაშავეთა პასუხისმგებლობას.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დაუშვებელია იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა, რომელსაც არ შესრულებია 14 წელი. გერმანიაში არასრულწლოვნების მიმართ არ გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი ნორმები, ამ უკანასკნელთათვის გამოიყენება სპეციალური სანქციები და პროცედურები რომლებიც გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონით.

ზემოთ ხსენებულ კანონში მოცემულია სამი ტიპის სანქცია: აღმზრდელობითი, დისციპლინური ზომები და თავისუფლების აღკვეთა. ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში როცა დანაშაული არის ძალიან მძიმე და არასრულწლოვანი საზოგადოებისათვის ძალიან საშიშია. თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ვადას 6 თვე წარმოადგენს, ხოლო მაქსიმალურს 5 წელი, რომელიც შეიძლება გაიზარდოს 10 წლამდე იმ შემთხვევაში როცა სრულწლოვანის მიერ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისათვის 10 წლის ვადით არის თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული. გერმანიის სისხლის სამართლის პრაქტიკაში 16 წლამდე ასაკის პირების მიმართ თითქმის არასოდეს არ გამოიყენება სანქცია – თავისუფლების აღკვეთა, როდესაც თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებულია 2 წელზე ნაკლები ვადით, არასრულწლოვნებთან მიმართებაში გამოიყენება პირობითი მსჯავრი, რაც ჩვენი გადმოსახედიდან გერმანულ სამართალდამცველთა ჰუმანურობაზე მიუთითებს.

თანამედროვე მდგომამ უნდა განსაზღვროს შეუძლია თუ არა ბავშვს იმოქმედოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მორალური და ფსიქოლოგიური კომპონენტების შესაბამისად ანუ შეიძლება თუ არა, მცირეწლოვანს ინდივიდუალური აღქმისა და შეგნების საფუძველზე დაეკისროს პასუხისმგებლობა ანტისოციალური ქცევისათვის, სახეზეა თუ არა ამ ასაკის პირის მიერ სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დანაშაულის ჩადენისას, როგორც განზრახვის, ასევე გაუფრთხილებლობის ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტები.

დადებითად უნდა შევაფასოთ ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსში, პირველად ქართული სისხლის სამართლის ისტორიაში, არასრულწლოვანი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, მისი დასჯადობის, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების თავისებურებებს დამოიკიდებელი V კარი დაეთმო.

არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება, რაც ფაქტობრივად სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობისა და სასჯელის ალტერნატივას წარმოადგენს. არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაანთავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან, თუ მიიჩნევს რომ მისი გამოსწორება შესაძლებელია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით. თავისუფლების აღკვეთა საქართველოში შეიძლება დაინიშნოს უვადო ან კანონით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არასრულწლოვანს რომელსაც არ შესრულებია 18 წელი არ შეიძლება მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთა. ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის ჰუმანურობაზე მიუთითებს ის გარკვეული მუხლები, რომლებიც ამსუბუქებენ არასრულწლოვანის მიმართ გამოსაყენებელი საგამოძიებო მოქმედებებს, მაგალითად: როდესაც ხდება არასრულწლოვანის დაკითხვა მისი საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, კონკრეტულად კი უნიცეფ – ის ექსპერტის ქეროლაინ ჰამელტონის აზრით „საქართველოს სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემა ძალიან უხეშია და არ ემსახურება ბავშვების მოთხოვნილებებს, სამწუხაროდ საქართველოში თავისუფლების აღკვეთა არის პირველი და ერთადერთი ზომა და ის არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ყველანაირი ზომა უნდა იყოს მიღებული, რომ თავისუფლების აღკვეთის მაგივრად გამოყენებული იქნეს სხვა ალტერნატიული ზომები. დაპატიმრებული ბავშვი საკმაოდ დიდ დროს ატარებს პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში და ხშირად უწევს ყოფნა სრულწლოვან დამნაშავეებთან ერთად. საკნების მდგომარეობა არაღამაკმაყოფილებელია და ისინი ეწინააღმდეგება ბავშვთა ინტერესებს. საკნებში ბავშვებს არა აქვთ განვითარებისა და განათლების საშუალება. ციხე წარმოადგენს მომავალი კრიმინალისა და რეციდივისტის ჩამოსაყალიბებელ ადგილს“

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია ცვლილება, რომელიც შეეხება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს, რის მიხედვითაც ეს ასაკი უნდა განისაზღვროს 12 წლით. დღესდღეობით ბრალის შერაცხადობის ასაკი ქვეყნების მიხედვით 7 დან 18 წლამდე მერყეობს. ევროპის უმეტეს ქვეყნებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია. ქეროლაინ ჰამელტონის აზრით „ 12 და 13 წლის ბავშვების უმეტესობას ესმის კარგისა და ცუდის ცნება. თუმცა ნაკლებად სავარაუდოს, რომ მათ შეუძლიათ გაიგონ შემოთავაზებული შედეგების არსი: ესეიგი თუ ისინი ჩაიდენენ დანაშაულებრივ ქმედებებს ისინი დაკავდებიან, მათ დაეკისრებათ ჯარიმა, გაასამართლებენ და დააპატიმრებენ. ამ ასაკის ბავშვებს იშვიათად აქვს ცხოვრების გამოცდილება ან შემეცნებითი შესაძლებლობა გააცნობიერონ და სრულად გაიგონ მთელი რიგი ამგვარი პოტენციური შემთხვევები. შემოთავაზებები ძალიან შორეულია მცირე ასაკის ბავშვებისათვის და არ მიიჩნება მათთვის შესაფერისად. ამგვარად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება ნაკლებად იმოქმედებს როგორც შემაკავებელი საშუალება ამ ჯგუფში“.

ჩვენი მოსაზრება ემთხვევა ექსპერტის აზრს, რადგანაც იმ შემთხვევაში როცა 12 წლის არასრულწლოვანი რომელიც მოხვდება ციხეში, ეს ნიშნავს მის დამნაშავედ ჩამოყალიბებას და ეს ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს ბავშვთა ნორმალურ ზრდა – განვითარებას. ამის დასტურია უკანასკნელ პერიოდში

ჩატარებული უამრავი გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ დანაშაულზე რეაგირება არასისხლისსამართლებრივ დაწესებულებებში უფრო ეფექტურია, ვიდრე სასჯელაღსრულების დეპარტამენტებში.

ვეროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მხილებული არასრულწლოვანი პირის გასამართლება ხდება არასრულწლოვანი საქმეების სასამართლოში. ჩვენი აზრით მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოშიც არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემის შექმნა. მაგ: ინგლისსა და უელსში არსებობს ახალგაზრდობის საქმეების სასამართლო, სადაც განიხილავენ 18 წლამდე ასაკის დამნაშავეთა საქმეებს, გერმანიაში კი არსებობს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო 14 დან 21 წლამდე დამნაშავეთათვის.

მნიშვნელოვანი საკითხია არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვა საქმეთა გაშუქებისას.

ბოლო პერიოდში ქართული მედიით არასრულწლოვანთა კრიმინალის შესახებ გაერცვლებულმა ინფორმაციამ ფართომასშტაბიანი კამპანიის სახე მიიღო. აღნიშნული გარკვეულწილად წახალისებულა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა საჯარო განცხადებებით. ე.წ „მედია პანიკა“ მოიცავს არასრულწლოვანი პირის დაკავშირებას კონკრეტულ დანაშაულებრივ შემთხვევებთან და საჯაროდ მათი სახელის არაკორექტულ კონტექსტში მოხსენიებას. არასრულწლოვანთა მიმართ მსგავს მიდგომას ცივილიზებულ საზოგადოებაში არა თუ არ გააჩნია რაიმე ანალოგი, არამედ ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ვალდებულებასთან, დაიცვას არასრულწლოვანი დამნაშავის კონფიდენციალობა.

გაერთიანებული ერების მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის¹ – (პეკინის წესები) არასრულწლოვანთა უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე პატივი უნდა ეცეს ყველა ეტაპზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი საჯაროობით ან გარკვეული იარღილის მინიჭებით მისთვის ზიანის მიყენება. ასევე პეკინის წესების² მიხედვით ნებისმიერი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება შედეგად არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის იდენტიფიკაცია მოიტანოს, პრინციპულად არ უნდა გამოქვეყნდეს. ეს წესი ხაზს უსვამს იმ არასასურველი შედეგისაგან დაცვის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება საქმის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებამ გამოიწვიოს. არასრულწლოვანთა მსჯავრდებულთა საქმის მასალები უნდა ინახებოდეს სრულიად კონფიდენციალურად და მიუწვდომელი უნდა იყოს მესამე პირთათვის.

არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის დამკვიდრებულ საერთაშორისო სტანდარტს. ამ გარემოებაზე აშკარად მიუთითებენ შემდეგი მაგალითები:

აშშ-ს არიზონის შტატის უზენაესი სასამართლოს წესების შესაბამისად, არასრულწლოვანთა საქმეების გაშუქება საერთოდ იკრძალება, სხვა ტიპის საქმეების ღიაობის შესახებ კი გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე.³ ამერიკის ელექტრონულ ჟურნალისტთა ასოციაციის ექსპერტის, ქეთლინ ქაირბის განმარტებით, არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების კონფიდენციალურობა ხელს უწყობს არასრულწლოვანთათვის დანაშაულის დამდის დასმის (სტიგმა) თავიდან აცილებას, აკავებს მათ საზოგადოების ყურადღე-

¹ პეკინის წესები 8 მუხლის 1 ნაწილი
² იგივე 8 მუხლის 2 ნაწილი
³ www.rtnda.org/foi/watjc.shtml

ბის მიქცევის მიზნით დანაშაულის ჩადენისაგან, გამორიცხავს თანამდევ სტიგმას ოჯახის წევრებისგან, ხელს უშლის ურთიერთობების გაფუჭებას თანატოლებთან, სკოლასთან და გარემომყოფ საზოგადოებასთან¹ ასევე არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ საჯაროობამ შეიძლება მსგავსი ქმედების ჩადენისაგან წაახალისოს სხვა ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ ყურადღების და პოპულარობის მოპოვება².

ა.შ.შ-ში ამ საკითხებთან დაკავშირებით არ არის ცალსახა დამოკიდებულება. მაგ. ფლორიდის შტატში სამართალდამცავ ორგანოებს არა აქვთ უფლება გაავრცელონ სახელი, მისამართი და ფოტოსურათი იმ არასრულწლოვანის, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის (ფელონი) ჩადენაშია ეჭვმიტანილი. ზოგიერთ შტატში არასრულწლოვანთა პროცესის დიაობასთან დაკავშირებით გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის დისკრეციას. აღნიშნული სახის პროცესები დამახასიათებელია ვისკონსინის და მინესოტისათვის, რომელთა პროცედურული წესებით არასრულწლოვანი განიხილება მოზრდილ პირად, თუმცა მის მიმართ ხორციელდება არა სისხლისამართლებრივი პროცედურები, არამედ, როგორც მას უწოდებენ, ტარდება სასაერთო-ფიკაციო მოსმენა. სისხლის სამართლებრივი პროცედურისაგან განსხვავებით აქ მოქმედებს დამნაშავეობის პრეზუმფცია. სასერთიფიკაციო პროცესის სხდომა საზოგადოებისათვის დახურულია.

საფრანგეთში სამართალდამრღვევი არასრულწლოვანის სახელის გავრცელება მედია საშუალებებით დაუშვებლად არის მიჩნეული. სატელევიზიო გადაცემებში სამართალდამრღვევი არასრულწლოვანის მოხვედრა ხელს უწყობს მის კრიმინალიზაციას.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა იდენტიფიკაციის თავიდან აცილების და მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის დაცვის კუთხით ბოლო დრომდე ქართულ კანონმდებლობაში სრული ვაკუუმიამ გამოცხადებული. დღესდღეობით არასრულწლოვანთა კონფედენციალურობის დაცვა მედია საშუალებებით არ არის დაცული.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს არასრულწლოვან ნ. ბუსკანძის გაშუქება რუსთავი - 2 ის მიერ 18.05.07 09:56 საათზე სამაუწყებლო კომპანიის საინფორმაციო გამოშვებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ნიკა ბუსკანაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილია მეცხრეკლასელი არჩილ შარაბიძე.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია არასრულწლოვანთა იდენტიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით მედიის საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება. საქართველოში არსებობს მედია საბჭო, რომლის კომპეტენციასაც მიეკუთვნება ზემოთ ხსენებული პრობლემა, ვიმედოვნებ რომ მათ მიერ ეს პრობლემა გადაჭრილი იქნება.

არაერთმა გამოკვლევამ ცხადყო რომ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისაგან მაგრამ ნამდვილ პრობლემას წარმოადგენს არა თვით ეს სისტემა, არამედ ის სოციალური და ეკონომიური პირობები რომლებიც განვითარებულია სახელმწიფოში და რომლებიც შეიძლება წარმოქმნიან სამართალდამრღვევებს.

¹ www.rtna.org/foi/watjc.shtml

² იქვე

რეკომენდაცია

ჩვენი აზრით სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველი უკანონო ქმედება, არა მარტო არასრულწლოვანთა მიერ, არამედ სრულწლოვანთა მიერაც. სახელმწიფომ ასევე უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა არასრულწლოვანთა განვითარებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაშიც კი როცა არასრულწლოვანს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ეს არ უნდა იყოს განმსაზღვრელი იმისა, რომ ის არის მსჯავრდებული და მას არ გააჩნია საქართველოს კონსტიტუციითა და გაეროს ბავშვთა დაცვის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები. ჩვენი მოსაზრებით როდესაც არასრულწლოვანის იზოლაცია აუცილებელია მისი საშიში ხასიათიდან გამომდინარე არასრულწლოვანთა დაწესებულებაში, უნდა იყოს ისეთი პირობები შექმნილი, რომ ბავშვი არ ჩამორჩეს საერთო სასწავლო პროცესს, არასრულწლოვანს რომელსაც აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდება დაპატიმრება და მოთავსდება საგამოძიებო იზოლატორში არასრულწლოვან დამნაშავეებს უფლება უნდა ჰქონდეთ მიიღონ მათ ასაკთან შედარებით ზოგადი და შესაბამისი განა

მარიამ სტურუა
თეონა აღდგომელაშვილი
გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოსა და ა.შ.შ-ში ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2003წ.
3. საქართველოს კანონი “მაგნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ”
4. საქართველოს კანონი “ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ”
5. ბავშვთა უფლებები, ავტორთა კოლექტივი ბათუმი 2002წ
6. ბავშვთა უფლებები, - თბილისი სექტემბერი 2000წ
7. საქართველო სისხლის სამართლის კოდექსი – 2006 წლის მდგომარეობით
8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 2006 წლის მდგომარეობით
9. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთან მოპყრობის წესები (პეკინის წესები 1985 წელი)
10. გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის ცონვენც ა
11. www.mes.gov.ge
12. www.child.ge
13. www.police.ge
14. www.iustice.gov.ge

დანაშაულობა და არასრულწლოვანთა უფლებები დათავისუფლებები

რეზიუმე

საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა, ასევე სატელევიზიო პიარმა ხელი შეუწყო არასრულწლოვანთა დანაშაულობის ზრდას. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ მოვიძიეთ მასალები, რომელიც მიზნას ისახავს პრევენციული ღონისძიებათა გატარებას ანუ დანაშაულობის თავიდან აცილებას.

ჩვენი ნაშრომიდან გამომდინარე, გვსურს სახელმწიფომ შეიმუშაოს დანაშაულებრივ ქმედებაზე რეაგირების უფრო ეფექტური გზები, ვიდრე განხორციელოს ისეთი ქმედებები, როგორცაა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაზრდა და სისხლისსამართლებრივი დევნის ასაკის შემცირება.

Мариам Стурúa, Теона Агдгомелашвили

Преступность, права и свободы несовершеннолетних

Резюме

Развитие в последнее время социальных и экономических явлений в Грузии, так же пиар по телевидению способствовала росту преступности несовершеннолетних. В связи с этой проблемой нами представлены материалы, цель которых проведение превентивных мероприятий по искоренению преступности.

Исходя из наших исследований, желаем чтобы государство разработало более эффективные пути реагирования на преступное деяние, чем провести такие меры которые приводят к росту уголовного преследования несовершеннолетних и снижению возраста уголовной ответственности.

Mariam Sturua, Teona Agdgomelashvili

Criminality, the rights and freedoms of juveniles

The Summary

Recent social and economic events in Georgia as well as PR on TV promoted growth of crime among minors. In connection with this problem we presented materials which propose the prevention of criminality.

Proceeding from our work, we wish that the state develops more effective ways of responding to criminal action, rather than to implement such measures which lead to growth of criminal persecution of juveniles and decrease in the minimum age of criminal responsibility.

**არასრულწლოვანთა დანაშაულობისადმი მართსაჯულებისა
და სასჯელაღსრულების სისტემის დამოკიდებულების
ზოგიერთი საკითხი**

არასრულწლოვანთა დანაშაულობა საზოგადოებაში წარმოადგენს ტრადიციულ პრობლემას. ზოგადად მისდამი ყურადღება განპირობებულია ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვის ბუნებითი მოთხოვნებით. ამიტომ დანაშაულობის ამ ფორმის შემცირების მიზნით ნებისმიერი პოზიტიური ღონისძიების დასახვა და ქმედითი განხორციელება ყოველთვის ითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას და გააზრებულ მიდგომას. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ფაქტორთა კვლევა, რომელიც განპირობებს პრევენციული ზომების დასაბუთებას. ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია მართსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სისტემის დამოკიდებულება არასრულწლოვანთა დანაშაულობისადმი.¹ მკითხველს უნდა გავახსენოთ, რომ ანალიზის საგანია არა დანაშაულობა, არამედ მისი ასახვა იმ გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც წარმოდგენილია მართსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სისტემის სახით. მოკლედ, ჩვენ უნდა უპასუხოთ კითხვაზე: რა მიმართულებით ვითარდება არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცვალებადობის ასახვა მართსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სისტემის მიერ?

